ვედიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
6 თებერვალი **შაბათი** 2010
№029(13017) ფასი 60 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## დავცხოთ გერმანიას!

დღეს ეროვნულზე, 14:00

>> გვერდი 13



## კაპელო არ არის ტერის მტერი, მაგრამ...

### ჩელსის ლიდერი ნაკრების კაპიტნობიდან მოხსნეს

**დიახ, ჯონ ტერი** ინგლისის ნაკრების კაპიტნობიდან მოხსნეს! ეს ამბავი მისი და **ფაბიო კაპელოს** 12-წუთიანი შეხვედრის შემდეგ გახდა ცნობილი. შეგახსენებთ, რომ 29 წლის ვარსკვლავი სკანდალში გაეხვა: ქვეყანას მოედო, რომ **უეინ ბრიჯის** (მისი თანაგუნდელი ეროვნულ ნაკრებში და ყოფილი ჩელსელი) საცოლესთან მას ფარული რომანი ჰქონდა, რამაც ინგლისური საზოგადოების დიდი ნაწილი ალაშფოთა და ტერიმაც ზეწოლას ველარ გაუძლო.

*„დიდი ხნის ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე, რომ ჯონ ტერისთვის ნაკრების კაპიტნობა ჩამომერთმია“*, - განაცხადა იტალიელმა მწვრთნელმა. კაპელომ ჟურნალისტებს უთხრა, რომ 2008 წელს, როცა ის „ჩელსის“ ლიდერს ნაკრების კაპიტნად ნიშნავდა, ფეხბურთელი მის ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებდა, მაგრამ დღეს, როცა მის საქციელს ბრიტანულ მასმედიაში დიდი სკანდალი და ხმაურიანი სათაურები მოჰყვა, კაპელომ მიიჩნია, რომ გამოსავალი სწორედ ტერის გათავისუფლება იქნებოდა.

*„ჯონ ტერიმ, როგორც კაპიტანმა, ინგლისის ნაკრებისთვის ძალიან ბევრი სასარგებლო რამ გააკეთა და მასზე კარგის მეტი არაფერი მეთქმის, მაგრამ არსებობს მეორე რეალობაც და იძულებული ვარ, მას ანგარიში გავუწიო. ჩემი, როგორც მწვრთნელის ამოცანაა, მივიღო ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც სასარგებლო იქნება გუნდისთვის. შესაბამისად, ჩემი დღევანდელი გადაწყვეტილებაც სწორედ ინგლისის ეროვნული ნაკრების ინტერესებითაა ნაკარნახევი. როცა ჯონ ტერი კაპიტნად დავნიშნე, დავასახელე ვიცე-კაპიტანი და მესამე ადამიანიც, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ვიცე-კაპიტანსაც შეცვლიდა. რასაკვირველია, ამ გადაწყვეტილებას არ შევცვლი. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის თავმჯდომარე ლორდ დევიდ ტრისმენსა და მის „მარჯვენა ხელს“, იან უოტმორს. მათ საშუალება მომცეს, ნაკრების ინტერესებიდან გამომდინარე, გადაწყვეტილება ერთპიროვნულად მიმეღო“.*

ამრიგად, ინგლისელთა ახალი კაპიტნის ვინაობაც გარკვეულია - **რიო ფერდინანდი** „მანჩესტერ იუნაიტედიდან“...

**ილია ბაბუნაშვილი**

## მშვიდად და აუღელვებლად

საქართველოს ჩემპიონატი

>> გვერდი 2

## პოლონეთი ლიდერის გარეშე რჩება?




მეტოქის ბანაკში

>> გვერდი 12

## ლეგენდა მიდის, ლეგენდა რჩება

**ევროპის ხუთგზის და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, ორგზის ოლიმპიურმა პრიზიორმა თავისუფალ ჭიდაობაში ლუკა კურტანიძემ (96) საბოლოოდ გადაწყვიტა აქტიური სპორტიდან წასვლა. ანალოგიური განცხადება მან ადრეც გააკეთა, მაგრამ საყვარელ საქმეს ვერ შეელია და ისევ დაბრუნდა, რასაც შეცდომად მიიჩნევს. წასვლა არც ახლა სურს, მაგრამ ამჯერად ალმა ცურვას არ აპირებს, ალიარებს რა, რომ ყველანაირ საქმეს აქვს დასასრული. ის ერთგვარი გამოსათხოვარი ტურნესთვის ემზადება, დიდი სპორტიდან წასვლას კი ზაფხულში, ვახტანგ ბალავაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე აპირებს.**

**ამასობაში კურტანიძე ახალ ამპლუაში მოგვევლინა - სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში დაიწყო მუშაობა. ინტერვიუსთვისაც იქ ვესტუმრეთ და შევეცადეთ, მკითხველისთვის საინტერესო ყველა თემაზე გვესაუბრა.**



**- თქვენი უახლოესი სპორტული გეგმებით დავიწყოთ - რას აპირებთ?**

- თავდაპირველად ძალიან დიდ მადლობას გიხდით ჟურნალისტებს იმ ყურადღებისა და შრომისთვის, რომელიც მთელი ამ წლების განმავლობაში ჩემთვის გასწიეთ. ჩემს სამომავლო გეგმებს რაც შეეხება, იცით, რომ კარგა ხანია, აქტიური სპორტული ცხოვრებიდან კარიერის დამამთავრებელ ეტაპზე გადავედი. 2007 წელს მახაჩყალის დიდ საერთაშორისო ტურნირზე გამარჯვების შემდეგ ნაკრებში 2009 წელს ვიჭიდავე - ევროპის ჩემპიონატზე გამოვედი, მაგრამ უშედეგოდ. უკვე გარდამავალ პერიოდში ვარ და საკუთარ თავს კარიერის დასასრულისთვის ვამზადებ - ნებისმიერ საქმეს გააჩნია როგორც დასაწყისი, ასევე დასასრული. მინდა, ჩემი 30-წლიანი სპორტული კარიერა ლამაზად დავაგვირგვინო, გულშემატკივარს კი მადლობა ვუთხრა და ანგარიშიც ჩავაბარო, როგორც სპორტსმენმა. ამიტომ გამოსამშვიდობებლად ერთგვარი ტურნეს მოწყობა გადავწყვიტე. თავდაპირველად მინსკში, მედვედის სახელობის ტურნირში ვგეგმავდი გამოსვლას, მაგრამ იქ ნაკრები აღარ მიდის და ეს შეჯიბრება გეგმიდან ამოვარდა. აპრილში მძიმე წონაში საქართველოს ფალავნობაზე ვგეგმავ გამოსვლას და წარმატების შემთხვევაში ევროპის პირველობაზეც წავალ. გარდა ამისა, მახაჩყალაში წლეულსაც ვიჭიდავებ უმაღლესი კატეგორიის ტურნირზე, სადაც წლების განმავლობაში დიდი პოპულარობით ვსარგებლობ და ამას ყოველთვის ვგრძნობ იქაური ქომაგისგან. იქ 20-22 ქვეყნიდან ჩამოდიან და მინდა, იქაურებსაც დავემშვიდობო, კარიერის დასრულებას კი ზაფხულში თბილისის სპორტის სასახლეში, ვახტანგ ბალავაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირის დროს ვგეგმავ. იქ საზეიმო გაცილებაც იგეგმება, რისი მონახაზიც უკვე არსებობს. ამაზე მუშაობა უკვე მიდის სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაურისა და ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტ კახა გეწაძის თაოსნობით. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ეს მოჭიდავის პირველი ოფიციალური გაცილება იქნება...

>> გვერდი 11

# მშვიდად და აუღელვებლად

05.02. რუსთავი. ფოლადი
150 მაყურებელი

| | |
|---|---|
| სიონი | 0 |
| სპარტაკი | 1 |

0:1 ჩირიკაშვილი (23. ბუზალაძის პასით)

სიონი: ზუხბაია - კობაური, ლ. მერებაშვილი, გ. კვანტალიანი, რაქვიაშვილი - გ. მელქაძე (57. სილაგავა), გ. დეკანოსიძე, ლ. ნოზაძე, ი. შენგელია (69. უგულავა) - გ. მაისურაძე (61. რუსიეშვილი), ლ. მელქაძე.

სათადარიგოები: ბობლიაშვილი, ნაყოფია, ისიანი.

სპარტაკი: ბათიაშვილი - მგალობლიშვილი, ბაქრაძე, ბოიომო, დ. ფოფხაძე - კანდელაკი (73. კბილცეცხლაშვილი), მგელაძე - ნალო (82. კლოვისი), ჩირიკაშვილი, ნ. მაისურაძე - ბუზალაძე (46. დეკანოიძე).

სათადარიგოები: ნონოსი, გ. კვახაძე, უხურგუნაშვილი, სეფიაშვილი

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი

...ცხინვალის „სპარტაკმა" ამ სეზონში უკვე მეორედ შეძლო „სიონის" სტუმრად დამარცხება. თუმცა, **ვლადიმერ ხაჩიძის** გუნდმა პირველ წრეში თუ ბოლნისში შეძლო გამარჯვება, ამჯერად უკვე რუსთავში მოიპოვა სრულიად დამსახურებული სამი ქულა.

მოგეხსენებათ, ეს მატჩი რუსთავში იმიტომ ჩატარდა, ბოლნისის სტადიონზე სარეკონსტრუქციო სამუშაოები რომ მიმდინარეობს. ანუ, ფაქტობრივად, „ფოლადის" ხელოვნურსაფრიანი მოედანი ორივე გუნდისთვის ნეიტრალურად უნდა მიგვეჩნია და ასეც იყო.

თამაშის დღეს მკვეთრად გაუარესებული ამინდის გამო გულშემატკივართა სოლიდურ წარმომადგენლობას არც ველოდით. სამაგიეროდ, როგორც უკვე ტრადიციად იქცა, კვლავაც ხალხმრავლობა იყო საპატიო სტუმართათვის განკუთვნილ ლოჟაში, სადაც, ორივე გუნდის ხელმძღვანელთა გარდა, ვის არ ნახავდით: ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ **ალექსანდრე ჩივაძესა** თუ პროფლიგის პრეზიდენტს **გია ფირცხალავას**, 21 და 19-წლამდე ნაკრებების მთავარ მწვრთნელებს - **ოთარ გაბელიასა და ვლადიმერ გუცაევს**. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტიც, რომ მატჩმა უდიდესი ინტერესი გამოიწვია რესპუბლიკური თუ რეგიონული მედიის მხრიდან; ყოველ შემთხვევაში, ველარც გაგვიხსენებია, როდის ესწრებოდა „ჩვეულებრივ" მატჩს... ოცამდე ჟურნალისტი. ერთი მხრივ, ამის მიზეზი ძნელი მისახვედრი არც უნდა ყოფილიყო - გუშინდელი მატჩით ხომ მეორე ეტაპი დაიწყო!

...პირველ ეტაპთან შედარებით ორივე გუნდში უამრავი ცვლილება მოხდა, თუმცა „სიონი" ბევრად უფრო სახეშეცვლილი შემადგენლობით გამოვიდა მოედანზე. მთავარი მწვრთნელიც ხომ ახალია (**ხვიჩა ქასრაშვილი**) და გუნდიც: მხოლოდ **მიხეილ კობაური** და **ლაშა ნოზაძელა** დარჩნენ პირველი ეტაპიდან, დანარჩენები კი ახალწვეულები გახლდნენ. ხუთი ახალი ფეხბურთელი იყო „სპარტაკის" ძირითადშიც, თუმცა, ბირთვი მაინც მეტ-ნაკლებად შენარჩუნებული იყო და ყოველივე ამან მნიშვნელოვნად განაპირობა კიდეც გუშინდელი მატჩის საბოლოო შედეგი. უკვე პირველი წუთებიდანვე ნათლად გამოჩნდა, რომ „სპარტაკის" ფეხბურთელები მეტოქესთან შედარებით ბევრად უკეთ იყვნენ ერთმანეთთან შეთამაშებულნი. თანდათან „სიონის" კართან სახიფათო მომენტებმაც იმატა: ჯერ **ირაკლი ჩირიკაშვილს** შეეძლო ეფექტური რეიდი უფრო ძლიერი დარტყმით დაესრულებინა; ამის შემდეგ **პატრიკ ნედ ნალოს** ეფექტური პასით „სპარტაკის" 17 წლის დებიუტანტი **ილია ბუზალაძე** ხელსაყრელ პოზიციაზე აღმოჩნდა, მაგრამ ჭაბუკი ცენტრფორვარდის მახვილი კუთხიდან დარტყმული ბურთი ოდნავ არაზუსტი გამოდგა. „სპარტაკს" აქტიური თამაში მაინც „დაუფასდა": **ნიკოლოზ მაისურაძემ** სწრაფი კონტრშეტევა წამოიწყო, ილია ბუზალაძემ გააგრძელა და „სპარტაკის" შემადგენლობაში ერთ-ერთმა ყველაზე გამორჩეულმა ირაკლი ჩირიკაშვილმა ახლო მანძილიდან ზუსტი დარტყმით ანგარიში გახსნა! სწორედ ჩირიკაშვილი-მაისურაძის „დუეტი" აქტიურობდა მთელი მატჩის განმავლობაში და მათ წინააღმდეგ „სიონის" ფეხბურთელებმა, ფაქტობრივად, ვერაფერი გააწყვეს. ისე, ალბათ, თავშივე უნდა გვეთქვა, „სიონს" თუ როგორი საკადრო პრობლემები ჰქონდა: ტრავმების გამო ხვიჩა ქასრაშვილმა სამი გამოცდილი ფეხბურთელი (**მინდია ბობლიაშვილი, გივი დიდავა, რევაზ ქემოკლიძე**) მოისაკლისა; მაშინ, როცა მეტოქეს ძირითადი შემადგენლობის მხოლოდ ერთი მოთამაშე (**გიორგი ჩივაძე**) აკლდა.

33-ე წუთი იყო „სიონმა" პირველად რომ დაარტყა **ზურაბ ბათიაშვილის** კარის მიმართულებით - **გიორგი მელქაძეს** მიზანმა უმტყუნა; სამაგიეროდ, ტაიმის უკანასკნელ წუთზე ბოლნისელებმა გოლის გატანის ჩინებული შანსი ვერ გამოიყენეს: **ირაკლი შენგელიამ** ჩინებული ასისტენტობა გაუწია ახალგაზრდა **გიორგი მაისურაძეს**, მაგრამ „სიონის" დებიუტანტის თავით დარტყმული ბურთი სტუმართა კარის ძელს მოხვდა...

მეორე ტაიმის დასაწყისიც სტუმრების იყო - ჯერ ნიკოლოზ მაისურაძის შორეული დარტყმა მოიგერია **ვლადიმერ ზუხბაიამ**; შემდეგ კი „სიონის" დებიუტანტი მეკარეც უძლური იყო რამე ელონა, მაგრამ „მშველელად" საკუთარი კარის ხარიხა მოევლინა - არადა, ირაკლი ჩირიკაშვილის შორეული „გასროლა" მართლაც ეფექტურად ჩანდა. სხვათა შორის, ზუხბაიას მიმართ სასაყვედურო არავის უნდა ჰქონდეს: „სიონის" მეკარემ დარჩენილ დროში **ბესიკ დეკანოიძეს**, ნიკოლოზ მაისურაძესა და **გიორგი კბილცეცხლაშვილს** არ დაანება გოლის გატანა. ერთ ეპიზოდში კი, „სპარტაკის" კიდევ ერთი ახალწვეული, 17 წლის ბესიკ დეკანოიძე სრულიად მარტო აღმოჩნდა მეტოქის საჯარიმოს მისადგომებთან, მაგრამ არაზუსტად დაარტყა. აი, რაც შეეხება „სიონის" შეტევებს, სამწუხაროდ, ასეთი რამ, ფაქტობრივად, არც ყოფილა. თან, ერთობ საიმედოდ თამაშობდნენ „სპარტაკის" გამოცდილი ცენტრალური მცველები - **დავით ბაქრაძე და ბოიომო ფრიდოლინი**. ერთადერთი სახიფათო მომენტი კი „სიონს" მატჩის დასრულებამდე ორი წუთით ადრე ჰქონდა, როცა **გიორგი დეკანოსიძის** „მოჭრილი" დარტყმა მცირეოდენ არაზუსტი გამოდგა. ისე, დიდ ფეხბურთში გარკვეული პაუზის შემდეგ დაბრუნებულ დეკანოსიძეს ცოტა დროც სჭირდება ძველი კონდიციების დასაბრუნებლად, თორემ მოედანზე აზროვნება და ბურთის ფლობა რომ არ ეშლება, გუშინ კიდევ ერთხელ გამოჩნდა. საბოლოოდ, სტუმრებმა მშვიდად მიიყვანეს საქმე გამარჯვებამდე და სატურნირო ცხრილში თავიანთთვის საპატიო მეხუთე ადგილიც „გაიმყარეს".

**გია ტუხაშვილი**
რუსთავი-თბილისი



სპარტაკმა ირაკლი ჩირიკაშვილის გოლით გაიმარჯვა

## შაბათს

### ოლიმპი-ბაია

06.02. რუსთავი. ფოლადი
**14:00**
წინა მატჩები: 2:1, 2:0
დისკვალიფიკაცია: არავინ
ჩანაწერი პირველ არხზე -18:00

### ვიტ ჯორჯია-სამტრედია

07.02. რუსთავი. ფოლადი
**14:00**
წინა მატჩები: 2:1, 2:2
დისკვალიფიკაცია: არავინ

## ორშაბათს

### ზესტაფონი-ლოკომოტივი

07.02. ზესტაფონი. ცენტრალური
**14:00**
წინა მატჩები: 0:0, 1:0
დისკვალიფიკაცია: არავინ

### დინამო-გაგრა

08.02. თბილისი. ეროვნული
**18:00**
წინა მატჩები: 2:0, 0:0
დისკვალიფიკაცია: არავინ

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 18 | 14 | 3 | 1 | 42-13 | 45 |
| 2. ზესტაფონი | 18 | 11 | 5 | 2 | 31-15 | 38 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 18 | 9 | 6 | 3 | 26-18 | 33 |
| 4. დინამო | 18 | 9 | 5 | 4 | 29-11 | 32 |
| 5. სპარტაკი | 19 | 7 | 5 | 7 | 26-30 | 26 |
| 6. სამტრედია | 18 | 6 | 4 | 8 | 24-35 | 22 |
| 7. სიონი | 19 | 3 | 8 | 9 | 12-26 | 17 |
| 8. გაგრა | 18 | 3 | 5 | 10 | 18-30 | 14 |
| 9. ბაია | 18 | 3 | 3 | 12 | 15-27 | 12 |
| 10. ლოკომოტივი | 18 | 1 | 6 | 11 | 6-23 | 9 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| აკინო (ოლიმპი) | 18 |
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 13 |
| კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია) | 11 |

**მომდევნო ტური**

**12 თებერვალი. პარასკევი**
სპარტაკი-ბაია
სიონი-დინამო
გაგრა-ვიტ ჯორჯია

**13 თებერვალი. შაბათი**
სამტრედია-ზესტაფონი
ლოკომოტივი-ოლიმპი

ინტერვიუ

## გელა გომელაური

# დუბლები იმედებს გამიმართლებს

**ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპს „ვიტ ჯორჯია" სახეცვლილი ხვდება. ზამთრის სატრანსფერო პერიოდში საქართველოს მოქმედი ჩემპიონი არაერთმა ფეხბურთელმა დატოვა. ვეტერინარებს გამოაკლდნენ გიორგი მელქაძე, გიორგი კახელიშვილი, ნიკა მგელაძე, ამირან ყველაშვილი... შესაძლოა, ოდესის „ჩერნომორეცში" გააგრძელოს კარიერა გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა ირაკლი კლიმიაშვილმა. კარიერის სხვაგან გაგრძელებას ცდილობდა „ვიტ ჯორჯიას" კიდევ ორი წამყვანი მოთამაშე - ლუკა რაზმაძე და დავით ლომაია, მაგრამ ორივეს დაბრუნებამ მოუწია.**

**ნათელია, რომ სეზონის მეორე ნახევარში „ვიტ ჯორჯიას" ძირითად შემადგენლობას რამდენიმე ახალბედა გაუშინაურდება. ამის წინაპირობა საკონტროლო მატჩებშიც გამოჩნდა. განვლილი სამუშაოსა და გუნდის პერსპექტივების შესახებ „ვიტ ჯორჯიას" მთავარ მწვრთნელ გელა გომელაურს გავესაუბრეთ.**

**- როგორ აპირებთ გუნდიდან წასული ფეხბურთელების შეცვლას?**

- დანაკლისი მართლაც სერიოზულია, მაგრამ „ვიტ ჯორჯია" წასული ფეხბურთელების სრულფასოვნად შეცვლას ყოველთვის ახერხებდა და დარწმუნებული ვარ, ახლაც ასე მოხდება. ბუნებრივია, დუბლშემადგენლობის წევრებს ძირითად გუნდთან ადაპტაციისთვის გარკვეული დრო დასჭირდებათ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, უახლოეს მომავალში ყველაფერი კალაპოტში ჩადგება და „ვიტ ჯორჯია" ერთ-ერთ წარმატებულ ქართულ კლუბად დარჩება.

**- ახალგაზრდა ფეხბურთელებიდან ვის გამოარჩევთ?**

- ყველა მოთამაშეს, რომელსაც დუბლებიდან ძირითადი შემადგენლობისკენ გავუხსენით გზა, საკმაო პოტენციალი გააჩნია. კარგი მომავალი აქვთ გურეშიძეს, ვასაძეს, კორიფაძეს, ადამაძეს, ხურცილავას... მათ ამხანაგურ შეხვედრებშიც კარგი შთაბეჭდილება დატოვეს და დარწმუნებული ვარ, თავს არც ოფიციალურ მატჩებში შეირცხვენენ. მოხარული ვარ, რომ წასულთა სიმრავლის მიუხედავად, გუნდში კონკურენცია მაინც მძაფრია. არა მხოლოდ ძირითად შემადგენლობაში, 18-კაციან განაცხადში მოსახვედრადაც კი ყველას დიდი შრომა დასჭირდება. დუბლებიდან მთავარ გუნდში დამკვიდრების შანსი კი სეზონის მსვლელობისას სხვა ფეხბურთელებსაც მიეცემათ. დუბლშემადგენლობასთან საკმაო ხანი ვიმუშავე და მჯერა, ეს ბიჭები იმედებს გამიმართლებენ. ბუნებრივია, გამოცდილი მოთამაშეებიც გვჭირდება და საბედნიეროდ, ასეთებიც მრავლად გვყავს. მოხარული ვარ, რომ რაზმაძე და ლომაია დაგვიბრუნდნენ. ირაკლი კლიმიაშვილს კი „ჩერნომორეცში" წარმატებებს ვუსურვებ.

**- როგორი შთაბეჭდილება დაგიტოვათ ზამთრის შეკრებაზე ჩატარებულმა საკონტროლო მატჩებმა?**

- პირველ რიგში, იმას აღვნიშნავ, რომ ამ შეხვედრებში ჩვენთვის შედეგებს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონია, მაგრამ მაინც სასიამოვნოა, მატჩების უმეტესობა ჩვენთვის დადებითი რეზულტატით რომ დავასრულეთ. მთავარი ის იყო, რომ სპარინგმატჩებში ჩვენ მიერ დასახული ახალი ტაქტიკა-სტრატეგია გამოგვეყენებინა. მოხარული ვარ, რომ ბიჭებმა ამოცანას თავი რიგიანად გაართვეს.

**- როგორი ტაქტიკით აპირებთ თამაშს?**

- მე შემტევი და კომბინაციური ფეხბურთის მიმდევარი ვარ და „ვიტ ჯორჯია" სწორედ ასეთი სტილით ითამაშებს. დიდი ხანი არაა, რაც მთავარ გუნდში ვმუშაობ, მაგრამ უკვე ნელ-ნელა თვალსაჩინო ხდება ჩემი საფეხბურთო ხედვა. მინდა, გუნდმა მრავალფეროვნად შეუტიოს, ითამაშოს სწრაფად და აზრიანად, ჰქონდეს შეტევის ბევრი ვარიანტი. ბუნებრივია, არც სხვა რგოლებს ვივიწყებთ. მოხარული ვარ, რომ ყველა ამპლუაში გვყავს კვალიფიციური ფეხბურთელები.

**- „ვიტ ჯორჯია" უცხოურ შეკრებაზე არ წასულა, შემდეგ უამინდობის გამო ურეკში გამგზავრებაც ჩაიშალა. ამან მზადებაში ხელი ხომ არ შეგიშალათ?**

- თბილისში ვარჯიშით არაფერი დაშავებულა. პირიქით, საქართველოს კვალობაზე იდეალური საწვრთნელი პირობები გვქონდა შექმნილი. საბედნიეროდ, ამინდმაც ხელი შეგვიწყო და მოსამზადებელ პერიოდში მცირედი ჩავარდნაც კი არ გვქონია. ერთადერთი, რითიც უკმაყოფილო ვარ, შეკრების ხანგრძლივობაა. სეზონის მეორე ნახევრისთვის მოსამზადებლად სულ ოთხი კვირა გვქონდა, რაც, ჩემი აზრით, ფეხბურთელების ოპტიმალურ კონდიციებამდე მისაყვანად საკმარისი არაა. საამისოდ ექვსი კვირა მაინც იყო საჭირო, მაგრამ სხვა გზა არ გვქონდა, ფეხბურთელებს შვებულების გარეშე ხომ არ დავტოვებდით. ასე იმიტომ მოხდა, რომ 18 დეკემბერს სუპერთასზე ვითამაშეთ და ამის გამო შესვენება ჩვენ და „დინამოს" სხვებზე გვიან დაგვეწყო.

**- სეზონის განახლების წინ ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელად გყავთ?**

- საბედნიეროდ, ასეა. ერთადერთი ვახტანგ კვარაცხელია არაა ოპტიმალურ ფორმაში, რადგანაც სულ ახლახან გლანდების ოპერაცია გაიკეთა.

**- ჩემპიონატის მეორე ეტაპს „სამტრედიასთან" მატჩით ხსნით...**

- საკმაოდ ძლიერი მეტოქე გვყავს, მაგრამ მხოლოდ იმის გამო, რომ ეს წლის პირველი ოფიციალური შეხვედრაა, მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭებას არ ვაპირებთ. ჩვეულებრივად ვემზადებით, ისე, როგორც რიგითი კალენდარული მატჩისთვის. ბუნებრივია, მეორე ეტაპის გამარჯვებით დაწყება ყველას სურს და გამონაკლისები არ ვართ. სამი ქულის მოპოვება საკუთარი ძალების რწმენას შეგვმატებს. „სამტრედიას" დიდ პატივს ვცემ, მაგრამ კარგია, რომ პირველ ტურში რომელიმე ლიდერს არ ვეთამაშებით. ოპტიმალურ ფორმაში შესასვლელად მცირე დრო დაგვჭირდება და სჯობს, უშუალო კონკურენტებს მოგვიანებით დავუპირისპირდეთ.

**- მეორე ეტაპზე „ვიტ ჯორჯია" მეტოქეებს რუსთავის სტადიონზე უმასპინძლებს. ხელოვნურ საფარზე თამაში თქვენთვის რამდენად მისაღები და ხელსაყრელია?**

- ტექნიკური და შემტევი გუნდებისთვის ხელოვნური საფარი მისწრებაა და ამიტომაც, მოხარული ვარ, რუსთავში თამაშის საშუალება რომ მოგვეცემა. ასეთ შესანიშნავ მოედანზე ფეხბურთელებს საკუთარი შესაძლებლობების წარმოსაჩენად ხელ-ფეხი აქვთ გახსნილი.

**- „ვიტ ჯორჯიასთვის" წარმატებული შედეგი მხოლოდ საქართველოს თასის მოპოვება იქნება, თუ მხოლოდ ევროთასებზე გასვლაც დაგაკმაყოფილებთ?**

- საქართველოს თასი ჩვენს გუნდს აქამდე არასოდეს მოუგია და ამიტომაც, ამ ტიტულის დასაუფლებლად ძალ-ღონეს არ დავიშურებთ. აქვე აღვნიშნავ, რომ ნახევარფინალში „მარტვილთან" იოლ გასეირნებას სულაც არ ველი. უმაღლესლიგელებსა და პირველლიგელებს შორის ყველა ქვეყანაში დაძაბული ბრძოლები იმართება და სენსაციებიც საკმაოდ ხშირია. ასე რომ, სრული კონცენტრაციით თამაში გვმართებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 53 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

დინამო

# ახალწვეულები გამოამზეურეს

## რობერტინიო სატრანსფერო ფურცელს ელის

გუშინ თბილისის „დინამოს" ხელმძღვანელობამ მედია ზამთრის სატრანსფერო „შოპინგის" გასაცნობად ამაყად მიიწვია, რადგან „დინამო" საკმაოდ სოლიდური შენაძენებით გამორჩა:

32 - ბექა შეყრილაძე, 26 წლის მეკარეს ზურგს უმაგრებს თბილისის „თბილისში", რუსთავის „ოლიმპში", თბილისის „ლოკომოტივში", „ბორჯომსა" და ცხინვალის „სპარტაკში" გამოსვლის საკმაოდ კარგი გამოცდილება, თავის დროზე კი ახალგაზრდული ნაკრების კარს იცავდა. კონტრაქტი მხოლოდ სეზონის ბოლომდე გააფორმა.

18 - თენგიზ ჩიკვილაძე, ბოლნისის „სიონის" მარცხენა მცველი, რომელიც უნივერსალიზმით გამოირჩევა და წარმატებით შეუძლია დაცვისა და ნახევარდაცვის ფლანგზე, აგრეთვე, საყრდენად თამაში. და კიდევ, ჩიკვილაძე საკმაოდ ეფექტური და შედეგიანი მცველია. ჯერჯერობით მხოლოდ ექვსთვიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, მაგრამ ზაფხულში ორივე მხარე მის გახანგრძლივებას იმედოვნებს.

5 - ალექსანდრ კრსტესკი, 26 წლის მაკედონიელ მცველს სოლიდურ მაკედონიურ კლუბებში („ვარდარი", „რაბოტნიჩკი") გამოსვლის გამოცდილება აქვს. რუსთავის „ოლიმპთან" ჩატარებულ საკონტროლო შეხვედრაში გონიერი მცველის შთაბეჭდილება დატოვა. 26 წლის მაკედონიელმა ორწლიანი ხელშეკრულება დადო.

20 - რობერტინიო, 21 წლის ბრაზილიელი შემტევი ნახევარმცველი „ამერიკა მინეიროში" თამაშობდა და ნამდვილად არაა პლაჟის თუ ქუჩის ფეხბურთელი, როგორებსაც ქართულ კლუბებს ხშირად სთავაზობენ. ამიერიდან კლუბს ხუთი წლით ეკუთვნის.

8 - გიორგი (ჩიორა) თექთურმანიძე ერთხანს თბილისის „თბილისის" თილისმა გახლდათ, ნიჭიერი ფეხბურთელი „ზესტაფონიდან" ცხინვალის „სპარტაკში" გადავიდა, მაგრამ კობა ჟორჟიკაშვილთან ერთად გამოუშვეს და 35-ე სკოლის გუნდში, პირველ ლიგაში გამოდიოდა. შარშან ზამთარში გრაცის „შტურმში" ისინჯებოდა და დუბლების მწვრთნელს მოეწონა, მაგრამ ჯანის სისუსტე მინუსად ჩაუთვალეს. თუ ეს ნაკლი გამოასწორა, ახალ თაობაში ერთ-ერთ გამორჩეულ მოთამაშეს მივიღებთ. 19 წლის თექთურმანიძე პოზიციით გამთამაშებელია და მოედანს კარგად ხედავს. „დინამომ" მისი სატრანსფერო უფლება ხუთი წლით შეისყიდა.



დინამოს ახალწვეულები. მარცხნიდან: ალექსანდრ კრსტესკი, რობერტინიო, გიორგი კახელიშვილი, ბექა შეყრილაძე, თენგიზ ჩიკვილაძე, ჩიორა თექთურმანიძე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

31 - გიორგი კახელიშვილი, საქართველოს ჩემპიონ თბილისის „ვიტ ჯორჯიას" ერთ-ერთი საკვანძო ფეხბურთელი, ფლანგის თავდამსხმელი. კახელიშვილს რომ საკმაოდ დიდი პოტენციალი გააჩნია, „ლოკომოტივში", „ოლიმპსა" და „ვიტ ჯორჯიაში" გამოაჩინა. ეფექტური და სწრაფი მოთამაშეა, შეუძლია თამაშის გამწვავება. მან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

პრეზენტაციაზე თითოეულ მათგანს მუდმივნომრიანი (როგორც ზემოთაა მითითებული) მაისურა გადასცეს, გარდა ბრაზილიელი რობერტინიოსი. „დინამომ" მას ჯერ კონტრაქტი ვერ გაუფორმა, მაგრამ ეს ტექნიკური მხარეა. კლუბის მმართველი დირექტორის ბუბა ტყავაძის თქმით, ბრაზილიიდან სატრანსფერო ფურცლის გამოგზავნისთანავე, ნახევარმცველი ხელშეკრულებას გააფორმებს. ისე, რობერტინიოსთვის 20-ნომრიანი მაისურა უკვე გამზადებულია. პრეზენტაციის შემდეგ ახალწვეულებს გავესაუბრეთ.

### ალექსანდრ კრსტესკი

- თბილისის „დინამომდე" „ვარდარსა" და „რაბოტნიჩკიში" ვთამაშობდი. ვფიქრობ, თბილისური კლუბი არც ერთ მათგანზე ნაკლები არაა.

**- ევროპელი კაცი საქართველოში თამაშს როგორ დათანხმდი?**

- თბილისის „დინამო" ევროპაში ცნობილი კლუბია და მიწვევამ გამახარა. ადრე შექმნილი აზრი ჩამოსვლის შემდეგ კიდევ უფრო გამიმყარდა. ვნახე კლუბის ბაზა, საქმისადმი დამოკიდებულება, ფეხბურთელები, საკონტროლოები ჩავატარეთ და გუნდი ძალიან მომეწონა. სხვათა შორის, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ფეხბურთელებმა ძალიან გულთბილად მიმიღეს. ასეთ გარემოში თამაში სასიამოვნოა.

**- გუნდთან შეთამაშება მოახერხე?**

- ვფიქრობ, ბიჭებს კარგად გავუგე, რადგან მოსამზადებელ შეკრებაზე საკმაოდ სოლიდურ კლუბებთან კარგი ფეხბურთი ვაჩვენეთ და დაცვაში უხეშ შეცდომებს არ ვუშვებდით. სიმართლე გითხრათ, ვერ ვნახე განსხვავება იმავე დონეცკის „შახტართან". გამოჩნდა, რომ ამ დონის კლუბებთან თანაბრად თამაში შეგვიძლია. უკრაინელებთან ყველა მომენტი რომ გამოგვეყენებინა, აუცილებლად მოვიგებდით. საერთოდ, არის „შენი" და „სხვისი" გუნდები, მე კი შემიძლია გითხრათ, რომ თბილისის „დინამო" ჩემი გუნდია. აქ თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. სრული ადაპტაციისთვის მხოლოდ ერთი თვე მჭირდება და დარწმუნებული ვარ, ყველაფერი კარგად აეწყობა.

### ჩიორა თექთურმანიძე

- აქამდე ცხინვალის „სპარტაკსა" და 35-ე საფეხბურთო სკოლაში ვთამაშობდი. საქართველოს თასზე 35-ე სკოლა „დინამოს" შევხვდით და ეტყობა, კლუბი ამის შემდეგ დაინტერესდა ჩემით. მადლიერი ვარ „დინამოს" ხელმძღვანელობის, რომელიც მენდო და კონტრაქტი გამოფორმა. საუკეთესო ქართულ კლუბში თამაში ჩემთვის დიდი პასუხისმგებლობაა. შევეცდები, უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლაში გუნდს მცირედით მაინც დავეხმარო. ჯერ ძირითადში არ მითამაშია, მაგრამ იმედია, ამას მალე დავიმსახურებ.

**- შენ ყველაზე ხანგრძლივი კონტრაქტი გააფორმე - ხუთწლიანს რატომ დათანხმდი?**

- დიდი მნიშვნელობა არ აქვს, სამწლიანს გააფორმებ თუ ხუთწლიანს. შესაძლო ვარიანტის ძებნაში რეალურ და ამასთანავე, სასურველ წინადადებაზე უარის თქმა სისულელე იქნებოდა. საქართველოში „დინამოზე" უკეთესი ვარიანტი არ არსებობს, უცხოეთში დანარჩენ ქართულ კლუბებზე უკეთ იცნობენ და მისი ფეხბურთელისადმი სხვაგვარი პატივისცემა უჩნდებათ. ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

### გიორგი კახელიშვილი

- „დინამოს" ყოველთვის საუკეთესო ქართულ კლუბად ვთვლიდი და მიხარია, მისი ფორმა რომ მოვირგე. ბოლო წლების თითქმის ყველა ლიდერში მითამაშია, მაგრამ „დინამო" მაინც სხვა გუნდია, აქ მოხვედრაზე ყველა ქართველი ფეხბურთელი ოცნებობს. და კიდევ, ვინც აქ მომიყვანა, მათი იმედები უნდა გავამართლო.

**- კონკრეტულად, ვინ იყო ამ ტრანსფერის ინიციატორი?**

- „დინამოს" ხელმძღვანელობა და მწვრთნელი... გუნდს ისეთი ბაზა და სავარჯიშო პირობები გააჩნია, როგორითაც სხვა ვერავინ დაიტრაბახებს. ფეხბურთელი კი ასეთ პირობებში იზრდება.

**ბექა შეყრილაძე:**

**- ბექა, შენამდე გიორგი სომხიშვილიც მეორე მეკარეობისთვის მოიყვანეს. შენც იგივე როლი ხომ არ დაგეკისრა?**

- ჩემთვის არავის უთქვამს, რომ მეორე მეკარე ვიქნებოდი. ვინც დაიმსახურებს, ძირითადშიც ის ითამაშებს. შეკრებაზეც სამი მატჩი ჩავატარე და ეს შიში არ გამჩენია.

**- „დინამო" შენით როდის დაინტერესდა?**

- მე მხოლოდ ის ვიცი, რომ კლუბის ხელმძღვანელებმა გადასვლა ზამთრის შესვენებზე შემომთავაზეს და ძალიან გამახარეს. „დინამოში" ადრეც ვიყავი, მაგრამ ძირითადში ვერ ვხვდებოდი. ახლა კი სწორედ ამ იმედით მოვედი.

---

გაგრა

„გაგრა" ანთალიური შეკრებიდან დაბრუნდა და ორშაბათს ეროვნულ სტადიონზე თბილისის „დინამოსთან" მატჩით მეორე ეტაპის პირველ მატჩს გამართავს. გუნდის მთავარი მწვრთნელი კახა კარანაძე თურქული შეკრებით კმაყოფილია და მიაჩნია, რომ გუნდი დასახულ ამოცანას შეასრულებს.

### კახა კარანაძე

# უმაღლესში დარჩენა არ უნდა გაგვიჭირდეს

**- ბატონო კახა, შეკრებაზე დასახული გეგმები თუ შეასრულეთ?**

- უფრო ხანგრძლივი მოსამზადებელი პერიოდი რომ გვქონოდა, უკეთესადაც მოვემზადებოდით. პირველ წრეში გუნდი ფიზიკურად სუსტად გამოიყურებოდა და ჩვენი მიზანი ამ პრობლემის მოგვარება გახლდათ. ვფიქრობ, საკმაოდ დიდი სამუშაო გავწიეთ და ფეხბურთელები სასურველ კონდიციებამდე მივიყვანეთ. ვფიქრობ, ახლა გუნდი საკმაოდ კარგ ფორმაშია.

**- რა მდგომარეობა იყო პირველ წრეში?**

- არ მიყვარს წინამორბედზე ცუდის თქმა, მაგრამ... ბიჭები სასურველ კონდიციებში ვერ იყვნენ, რადგან ზაფხულში სათანადოდ ვერ მოემზადნენ.

**- სწორედ ამის გათვალისწინებით უთხარით „გაგრას" ხელმძღვანელობას, რომ არსებული მოთამაშეებით გუნდს უმაღლეს ლიგაში დატოვებდით?**

- დიახ, სწორედ ამის გათვალისწინებით. თანამედროვე ფეხბურთში ფიზიკურად მზად თუ არა ხარ, ვერ ასრულებ დავალებებს და ა.შ. მაშინ რომელილაც კონკრეტულ ტაქტიკურ სქემაში ფეხბურთელების დავალებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. მჯერა, რომ ჩვენს ფეხბურთელებს გაცილებით უკეთესი შედეგის ჩვენება შეუძლიათ, ვიდრე პირველ ნახევარში შეძლეს. თუმცა მოთამაშეთა გარკვეული ნაწილი გავუშვით.

**- ახლა ბიჭები მხეცებივით არიან?**

- მოსამზადებელი ეტაპი მაქსიმალურად გამოვიყენეთ და ფიზიკურ მომზადებასთან ერთად, ტაქტიკურ საკითხებზეც ვიმუშავეთ - ფეხბურთელები კონკრეტული ზონების მიხედვით გავარკვიეთ. საქართველოში ესეც დიდი პრობლემაა.

**- ანთალიაში დასამახსოვრებელი გამოდგა „გაგრას" გამარჯვება უკრაინის უმაღლესლიგელ „მარიუპოლთან" (3:0). როგორ? რა გზებით?**

- ჯერ იმას გეტყვით, რომ ჩასვლის შემდეგ რამდენიმე დღე აკლიმატიზაციისთვის დაგვჭირდა. ამით იყო გამოწვეული ლვოვის „კარპატისთან" 0:3 წაგება. ამის შემდეგ ბიჭებმა ნელ-ნელა კონდიციები აღიდგინეს და გუნდი დალაგდა. ფაქტობრივად, ახალ გუნდად ჩამოვყალიბდით და შემდეგი შეხვედრა კიევის „ობოლონთან" უკვე 0:0 ვითამაშეთ. საკამოდ ძლიერი კლუბი იყო, ბევრს მოძრაობდა, მაგრამ ვერ გვაჯობეს. ამის შედეგი იყო „მარიუპოლთან" გამარჯვება.

**- „ობოლონი" სამტრედიაში ვნახე და სიმართლე გითხრათ, გამიკვირდა, უკრაინელებმა მოძრაობასა და სისწრაფეში როგორ ვერ გაჯობეს?**

- აქცენტი ფიზიკურ მომზადებაზე გადავიტანე და ამ კუთხით, უკრაინელებს არაფერი დავუთმეთ. თანამედროვე ფეხბურთში მთავარია პირობები, მიდგომა და იმის ცოდნა, თუ როგორ უნდა მოემზადო. თუ ეს ყველაფერი განხორციელდა, უკრაინელებიც ადამიანები არიან და ჩვენებიც, ციდან ხომ არ ჩამოფრენილან და თავისუფლადაც ეთამაშები. ასეც მოხდა და ეს არ გამკვირვებია. ჩვენთან ახალგაზრდა ფეხბურთელების უმეტესობას მოსამზადებელი ეტაპი საერთოდ არ გაუვლია. ანთალიაში კი შევხვდით გუნდებს, რომლის ფეხბურთელებიც წელიწადში ხუთ-ექვს შეკრებას მაინც ატარებენ. ანთალიაში მათ ეს დანაკლისი ნაწილობრივ აინაზღაურეს, ფიზიკურად კარგად მოემზადნენ, ტაქტიკური განათლების პრობლემაც მეტ-ნაკლებად მოაგვარეს, გუნდური თამაში დალაგდა და აღმოჩნდა, რომ უკრაინელებთან თანაბრად თამაში შეგვძლებია.

**- ახალწვეულებზეც ვილაპარაკოთ.**

- თურქეთში საკმაოდ მძიმე ვითარებაში აღმოვჩნდით - ნადირაშვილი დაშავდა, თევდორაძეს კი მაღალი სიცხეები ჰქონდა და შეკრების დაწყებისას მეკარის დამატება დაგვჭირდა. ვიცოდით, ზვიად სტურუას სურდა მოსვლა და სიამოვნებით მოვიწვიეთ. გამოცდილი მეკარეა, წესიერი კაცია, ნაკრებში უთამაშია და მის გამოცდილებას დავეყრდენით. ვფიქრობ, არც შევმცდარვართ. ზვიადი შრომისმოყვარეა და ფორმაში შესვლა არ გაუჭირდება. იცით, ალბათ, რომ ლადო ნადირაშვილმა უკვე ოპერაცია გაიკეთა და სავარაუდოდ, მოედანს საკმაოდ მალე დაუბრუნდება, სამ კვირაში ვარჯიშს დაიწყებს და რეაბილიტაციაც, წესით, მალე უნდა გაიაროს. საბედნიეროდ, ჯვარედინი იოგების გაწყვეტას გადაურჩა, რისიც ყველაზე მეტად გვეშინოდა.

**- ბრაზილიელმა და სილვამ როგორი შთაბეჭდილება დატოვა?**

- და სილვა „გაგრაში" ჩემი მისვლის დროს ჩამოვიდა, მაგრამ შემდეგ დაიკარგა. ფაქტობრივად, რვა თვე არ უვარჯიშია, ეტყობა, ფეხბურთს თავს ანებებდა. თუმცა თამაში შეუძლია და კლუბის ხელმძღვანელობას დაველაპარაკე, რომ და სილვასთვის დრო მიეცათ. ამაზე შევთანხმდით და ფაქტობრივად, ბრაზილიელი გავაცოცხლეთ - მან თამაშებში ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

**- რვა თვის უთამაშებელი ორ კვირაში გამოცოცხლდა?!**

- ფაქტია, რომ კონდიციები აღიდგინა, უკვე ორივე ტაიმის თამაში შეუძლია და კარგადაც გამოიყურება. მაინც ბრაზილიელია და, როგორც იტყვიან, ბურთი არ ეშლება.

**- ალბათ, კლუბისთვის საინტერესო შენაძენია მცველი ხარაბაძე, რომელიც 15 წლისა ქუთაისის „ტორპედოს" ძირითადში თამაშობდა.**

- ამ ბიჭს ქუთაისში მუშაობის პერიოდიდან ვიცნობდი, პირველ ლიგაში ვათამაშებდი და მომწონდა. მერე 17-წლამდელებში გიორგი დევდარიანმა მიიწვია და შემიძლია ვთქვა, რომ ძალიან საინტერესო ბიჭია. უნივერსალია, დაცვის ორივე ფლანგსა და ნახევარდაცვაში თამაშობს.

**- თორნიკე ოქრიაშვილს ძირითადში ათამაშებთ, მაგრამ ზედმეტ ტვირთს ხომ არ ჰკიდებთ ამ 17 წლის ბიჭს?**

- ფეხბურთელის კლასს მისი სტაბილურობა განსაზღვრავს და ჩვენი დიდი სურვილია, თორნიკე ასეთად რაც შეიძლება მალე ჩამოყალიბდეს. მისი ასაკისთვის დამახასიათებელ ფსიქოლოგიურ მომენტებსაც ვითვალისწინებთ. თუმცა უდავოდ ნიჭიერი ბიჭია და ვფიქრობ, საქართველოს პერსპექტიულ საყრდენ ნახევარმცველს ვუზრდით.

**- გაბედავას ადგილი კარგა ხანი ვერ შეურჩიეს - ხან წინდაწეულ ნახევამცველს ათამაშებდნენ, ხან ფლანგის თავდამსხმელს და ცენტრფორვარდს.**

- ჩემი აზრით, გიორგი წმინდა ცენტრფორვარდია. რაც შეეხება დანარჩენ თავდამსხმელებს, ილია პავლიაშვილისთვის უფრო ბუნებრივი თავდამსხმელთა უკნიდან თამაშია, ირაკლი კიკნაძე კი ცენტრფორვარდია. სამივეს მომატება შეუძლია და იმედია, საკუთარ შესაძლებლობებს მეორე წრეში უკეთ გამოავლენენ.

**- პავლიაშვილსა და კიკნაძეს ათლეტიზმი და კუნთოვანი მასა აკლიათ და ამ პრობლემის მოსაგვარებლად თუ ავარჯიშებდით?**

- რა თქმა უნდა, ფეხბურთელს ნაკლის გამოსწორებაში კლუბი ყველანაირად ეხმარება.

**- თქვენი აზრით, დღევანდელი შემადგენლობითა და მომზადებით უმაღლეს ლიგაში დარჩენას მოახერხებთ?**

- ანთალიაში გაწეული მუშაობა მაიმედებს, რომ პრობლემა არ უნდა შეგვექმნას.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ფეხბურთი

ათეული წილისყრამდე

დავით ცაბაძის პროექტი

დღეს ვასრულებთ ამ რუბრიკას და სამი სხვადასხვა თაობისა და საფეხბურთო კასტის რესპონდენტი შევარჩიეთ. „ოქროს დინამოს“ თაობის მთავარი მეკარე, ამჟამად კი ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი ოთარ გაბელია... ფეხბურთის ფედერაციის წინა ხელმძღვანელებსაც გადავწვდით და რესპონდენტად ვალერი ჩოლარია შევარჩიეთ. სხვათა შორის, ჩოლარიას საუბრიდან გამომდინარე, თქვენც დარწმუნდებით, რომ რესპონდენტის არჩევანში არ შევმცდარვართ... პროექტის მესამე სტუმარი კი ეროვნული ნაკრების კაპიტანი კახა კალაძეა.

ჯერ ტრადიციულ ხუთ კითხვას კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი.

1. ფეხბურთის ფედერაციისა და ეროვნული გუნდის ხელმძღვანელთა შეცვლის შემდეგ, რამდენად იმედიანად ხართ განწყობილი ნაკრების მიმართ?

2. ექვსგუნდიან ჯგუფში სჯობს მოვხვდეთ, თუ ხუთგუნდიანში?

3. როგორია თქვენი პროგნოზი - ვის გვარგუნებს წილისყრა მეტოქეებად (თითო კალათიდან აირჩიეთ თითო გუნდი)?

I კალათა - ესპანეთი, გერმანია, პოლანდია, იტალია, ინგლისი, ხორვატია, პორტუგალია, საფრანგეთი, რუსეთი.

II კალათა - საბერძნეთი, ჩეხეთი, შვედეთი, შვეიცარია, სერბეთი, თურქეთი, დანია, სლოვაკეთი, რუმინეთი.

III კალათა - ისრაელი, ბულგარეთი, ფინეთი, ნორვეგია, ირლანდია, შოტლანდია, ჩრდ. ირლანდია, ავსტრია, ბოსნია-ჰერცეგოვინა.

IV კალათა - სლოვენია, ლატვია, უნგრეთი, ლიტვა, ბელარუსი, ბელგია, უელსი, მაკედონია, კვიპროსი.

VI კალათა - აზერბაიჯანი, ლუქსემბურგი, მალტა, ფარერები, ანდორა, სან მარინო.

4. თქვენი აზრით, რომელი გუნდები არიან საქართველოს ნაკრებისთვის სასურველი მეტოქეები და რატომ?

5. როგორ ფიქრობთ, რომელ ადგილზე გავა საქართველო ევრო 2012-ის შესარჩევ ციკლში?

## ოთარ გაბელია:
# იტალიას ველოდები



1. ყოველთვის იმას ვამბობდი, რომ ეროვნული გუნდის სათავეში ქართველი სპეციალისტის დანიშვნა უფრო მომგებიანი იქნებოდა. ძალიან გამიხარდა, როცა არჩევანი თემურ ქეცბაიაზე შეჩერდა. თემურს დიდი ხანია და კარგად ვიცნობ. ის ნამდვილი პროფესიონალია, სამართლიანი, ჟინიანი, მომთხოვნია. ფეხბურთელობისას ძლიერ თუ შედარებით სუსტ გუნდთან მოედანზე ყოველთვის ბოლომდე იხარჯებოდა. ამჯერად მწვრთნელია და სწორედ იმავეს მოსთხოვს ეროვნულის ფეხბურთელებს. მჯერა, ობიექტურად წაუძლვება სელექციის პროცესს და ჩვენს ეროვნულ ნაკრებს ძლიერ გუნდად აქცევს.

2. რა თქმა უნდა, ექვსგუნდიან ჯგუფში სჯობს მოხვედრა. მეტი თამაში გვექნება, ერთით მეტ მეტოქეს ვეთამაშებით და მეტ გამოცდილებას შეიძენენ ნაკრების ფეხბურთელები.

3. ოო, პროგნოზი. კარგი, ჩამოვთვლი... გერმანია, საბერძნეთი, ავსტრია, ლიტვა, სან მარინო.

4. პირველი კალათიდან სჯობს **იტალიას** შევხვდეთ. ამ ნაკრებთან უკვე ბევრჯერ გვაქვს ნათამაშები და არც ერთი შეხვედრა არ ყოფილა, იტალიელებს საგრძნობლად რომ დავეჩაგრეთ. თან, იტალიის გულშემატკივარი ვარ. იტალიის ნაკრებს ახლა თაობათა ცვლის პროცესი უდგას და უფრო უკეთ შეგვიძლია ვეთამაშოთ.

მეორე კალათიდან **საბერძნეთს** ავირჩევდი. ბერძნები ტექნიკურად თამაშობენ და ასეთ გუნდებთან უფრო გვიიოლდება თამაში. ამასთან, თემური საბერძნეთის ნაკრებს იცნობს. მანერის გარდა, მათი ფსიქოლოგიაც კარგად იცის. ეს ფაქტორი კი თანამედროვე ფეხბურთში უმნიშვნელო სულაც არ არის.

მესამედან უმჯობესი **შოტლანდია** იქნება. ეს ნაკრები დამარცხებული გვყავს. შოტლანდიელებს ჩვენს გუნდთან თამაში უჭირთ და ვფიქრობ, მათთან წარმატების მეტი შანსი გვექნება.

მეოთხე კალათიდან **ლატვიას** ავირჩევდი. ეს გუნდი კონტრშეტევაზე თამაშობს, ტექნიკური ფეხბურთელები ნაკლებად ჰყავს და მათ წინაალმდეგაც წარმატებით უნდა ვითამაშოთ.

ბოლო კალათიდან **ლუქსემბურგს** ავირჩევდი. თანამედროვე ფეხბურთში სუსტი მეტოქე არ არსებობს, მაგრამ ლუქსემბურგელებს ორივე თამაში უნდა მოვუგოთ.

5. ჯერ ვნახოთ, ვინ გვერგება მეტოქეებად. ჯგუფიდან გასვლა ყველას გვინდა, მაგრამ ჯერ ამაზე ლაპარაკი ნაადრევია. 2-3 საფეხურით წინ თუ წავიწევთ, ამ ეტაპისთვის ეს საკმაო წარმატება იქნება. ჯგუფში მე-3 ადგილზე რომ გავიდეთ, ეს უკვე დიდი ნახტომი იქნება.

## კახა კალაძე:
# ნელ-ნელა წინ წავიწევთ

1. დაგროვილი პრობლემები მხოლოდ ნაკრებს კი არა, მთლიანად ქართულ ფეხბურთს ეხებოდა. როგორც ჩანს, დაიწყო ამ პრობლემების მოგვარებაზე ზრუნვა და რა თქმა უნდა, იმედიც გაჩნდა, რომ ხვალ უკეთესობა იქნება. მეც იმედიანად ვარ განწყობილი. უკუსვლა უნდა დასრულდეს და ამიერიდან ნელ-ნელა წინ უნდა წავიწიოთ.

2. მეხუთე კალათაში ვართ და ვფიქრობ, გადამწყვეტი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, ხუთგუნდიან ჯგუფში მოვხვდებით თუ ექვსგუნდიანში. თანამედროვე ფეხბურთში იოლი მეტოქე არ არსებობს და ყველა გუნდის წინააღმდეგ მაქსიმალური მობილიზება საჭირო.

3. პროგნოზის გაკეთება გამიჭირდება და ამ კითხვაზე პასუხისგან თავს შევიკავებდი.

4. კალათებს თვალს თუ გადავავლებთ, საუკეთესო ვარიანტი იქნება ჩვენს გუნდში შემდეგი ხუთი ნაკრები თუ მოხვდება - **ესპანეთი, თურქეთი, ავსტრია, ბელარუსი, სან მარინო.** ვფიქრობ, კალათების მიხედვით, სხვა გუნდებთან შედარებით, სწორედ ესენი არიან სასურველი მეტოქეები.

5. ამ კითხვაზე გადაჭრით რაიმეს თქმა ყველას გაუჭირდება. ერთში კი ვარ დარწმუნებული, რომ ბოლო ადგილებზე ნამდვილად არ ვიქნებით და ნელ-ნელა მაინც წინ წავიწევთ.

ევრო 2012



# ხვალ ვარშავაში წილისყრაა...

დიახ, ხვალ თბილისის დროით 15 საათზე პოლონეთის დედაქალაქში ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა გაიმართება, რომლის პირდაპირი ტელერეპორტაჟის ნახვა, შეგახსენებთ, „პირველ არხზე“ შეგეძლებათ. ჩემპიონატის თანამასპინძელ პოლონეთისა და უკრაინის გარდა, ევროპის ქვეყნების ეროვნული გუნდები 9 ჯგუფში გადანაწილდებიან. აქედან სამი 5-გუნდიანი ჯგუფი იქნება, ექვსი კი 6-გუნდიანი. 5-გუნდიანი ჯგუფები პირველ 5 კალათში მყოფი თითო გუნდით დაკომპლექტება. მე-6 კალათის წარმომადგენელი კი მხოლოდ 6-გუნდიან ჯგუფში იქნება. პირველადგილოსნები და ერთი საუკეთესო მეორეადგილოსანი ავტომატურად ეუფლებიან ევრო 2012-ის საგზურს. დანარჩენი 8 მეორეადგილოსანი კი პლეი ოფში 4 საგზურისთვის იბრძოლებს. ჯამში ამ 14 ნაკრებს ჩემპიონატის თანამასპინძელი პოლონეთი და უკრაინა დაემატებიან და მივიღებთ 16 გუნდს, რომლებიც ევროპის ჩემპიონის ტიტულისთვის შეებრძოლებიან ერთმანეთს.

მოგეხსენებათ, საქართველო მე-5 კალათშია და წილისყრამდე მხოლოდ ის ვიცით, რომ უეფას გადაწყვეტილებით, ჩვენს ჯგუფში რუსეთი ვერანაირად ვერ მოხვდება... საქართველოდან წილისყრას ფედერაციის პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავა**, გენერალური მდივანი **რევაზ არველაძე** და ნაკრების თავკაცი **თემურ ქეცბაია** დაესწრებიან.

მანამდე კი ვნახოთ, რა პროგნოზს აკეთებენ პროექტის („ათეული წილისყრამდე“) რესპონდენტები. ათი მათგანიდან პროგნოზი მხოლოდ რვამ გააკეთა, **კახა კალაძემ** და **ვალერი ჩოლარიამ** კი სასურველი მეტოქეები დაასახელეს...

მურთაზ შელია - **პორტუგალია, თურქეთი, ჩრ. ირლანდია, ბელარუსი, ფარერები.**

შოთა არველაძე - **საფრანგეთი, შვეიცარია, ირლანდია, სლოვენია, მალტა.**

ელგუჯა გუგუშვილი - **საფრანგეთი, შვეიცარია, ჩრ. ირლანდია, სლოვენია, აზერბაიჯანი.**

მურთაზ ხურცილავა - **ესპანეთი, შვედეთი, ისრაელი, ლატვია, ფარერები.**

თენგიზ სულაქველიძე - **იტალია, შვედეთი, ბოსნია, ბელგია, მალტა.**

რამაზ შენგელია - **პორტუგალია, სერბეთი, ავსტრია, კვიპროსი, ლუქსემბურგი.**

არჩილ არველაძე - **გერმანია, შვეიცარია, ისრაელი, უნგრეთი, ლუქსემბურგი.**

ოთარ გაბელია - **გერმანია, საბერძნეთი, ავსტრია, ლიტვა, სან მარინო.**

კახა კალაძე - **ესპანეთი, თურქეთი, ავსტრია, ბელარუსი, სან მარინო.**

ვალერი ჩოლარია - **გერმანია, სლოვაკეთი, ისრაელი, ლატვია, ფარერები.**

## ვალერი ჩოლარია:
# მთავარია, ის კოშმარი დამთავრდეს, რაც აქამდე იყო

1. ბოლო წლების განმავლობაში, ხშირად გვესმოდა, ქართული ფეხბურთი წინ მიდისო. ეს რომ ასე არ იყო, არაერთხელ გამოჩნდა. ამ სამიოდე დღის წინ ფიფას თებერვლის რეიტინგში კიდევ ერთხელ დამტკიცდა, თუ რა პოზიცია გვიჭირავს მსოფლიო ფეხბურთში... მაშინ, როცა ფეხბურთის ფედერაციას მერაბ ჟორდანია ხელმძღვანელობდა და გენერალური მდივანი ვიყავი... მართალი გითხრათ, ვარსკვლავებს არ ვწყვეტდით, მაგრამ გაცილებით უკეთესი პოზიცია ეკავა ჩვენს ფეხბურთს. იმ დროისათვის, პოსტსაბჭოთა სივრცეში, რუსეთისა და უკრაინის შემდეგ მე-3 ადგილზე ვიყავით ფიფას რეიტინგში. ახლა კი რა ხდება? მსოფლიოში 122-ე ადგილზე ვართ, პოსტსაბჭოთა სივრცეში კი მე-11-ზე. საბჭოთა კავშირის ყოფილი ქვეყნებიდან დღეისათვის ფიფას რეიტინგში მხოლოდ ყაზახეთს, თურქმენეთსა და ტაჯიკეთს ვუსწრებთ. ბელარუსმა, ბალტიისპირეთის ქვეყნებმა, აზერბაიჯანმა, სომხეთმა, უზბეკეთმა გაგვისწრო. ევროპის 53 ქვეყანაში კი სამწუხაროდ, 48-ე ადგილზე ვართ. ჩვენს უკან ისეთი ქვეყნებია, როგორიცაა ანდორა, სან მარინო, ლუქსემბურგი, ლიხტენშტაინი... ამით კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ჩვენი ფეხბურთი წინ კი არ მიდიოდა, უფსკრულში მიექანებოდა...



რაც შეეხება ეროვნული ნაკრების ახალ თავკაც თემურ ქეცბაიას, 1988-92 წლებში თბილისის „დინამოს“ ვიცე-პრეზიდენტი ვიყავი, მაშინ კლუბს ოთარ წეროძე ხელმძღვანელობდა. თემური მაშინ ჩვენს გუნდში თამაშობდა და ჩვენს ხელში გადავიდა კვიპროსულ „ანორთოსისში“. ქეცბაია ყველანაირად დადებითი ადამიანია, როგორც პიროვნება, როგორც ფეხბურთელი და როგორც მწვრთნელი. მან კარგად იცის, რომ ნაკრებში დიდი მუშაობა მოუწევს ძლიერი გუნდის ჩამოსაყალიბებლად. ძალიან მინდა, მას კარგი შედეგები ჰქონდეს იმ გუნდში, რომელშიც წლების წინ თავადვე თამაშობდა და წამყვანი ფიგურა იყო. თუმცა თემურს წარმატებები არ ექნება, თუ სახელმწიფო, გულშემატკივარი და მთელი საფეხბურთო სამყარო მხარში არ ამოვუდექით. პირადად მე ვაცხადებ, რომ მხარში დავუდგები. ქეცბაიას ყველას მხარში დგომა სჭირდება, რათა ჩვენმა ფეხბურთმა ღირსეული ადგილი დაიბრუნოს. ის ადგილი, რომელსაც მდიდარი წარსულიც გვავალდებულებს.

2. ფეხბურთს მოთამაშეები თამაშობენ და მოედანზე სწორედ მათ უნდა შეასრულონ მწვრთნელის დავალება. თუ ასე არ იქნება, მაშინ მნიშვნელობა არ აქვს ხუთგუნდიან ჯგუფში ვიქნებით თუ ექვსგუნდიანში. ყველა შემთხვევაში, ჩვენს ჯგუფში 1-2 ძლიერი გუნდი მოხვდება და მინდა ისეთი გუნდი გვერგოს მეტოქედ, რომელიც კარგ ფეხბურთსაც თამაშობს და მათთან მეტოქეობა ჩვენთვის ფინანსურადაც მომგებიანი იქნება. მაგალითისთვის, ხორვატია პირველ კალათაშია და ამ ქვეყნის ნაცვლად გვირჩევნია გერმანია, ინგლისი ან იტალია გვერგოს მეტოქედ პირველი კალათიდან... მეხუთე კალათაში ვართ და წილისყრის შემდეგ, სათამაშო კალენდრის შემუშავებისთვის, თათბირზე, „პირველი ვიოლინო“ ვერ ვიქნებით. თუმცა ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ, რათა ჩვენთვის სასურველი ვარიანტი გავიტანოთ. ყველასათვის იდეალური კალენდარი არ არსებობს. ყველანაირად უნდა შევეცადოთ, რომ შესარჩევი ციკლი საშინაო მატჩით დავიწყოთ. ამდენი ნაგება გუნდის ფსიქოლოგიაზეც მოქმედებს და სჯობს საშინაო მატჩით მოგების გემო გავიხსენოთ.

3. მომიტევეთ, მაგრამ პროგნოზის გაკეთებას მოვერიდები. მხოლოდ ერთს ვიტყოდი, მინდა ჩვენს ჯგუფში ისეთი გუნდები მოხვდნენ, რომლებთან მეტოქეობაც ფინანსურად მომგებიანი იქნება და მოწინააღმდეგეები ჩვენთან თამაშისას ფორმაში არ იქნებიან.

4. პირველი კალათიდან **გერმანიას** ავირჩევდი. ფინანსური და საფეხბურთო თვალსაზრისით, ამ გუნდის მეტოქეობა ჩვენთვის სასარგებლო იქნება.

მეორე კალათაშიც იმ დონის ნაკრებებია, რომ **სლოვაკეთი** ყველას სჯობს. ვფიქრობ, კარგი მომზადებისა და თამაშისას მაქსიმუმის გაღების შემთხვევაში, ჩვენ ამ ნაკრებთან წარმატება შეგვიძლია.

მესამე კალათიდან სხვა გუნდებს **ისრაელს** ვამჯობინებდი. ლადო დვალიშვილი ჩვენს ნაკრებში ჯერჯერობით ვარსკვლავად არ მიიჩნევა. თუმცა ისრაელის ჩემპიონატში აშკარად გამორჩეულია. ამ თვალსაზრისით, ისრაელთან მეტოქეობა სჯობს. ვფიქრობ ამ გუნდთან ტოლი-ტოლზე შეგვიძლია თამაში.

მეოთხე კალათიდან **ლატვია** უმჯობესია. თუნდაც ინფორმაციული თვალსაზრისით. ლატვიელებთან წარმატებულად შეგვიძლია ვითამაშოთ, თანაც ეს გუნდი ჯგუფის სხვა გუნდებს ქულებსაც აართმევს.

ბოლო კალათიდან **ფარერები**, რეიტინგში ჩვენ წინ კი არის, მაგრამ ქართველებთან თამაშში მაინც „ფრაერები“ არიან. ამ გუნდს ყოველთვის ვუგებთ.

5. მთავარია, ის კოშმარი და უკუსვლა დამთავრდეს, რაც წინა შესარჩევ ციკლში იყო. მთავარია, მცირე, მაგრამ შესამჩნევი ნაბიჯით წინსვლა დავიწყოთ და ამ ეტაპისათვის ეს უკვე წარმატება იქნება.

გვერდი მოამზადა
**დავით ცაბაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

## დავით თარგამაძე

# ვრჩები და ძირითადისთვის ვიბრძოლებ!

არაერთხელ დაგვიწერია, რომ დავით თარგამაძეს „ფრაიბურგის“ დატოვება და იჯარით სხვა კლუბში გადასვლა სურდა, მაგრამ ასე არ მოხდა და ახალგაზრდა ქართველი ნახევარმცველი სეზონს ამჟამინდელ გუნდში ჩაამთავრებს. „ფრაიბურგში“ დარჩენის მიზეზებისა და სამომავლო გეგმების შესახებ თარგამაძეს რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

**- სატრანსფერო ფანჯარა უკვე დაიხურა. რატომ ვერ მოხერხდა თქვენი განათხოვრება?**

- რამდენიმე კლუბს ჩემი იჯარით წაყვანის სურვილი ჰქონდა და მეგონა, რომ ამას წინ ველარაფერი დაუდგებოდა, მაგრამ მიზეზთა გამო, გეგმა ვერ განხორციელდა. როგორც გახსოვთ, „ფრაიბურგის“ დატოვებას გასულ ზაფხულსაც ვაპირებდი, მაგრამ მაშინაც დავრჩი და ბუნდესლიგის რამდენიმე მატჩში თავის გამოჩენის შესაძლებლობა მომეცა. იმედი მაქვს, ახლაც ასე იქნება.

**- რომელი კლუბები გიწვევდნენ?**

- ეს უკვე ჩავლილი ამბავია და დაკონკრეტებას აზრი აღარც აქვს. მხოლოდ ზოგადად გეტყვით, რომ ძირითადად, მეორე ბუნდესლიგაში თამაშის ვარიანტები მქონდა.

**- „ფრაიბურგში“ დარჩენის გამო განწყობა ხომ არ გაგიფუჭდათ?**

- მართალია, კლუბი არც ამჯერად შევიცვალე, მაგრამ ამის გამო დამწუხრებული სულაც არ ვარ. მოვლენათა ასეთი განვითარებისთვისაც მზად ვიყავი და ამიტომაც მშვიდად ვარ.

**- გაქვთ იმედი, რომ „ფრაიბურგის“ ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად იბრძოლებთ?**

- რატომაც არა. მწვრთნელები კარგი თვალით მიყურებენ და მჯერა, ჩემი დროც მოვა. გუნდში საკმაოდ დიდი კონკურენციაა და ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის ძირითადში მოხვედრა განსაკუთრებით ძნელია. თუმცა დანებებას არ ვაპირებ. მადლობა ღმერთს, ჯანმრთელად ვარ, შრომას ძველებურად განვაგრძობ და ჩემს შანსს დაველოდები. დარწმუნებული ვარ, მოედანზე შესვლის შესაძლებლობა მეც მომეცემა.

**- როგორც ვიცით, „ფრაიბურგის“ მეორე გუნდში თამაშის უფლება აღარ გაქვთ...**

- დიახ, ამ სეზონიდან მოყოლებული, ასაკის გამო მეორე გუნდში ვეღარ ვთამაშობ და ეს ფაქტორი ხელს მიშლის. როცა მეორე გუნდში სისტემატურად ვთამაშობდი, ჩემი პროგრესი აშკარა იყო, უფრო მოტივირებული და კონცენტრირებული ვიყავი, მხოლოდ ვარჯიშით კი ფორმის შენარჩუნება ძალიან რთულია. მართალია, ჯერჯერობით ძირითადში ვერ ვხვდები, მაგრამ „ფრაიბურგში“ გატარებულ დროს დაკარგულად ნამდვილად არ მივიჩნევ. აქ ხომ საკმაოდ მაღალი დონის ფეხბურთელებთან ერთად ვვარჯიშობ და მწვრთნელებიც უმაღლესი დონის პროფესიონალები გვყავს. „ფრაიბურგიდან“ წასვლამაც რომ მომიწიოს, აქ მიღებული ცოდნა სამომავლოდ აუცილებლად წამადგება.

**- თუ ზაფხულამდე ვითარება არ შეიცვალა, „ფრაიბურგში“ მაინც დარჩებით?**

- არა, ეს უკვე გამორიცხულია. თუ სათამაშო პრაქტიკა არ მექნება, ზაფხულში გუნდს ყოველ მიზეზგარეშე შევიცვლი. კიდევ ნახევარწლიანი უთამაშებლობა უკან დამხევს. მართალია, „ფრაიბურგი“ პირველი ბუნდესლიგის ბინადარია, მაგრამ მხოლოდ მისი წევრობით კმაყოფილი ვერ ვიქნები. ჩემი მთავარი მიზანი საქართველოს ნაკრებში მოხვედრაა, უქმობით კი ამის შანსი არ მექნება.

**- თქვენი „ფრაიბურგში“ დარჩენა იმაზეც ხომ არ იქნება დამოკიდებული, შეინარჩუნებს თუ არა გუნდი ადგილს პირველ ბუნდესლიგაში?**

- ნაწილობრივ ასეცაა. თუ „ფრაიბურგი“ მეორე ბუნდესლიგაში გავარდა, გუნდი ბევრ ძლიერ ფეხბურთელს ვერ შეინარჩუნებს, რაც ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის უფრო კარგ შანსს მომცემს. თუმცა ნამდვილად არ მინდა, რომ მოვლენები ასე განვითარდეს. კონკურენციისთვის ახლაც მზად ვარ. მინდა, მომავალ სეზონშიც პირველ ბუნდესლიგაში ვითამაშო და მოედანზე ხშირად გავიდე. მოკლედ, ამაღლებულ განწყობაზე ვარ, გადაწყვეტილია, რომ „ფრაიბურგში“ ვრჩები და ძირითადი შემადგენლობისთვის ვიბრძოლებ!

**ლევან ჯანეზაშვილი**



ცენტრში დავით თარგამაძე

ლეგიონი

# პირველი მარცხი

მას მერე, რაც **ლევან კობიაშვილი** ბერლინის „ჰერტაში“ გადავიდა, ამ გუნდმა პირველად გაუშვა გოლები და პირველად დამარცხდა. **კლაუდიო პისაროს** მიერ 81-ე წუთზე გატანილმა გოლმა გამარჯვება მასპინძელ „ვერდერს“ მოუტანა - 2:1. ლევანმა 90 წუთი ითამაშა და უხეშობისთვის ყვითელი ბარათიც მიიღო. ჯერჯერობით, 11 ქულით „ჰერტა“ უიმედო აუტსაიდერად რჩება.

მეორე ბუნდესლიგაში კვლავ არ გამოჩენილა **ალექსანდრე იაშვილი**, რომელსაც წლეულს ჯერ არ უთამაშია. ქართველი კაპიტნის გარეშე „კარლსრუე“ ჰამბურგში ადგილობრივ „ზანქტ პაულისთან“ დამარცხდა - 1:2. იაშვილის გუნდს 24 ქულა აქვს და მე-12 ადგილზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ინგლისი. პრემიერლიგა. XXV ტურის წინ





ხვალ გამოჩნდება, გააგრძელებს თუ არა არსენალი ჩემპიონობისთვის ბრძოლას

# იუნაიტედის ტური

| დღეს | |
|---|---|
| ლივერპული-ევერტონი | 16:45 |
| ბოლტონი-ფულჰემი | 19:00 |
| ბარნლი-ვესტ ჰემი | 19:00 |
| ჰალი-მანჩესტერ სიტი | 19:00 |
| მანჩესტერ იუნ-პორტსმუთი | 19:00 |
| სტოკი-ბლექბერნი | 19:00 |
| სანდერლენდი-უიგანი | 19:00 |
| ტოტენჰემი-ასტონ ვილა | 21:30 |
| **ხვალ** | |
| ბირმინგემი-ვულვზი | 17:30 |
| ჩელსი-არსენალი | 20:00 |

**არსენ ვენგერს** კარგად მოეხსენება, რომ თუ მის გუნდს ამ სეზონში ჩემპიონის ტიტულისთვის ბოლომდე ბრძოლა სურს, ხვალ „ჩელსისთან“ არ უნდა დამარცხდეს - ამ შეხვედრაზე შესაძლოა ბევრი რამ აღმოჩნდეს დამოკიდებული. ისე, ბევრი რამ იყო დამოკიდებული „არსენალის“ წინა ტურის შეხვედრაზეც, რომელიც პირველად მსოფლიო ტელემაუწყებლობის ისტორიაში სამგანზომილებიანი ფორმატით გადაიცა, მაგრამ „მანჩესტერ იუნაიტედმა“ მშობლიურ „ემირეიტ სთედიუმზე“ ისე გადაურბინა (3:1), რომ ვენგერს თავისი ფეხბურთელების უხეში შეცდომების დასანახად საგანგებო სათვალეები ნამდვილად არ დასჭირვებია. არადა, იანვარში, როდესაც ჩრდილოლონდონელები პრემიერლიგის ცხრილის სათავეში მოექცნენ, ყველას ეგონა, რომ ამ გუნდს ველარავინ შეაჩერებდა, მაგრამ აღზევებას 11 დღიანი (ჯერჯერობით) ჩავარდნა მოჰყვა - ამ 11 დღის განმავლობაში „მეთოფეები“ ფეხბურთის ასოციაციის თასზე „სტოკ სიტისთან“ დამარცხდნენ, ბირმინგემში „ასტონ ვილასთან“ 0:0 ითამაშეს, ხოლო „მანჩესტერ იუნაიტედთან“ რაც მოუვიდათ, ზემოთ გითხარით.

მაგრამ, ისიც ფაქტია, რომ საჩემპიონო ბრძოლა მარტო ერთი შეხვედრისგან არ შედგება და ამიტომ, შეიძლება ითქვას, სამშაბათს „არსენალსა“ და „მანჩესტერ იუნაიტედს“ „ჰალ სიტიმ“ უძღვნა დიდი საჩუქარი: „ჩელსის“ 1:1 ეთამაშა და ორი ქულა დააკარგვინა. მართალია, ამის გამო „ლურჯებს“ ცხრილში პირველი ადგილი არ დაუკარგავთ, მაგრამ შეეძლოთ ხვალინდელი დიდი მატჩის წინ „იუნაიტედზე“ ორით კი არა, ოთხი ქულით წინ ყოფილიყვნენ და თავიც ქუდში უფრო ღრმად ჰქონოდათ შეყოფილი. რაც შეეხება „ჩელსისა“ და „არსენალს“ შორის განსხვავებას, ის 6 ქულაა, რაც იმას ნიშნავს, რომ **კარლო ანჩელოტიმ** კარგად იცის: „მეთოფეთა“ დამარცხება შესაძლოა მათი გზიდან საბოლოოდ ჩამოშორებასაც კი ნიშნავდეს.

არადა, არსენ ვენგერის ბიჭებს მიმდინარე სეზონში გოლი გოლზე გააქვთ, 24 შეხვედრაში 60 აქვთ შეგდებული, - ყველაზე მეტი - თუმცა, „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და „ჩელსისთან“ უშუალო დაპირისპირებები წააგეს. დიახ, ნოემბერში „ლურჯებმა“ „მეთოფეებს“ 3:0 მოუგეს. მოგეხსენებათ, შემდეგ „არსენალმა“ ძალ-ღონე მოიკრიბა და, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ცხრილის სათავეშიც კი მოექცა, მაგრამ დღეს მთელი ინგლისი დარწმუნებულია, რომ გუნდს ხუთწლიანი პაუზის შემდეგ ჩემპიონის ტიტულის მოპოვება აღარ შეუძლია - საამისოდ ფეხბურთელების ოსტატობა არ ჰყოფნის.

ჩვეულებრივ, ვენგერი თავისი მოთამაშეების დასაცავად ფარად არის ხოლმე აღმართული, მაგრამ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ გასული კვირის უსუსური თამაშის შემდეგ მათ გასამართლებლად სიტყვების პოვნა უჭირს. ფრანგმა მწვრთნელმა ბრძანა: *„ჩვენ რგოლებსა და ფეხბურთელებს შორის კავშირი გვქონდა გაწყვეტილი. ის ფეხბურთი, რომელიც მოწინააღმდეგეს დავუპირისპირეთ, მეტისმეტად გულუბრყვილო ჩანდა. იმ დღეს „არსენალი“ თავის თავს არ ჰგავდა. რატომ? ვფიქრობ, ფსიქოლოგიური და მენტალური მიზეზების გამო“.*

რაც შეეხება „ჩელსის“, როგორც მოგახსენეთ, მან ოთხი დღის წინ ჰალში ქულები დაკარგა, რასაც, ბევრი მიმომხილველი გუნდის კაპიტნის **ჯონ ტერის** გარშემო ატეხილ აურზაურს მიაწერს, თუმცა კარლო ანჩელოტი მოედანსმიღმა პრობლემებზე არ ლაპარაკობს:

*„ვფიქრობ, ჩინებულ პოზიციაში ვართ, ცხრილში პირველი ადგილი გვიკავია. მართალია, ჩვენ უძლიერესი კონკურენტი, „მანჩესტერ იუნაიტედი“ გვყავს, მაგრამ პირველობის დამთავრებამდე ჯერ ძალიან დიდი დროა. იმისათვის, რომ ჩემპიონები გავხდეთ, აუცილებელია მთელი შემადგენლობა ბოლომდე ჯანმრთელად გვყავდეს. ამიერიდან, ყოველი შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანია, ყოველმა დაკარგულმა ქულამ შეიძლება ტიტულის ბედზე იქონიოს გავლენა“.*

რაც შეეხებათ დაშავებულებს, ამ თვალსაზრისით სიახლე არც „არსენალშია“ და არც „ჩელსიში“. „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელ **სერ ალექს ფერგიუსონს** კი ერთი საოცარი თვისება აქვს, მისი გუნდი ფორმაში ყოველთვის სეზონის ყველაზე საჭირო, გარდამტეხ, საბედისწერო მნიშვნელობის მქონე დროს შედის. ასე მოხდა ამ სეზონშიც: ლიგის თასზე „მანჩესტერ სიტისთან“ პრინციპულ ნახევარფინალში გამარჯვებას ამ წერილში უკვე რამდენიმეჯერ ნახსენები „არსენალთან“ შთამბეჭდავი გამარჯვება მოჰყვა. დღეს „იუნატედი“ „პორტსმუთს“ ხვდება, „პორტსმუთი“ აუტსაიდერია, რაც იმას ნიშნავს, რომ ფერგი და მისი რაზმი სამ ქულას მოიპოვებს. მერედა, იმის გამო, რომ ინგლისის ჩემპიონის ორი უმთავრესი კონკურენტი ხვალ ერთმანეთს ხვდება, ეს ტური სერ ალექსის ბიჭებისთვის შესაძლოა ძალიან იღბლიანი გამოდგეს.

კორეელი ნახევარმცველი **პარკ ჯისუნი** ამბობს: *„ჩვენ მოგებები უნდა განვაგრძოთ, რითაც „ჩელსიზე“ დიდ ზეწოლას მოვახდენთ. ჩემპიონატის დამთავრებამდე კი ჯერ კიდევ მთელი სამი თვეა, რაც იმას ნიშნავს, რომ დღეს ყველაზე კარგი კარგ ფორმაში ყოფნა და შორსმიმავალი ანგარიშების გარეშე ყოველდღიურად კარგი თამაშია. ერთი დაბეჯითებით შემიძლია გითხრათ: ჩვენ ნებისმიერ დაძაბულობას გავუძლებთ. ვნახოთ, „ჩელსი“ გაუძლებს თუ ვერა“.*

დღეს კიდევ ერთი საინტერესო შეხვედრაა: მეოთხე ადგილზე მყოფი „ტოტენჰემ ჰოთსპური“ მეშვიდეზე მყოფ „ასტონ ვილას“ მასპინძლობს. ეს ტოპოთხეულში შესვლის მსურველი ოთხი გუნდიდან უმაღლესისა და უმდაბლესის დაპირისპირებაა. ამ ორს შორის „ლივერპული“ და „მანჩესტერ სიტი“ განლაგებულან და თავის წილ შანსს ელიან. „სიტი“, რომელსაც ლიდერებთან შედარებით ორი შეხვედრით ნაკლები აქვს ნათამაშევი, „ჰალში“ მიდის, „ლივერპულს“ კი არც მეტი არც ნაკლები მერსისაიდული დერბი ელის: „ლივერპული“-“ევერტონი“.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 24 | 17 | 4 | 3 | 58-20 | 55 |
| 2. მანჩესტ. იუნ | 24 | 17 | 2 | 5 | 56-20 | 53 |
| 3. არსენალი | 24 | 15 | 4 | 5 | 60-28 | 49 |
| 4. ტოტენჰემი | 24 | 12 | 6 | 6 | 45-25 | 42 |
| 5. ლივერპული | 24 | 12 | 5 | 7 | 42-26 | 41 |
| 6. მანჩესტ. სიტი | 22 | 11 | 8 | 3 | 44-30 | 41 |
| 7. ასტონ ვილა | 23 | 11 | 7 | 5 | 31-18 | 40 |
| 8. ბირმინგემი | 23 | 9 | 7 | 7 | 22-23 | 34 |
| 9. ევერტონი | 23 | 8 | 8 | 7 | 33-34 | 32 |
| 10. ფულჰემი | 24 | 8 | 6 | 10 | 27-28 | 30 |
| 11. ბლექბერნი | 24 | 7 | 7 | 10 | 25-40 | 28 |
| 12. სტოკი | 22 | 6 | 8 | 8 | 19-26 | 26 |
| 13. სანდერლენდი | 23 | 6 | 6 | 11 | 30-40 | 24 |
| 14. უიგანი | 22 | 6 | 4 | 12 | 24-47 | 22 |
| 15. ვესტ ჰემი | 23 | 4 | 9 | 10 | 29-38 | 21 |
| 16. ბოლტონი | 22 | 5 | 6 | 11 | 29-44 | 21 |
| 17. ვულვზი | 23 | 5 | 6 | 12 | 19-40 | 21 |
| 18. ჰალი | 24 | 4 | 9 | 11 | 23-49 | 21 |
| 19. ბარნლი | 23 | 5 | 5 | 13 | 23-46 | 20 |
| 20. პორტსმუთი | 23 | 4 | 3 | 16 | 19-36 | 15 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფეხბურთო კანონების ომი

# სამკლუბიანები

**ნიკი შორიმ** ფიფას ყურადღება მიიპყრო - 28 წლის ინგლისელმა მცველმა ოთხშაბათს „ფულჰემის“ შემადგენლობაში „პორტსმუთის“ წინააღმდეგ ითამაშა და ყველას თვალში მოხვდა, რომ ეს მისი მესამე (!) კლუბი იყო მიმდინარე სეზონში. ფიფაში უკმაყოფილონი არიან - ინგლისური საფეხბურთო კანონმდებლობა ისეა მოწყობილი, რომ მთელი მსოფლიოსთვის საერთო კანონების მოხერხებულად გვერდის ავლის საშუალებას იძლევა. დავაზუსტოთ: ფიფას წესებით, ფეხბურთელებს სეზონის განმავლობაში მხოლოდ ორი კლუბის გამოცვლის უფლება ეძლევათ, შორიმ კი აგერ უკვე მესამე მაისურა მოირგო.

ფეხბურთელმა, რომელსაც კარიერაში ინგლისის ნაკრებში ორი თამაში აქვს ჩატარებული, „ფულჰემში“ „ასტონ ვილადან“ ამოყო თავი - ბირმინგემელებმა იგი ლონდონელებს მიაქირავეს. მანამდე კი მცველმა 9 შეხვედრის ჩატარება „ნოტინგემ ფორესტშიც“ მოასწრო, სადაც ასევე „ვილადან“ გახლდათ გაქირავებული. აღსანიშნავია, რომ შორისა და „ფულჰემს“ ფიფას რისხვისგან დასაცავად ინგლისის ყველა საფეხბურთო ორგანიზაცია გადაეფარა: ფეხბურთის ასოციაცია, პრემიერლიგა თუ ფეხბურთის ლიგა. თითოეული მათგანის აზრით, მცველისთვის „ნოტინგემში“ გატარებული პერიოდი საგანგებო გარემოებებით იყო გამოწვეული, ეს შემთხვევა კი ბრიტანეთის კუნძულებზე ცალკე პუნქტით აქვთ გათვალისწინებული.

ისე კი, ჯერ სადა ხართ, დღეს ფიფა შესაძლოა კიდევ უფრო გაბრაზდეს: თუ „სტოკ სიტიში“ „ბლექბერნის“ წინააღმდეგ **ასმირ ბეგოვიჩი** ითამაშებს, ეს შორის მსგავსად ბოსნიელი გოლკიპერისთვისაც მესამე კლუბი იქნება მიმდინარე ჩემპიონატში. „პორტსმუთის“ კარის ყოფილი მცველი ცოტა ხნის წინ 6 თამაშით „საგანგებო გარემოებათა გამო“ „იფსვიჩში“ გახლდათ გაქირავებული. ამ ამბებთან დაკავშირებით ფიფას პრესმდივანმა განაცხადა:

*„ფიფა ინგლისელების „საგანგებო გარემოებათა სისტემის“ გამო შეშფოთებულია და ამ ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციისთვის ამ საკითხთან დაკავშირებით ადრეც არაერთხელ მიუმართავს. ჩვენ ახლაც ვაპირებთ პასუხისმგებელ პირებთან დაკავშირებას. ფიფას კანონთა მე-5 პუნქტის მე-3 პარაგრაფში, რომელიც ფეხბურთელთა ტრანსფერების სტატუსს ეხება, ყველაფერი მარტივად და გარკვევითაა ნათქვამი და ყველა ქვეყანა, კლუბი თუ ფეხბურთელი მის შესაბამისად უნდა იქცეოდეს“.*


ნიკი შორი

დავაზუსტოთ: ხსენებული პუნქტპარაგრაფის მიხედვით, მოთამაშეს ერთი სეზონის განმავლობაში უფლება აქვს სამ სხვადასხვა კლუბთან გააფორმოს კონტრაქტი, მაგრამ თამაში მხოლოდ ორში შეუძლია. რაც შეეხება ინგლისურ „საგანგებო გარემოებათა სისტემას“, იგი ქვეყნის ფეხბურთის ლიგამ იმიტომ შემოიღო, რომ მოთამაშეებს ფიფას მიერ დაწესებული მკაცრი სატრანსფერო კანონების გვერდის ავლის საშუალება მისცეს და თან ბევრფეხბურთელიანი, თავკომბალა გუნდების დაგროვება აიცილოს თავიდან.

**ილია ბაბუნაშვილი**


იუვენტუსის დაცვაში კიელინისა და კანავაროს კონკურენტი ჯერჯერობით არ ჰყავთ

იტალია. სერია A. XXIII ტური

# იუვე სამ მცველზე გადადის

| დღეს | |
|---|---|
| პალერმო-პარმა | 21:00 |
| ლივორნო-იუვენტუსი | 23:45 |
| **ხვალ** | |
| ატალანტა-ბარი | 18:00 |
| ბოლონია-მილანი | 18:00 |
| ჯენოა-კიევო | 18:00 |
| ინტერი-კალიარი | 18:00 |
| ლაციო-კატანია | 18:00 |
| სიენა-სამპდორია | 18:00 |
| უდინეზე-ნაპოლი | 18:00 |
| ფიორენტინა-რომა | 23:45 |

დღევანდელი შეხვედრებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას „ლივორნო“ - „იუვენტუსის“ დაპირისპირება იწვევს. „კომუნისტებმა“ გასულ ტურში სენსაცია მოახდინეს და „სან სიროზე“ „მილანს“ ქულები აართვეს. ამის არავის სჯეროდა, **სერსე კოზმისაც** კი, ვინც მატჩის შემდეგ გაკვირებული ჩანდა, აქედან თუ ქულას წავიღებდი, ნამდვილად არ მეგონაო. „ლივორნო“ არც „იუვესთან“ აპირებს რაიმეს დათმობას, ამას სინიორ სერსეს სიტყვები მოწმობს:

*„წინა ტურში კონტრშეტევებზე ვითამაშეთ, სხვაგვარად არ გამოდიოდა. გასვლაზე ვასპარეზობდით, თანაც გუნდთან, რომელიც ბურთს შესანიშნავად აკონტროლებს. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ „იუვენტუსთანაც“ დაცვაში ჩავჯდებით. არამც და არამც არ ვეცდებით ჩვენი თამაში მოვახვიოთ მეტოქეს თავს და ისე მოვიგოთ. გეგმებზე ხმამაღლა ვლაპარაკობ, რადგან არ მივეკუთვნები ისეთ სპეციალისტთა კატეგორიას, ტაქტიკა-სტრატეგიებს რომ ასაიდუმლოებენ. ჩემი ვარჯიშები ყოველთვის ღიაა და ნებისმიერს, ვისაც ამის სურვილი აქვს, შეუძლია მოვიდეს და გვიყუროს. მიმაჩნია, რომ წარმატების ფორმულა კარგად თამაშშია და არა სტრატეგიის გასაიდუმლოებაში. ჩემი შეგირდების მჯერა და სულაც არ გამოვრიცხავ, რომ ტურინულ გრანდთან სამი ქულა ავიღოთ“.*

სრულ მზადყოფნაში, **კრისტიანო ლუკარელი**, რომელმაც „მილანთან“ გამათანაბრებელი გოლი გაიტანა. ვნახოთ, ამჯერად რით შეეწევა თანაგუნდელებს. ისე კი, „ლივორნო“ ორი ფორვარდით შეუტევს, ვეტერან ლუკარელის **ბელუჩის** სახით კიდევ ერთი გამოცდილი ფეხბურთელი შეუწყვილდება.

ერთ-ერთ წინა ნომერში ვწერდით „იუვენტუსის“ ახალი ტაქტიკის შესახებ და ასე აგიხდეთ ყველაფერი. იტალიური სპორტული გამოცემების ვარაუდით, **ალბერტო ძაკერონი** „ლივორნოს“ 3-5-2 ტაქტიკით დაუპირისპირდება. სანამ სავარაუდო შემადგენლობაზე ვიტყოდეთ, ტრავმირებულ ფეხბურთელებს გადავხედოთ - ამბობენ, **ვინჩენცო იაკვინტა** გამოჯანმრთელების პირას არისო, მაგრამ ჯერჯერობით კვლავაც ლაზარეთშია. იგივე შეიძლება ითქვას **კრისტიან პოულსენზე**, რომელსაც მიმდინარე სეზონში მეტწილად უქმად უწევს ყოფნა. დაშავებულია **კლაუდიო მარკიზიო**, ისევე როგორც **ჰასან სალიჰამიჯიჩი** და ეს ფეხბურთელები „ლივორნოს“ წინააღმდეგ ვერ იასპარეზებენ. ალარაფერს ვამბობთ **მაურო კამორანეზიზე**, რომელიც მინდორს კარგა ხანი ვერ დაუბრუნდება.

რაც შეეხება სასტარტო შემადგენლობას, აქ გარკვეული ცვლილებებია, რაც ტაქტიკური მოდელის შეცვლასთან არის დაკავშირებული. ძირითად შემადგენლობაში ველოდებით **ნიკოლა ლეგროტალიეს** და ეს მიუხედავად იმისა, რომ **ჯორჯო კიელინიც** და **ფაბიო კანავაროც** სრულ მზადყოფნაში არიან. ნიკოლა მარჯვენა მცველის ფუნქციებს შეასრულებს, ცენტრში ფაბიო კანავარო დადგება, მარცხნივ კი ჯორჯო კიელინი. როდესაც გუნდი 3-5-2 სქემით თამაშობს, ფლანგზე მოასპარეზე უკანახაზელები ხშირად ცენტრალური მცველის პოზიციაზე დგანან და გამომდინარე აქედან, ალბერტო ძაკერონის გადაწყვეტილება აბსოლუტურად გასაგებია. ლეგროტალიემ, წესით, იოლად უნდა აუღოს ალღო ახალ ამპლუას, თუმცა ვნახოთ, ყველაფერს დრო გვიჩვენებს.

საყრდენი ნახევარმცველის ფუნქციებს **ანტონიო კანდრევა** და **ფელიპე მელო** შეასრულებენ. **მოჰამედ სისოკოს** დისკვალიფიკაცია აქვს და „ლივორნოს“ წინააღმდეგ ვერ ითამაშებს. რაც შეეხებათ ფლანგის მოთამაშეებს, მარჯვნივ **მარტინ კასერესი** უნდა ვიხილოთ, მარცხნივ კი **პაოლო დე ჩელიე**. ურუგვაელს აქამდე მხოლოდ დაცვაში უწევდა თამაში და მასაც ახალ პოზიციაზე მოუწევს ასპარეზობა - ვნახოთ, როგორ წარმოაჩენს თავს. გამთამაშებელი **დიეგო** იქნება, წინა ხაზზე კი სავარაუდოდ, **ალესანდრო დელ პიერო** და **კარვალიო ამაური** გაირჯებიან. დანარჩენი მოედანზე გამოჩნდება და ჩვენც დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას.

### სავარაუდო შემადგენლობები

**ლივორნო:** რუბინიო - პერტიკონე, კნეჟევიჩი, ესპოზიტო, რაიმონდი - მორო, მოცარტი, ფილიპინი, პიერი - ბელუჩი, ლუკარელი.

**იუვენტუსი:** ბუფონი - ლეგროტალიე, კანავარო, კიელინი - კასერესი, დე ჩელიე, კანდრევა, ფელიპე მელო - დიეგო - დელ პიერო, ამაური.

ჩემპიონი და ერთპიროვნული ლიდერი საკუთარ მოედანზე „კალიარის“ მიიღებს. „ინტერს“ კარგი დროება უდგას, გუნდი თამაშს თამაშზე იგებს და ყველა ფრონტზე ერთნაირად წარმატებით ასპარეზობს. შუა კვირაში „ნერაძურიმ“ სათასო პაექრობა გამართა და პირველ ნახევარფინალურ მატჩში „ფიორენტინა“ მინიმალური ანგარიშით დაამარცხა - 1:0. იტალიური მედიის პროგნოზით, **ჟოზე მოურინიოსთან** ნაჩხუბარმა **მარიო ბალოტელიმ** (ჯარიმის სახით 20 ათასი ევროს გადახდა მოუწევს) შეიძლება ტრიბუნებზე ამოყოს თავი. ყოველ შემთხვევაში, ძირითად შემადგენლობაში რომ ვერ ვიხილავთ, ამაზე ყველა თანხმდება.

ჟოზე ტრადიციულ ტაქტიკას აირჩევს და მეტოქეს 4-3-1-2-ით შეეტოქება. შეტევის წინა ხაზზე **დიეგო მილიტო** და **გორან პანდევი** გაირჯებიან, მათ პასებით მომარაგებაზე კი **ტიაგო მოტა** იზრუნებს. დიახ, ეს რაღაც ახალია და ვნახოთ, როგორ წარმოჩნდება პლეიმეიკერის როლში ბრაზილიელი ნახევარმცველი. რატომ მოტა და არა ვთქვათ **სტანკოვიჩი** ან **სნეიდერი**? - იმიტომ, რომ პირველი ტრავმირებულია, მეორეს კი ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვს. ტიაგოს მხარდამხარ **ხავიერ ძანეტი**, **ესტებან კამბიასო** და **სალი მუნტარი** იმოქმედებენ.

ანალოგიური ტაქტიკით ითამაშებს „კალიარი“ და ვნახოთ, ვისი აჯობებს. ძირითად შემადგენლობაში იქნება **ალესანდრო მატრი**, რომელიც მიმდინარე სეზონს მართლაც შესანიშნავად ატარებს. თუ აქამდე მეტწილად ფლანგზე ასპარეზობდა, ახლა ფორვარდობა მოუწევს და წესით, „ინტერის“ მცველებს გვარიანი ჯაფა უნდა დაადგეთ. მატრის მეწყვილედ **ჯედა** გაირჯება, რომელიც ასევე საკმაოდ კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. ბოლოს, სარდინიელთა მთავარი პრობლემის შესახებ ვთქვათ: **ფედერიკო მარკეტი** და **კრისტიანო ლუპატელი** ტრავმირებულნი არიან, შესაბამისად, კარში რიგით მესამე კიპერს, **მიკაელე აგაცის** მოუწევს ჩადგომა.

### სავარაუდო შემადგენლობები

**ინტერი:** ჟულიო სეზარი - მაიკონი, კორდობა, სამუელი, სანტონი - ძანეტი, კამბიასო, მუნტარი - მოტა - პანდევი, მილიტო.

**კალიარი:** აგაცი - მარძორატი, კანინი, ასტორი, აგოსტინი - დესენა, კონტი, ბიონდინი - ლაძარი - ჯედა, მატრი.

„მილანს“ „ბოლონიასთან“ უწევს გასვლითი პაექრობა და ვნახოთ, გატეხენ თუ არა ნავსს **ლეონარდოს** შეგირდები. ბოლო დროს „შავ-წითლები“ მეტად წარუმატებლად ასპარეზობენ და შესაბამისად, გამარჯვება მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. სავარაუდო შემადგენლობაში არ ჩანს **ამანტინო მანსინი**, რომელსაც მსუბუქი ტრავმა ჰქონია. ისეთი პირი უჩანს, რომ ბრაზილიელი გარემარბის დებიუტი ერთი კვირით გადაიდება.

„მილანი“ ტრადიციული ტაქტიკით, 4-3-3-ით იასპარეზებს და შემადგენლობაც კარგად ნაცადი იქნება. წინა ხაზზე **მარკო ბორიელოს** ვიხილავთ, ფლანგებიდან კი **რონალდინიო** და **დევიდ ბექჰემი** შეუტევენ.

რაც შეეხება „ბოლონიას“, გუნდი საბრძოლველად არის განწყობილი და „მილანთან“ სამი ქულის მოპოვებას აპირებს. ამაზე ფეხბურთელების და მთავარი მწვრთნელის, **კოლომბას** სიტყვები მეტყველებენ. ჯანზეა **მარკო დი ვაიო**, რომელიც **ხიმენესს** გაუწევს მეწყვილეობას.

### სავარაუდო შემადგენლობები

**ბოლონია:** კოლომბო - რაჯი, ფარტანოვა, ბრიღლოსი, ლანა - ბუშე, მუდინგაი, გუანა, მოდესტო - ხიმენესი, დი ვაიო.

**მილანი:** აბიატი - აბატე, ნესტა, ტიაგო სილვა, ანტონინი - პირლო, ამბროზინი, ზეედორფი - რონალდინიო, ბექჰემი - ბორიელო.

ტურის უკანასკნელი და შეიძლება ითქვას, ცენტრალური შეხვედრა ფლორენციაში გაიმართება, სადაც „ფიორენტინა“ „რომას“ მიიღებს. „ჯალოროსი“ ალმავლობის გზას ადგას, „ვიოლა“ კი პირიქით, რაც ჩემპიონატი განახლდა, მეტად უსახურ ფეხბურთს თამაშობს. „არტემიო ფრანკიზე“ წესით, კარგი თამაში უნდა გაჩაღდეს, რადგან გამარჯვება ორივე გუნდს ძალიან სჭირდება. დედაქალაქელებს სკუდეტოსკენ აუღიათ გეზი და ბუნებრივია, მათთვის თითოეულ ქულას ოქროს ფასი აქვს. იგივე შეიძლება ითქვას „ფიორენტინაზეც“ - თუ ფლორენციელებს ჩემპიონთა ლიგაში სურთ მოხვედრა, თითოეული ქულისთვის სამკვდრო-სასიცოცხლოდ უნდა იბრძოლონ.

**კლაუდიო რანიერიმ** ამოისუნთქა, რადგან გუნდს **ფრანჩესკო ტოტი** და **მირკო ვუჩინიჩი** დაუბრუნდნენ. სწორედ მათ მოუწევთ „ფიორენტინას“ დაცვითი რუბიკონების გარღვევა. ძირითად შემადგენლობაში უნდა ვიხილოთ: **პეროტა**, **ტადეი**, **პისარო** და **დე როსი**. რაც მთავარია, სრულ მზადყოფნაშია **არნე რიისე**, რომელიც, ვგონებთ, მცველიც არის, ნახევარმცველიც, თავდამსხმელიც და თუ საჭირო გახდა, კარშიც ჩადგება.

„ვიოლას“ რომ **მუტუს** გარეშე უწევს ფონს გასვლა, ძველი ამბავია. დისკვალიფიკაცია აქვს **ფელიპესაც**, **პერ კროლდრუპი** და **კრისტიანო ძანეტი** კი ტრავმირებულნი არიან. შეტევის წინა ხაზზე **ალბერტო ჯილარდინო** ითამაშებს, ფლანგებიდან მას **სტევან იოვეტიჩი** და **ხუან მანუელ ვარგასი** მიეხმარებიან.

### სავარაუდო შემადგენლობები

**ფიორენტინა:** ფრეი - დე სილვესტრი, გამბერინი, ნატალი, პასკუალი - მონტოლივო, დონადელი, მარკიონი - იოვეტიჩი, ვარგასი - ჯილარდინო.

**რომა:** ჟულიო სეზარი - კასეტი, მექსე, ჟუანი, რიისე - დე როსი, პისარო, ტადეი, პეროტა - ტოტი, ვუჩინიჩი.

**ლაშა ნიკლაური**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 21 | 15 | 4 | 2 | 45-19 | 49 |
| 2. მილანი | 21ც | 12 | 5 | 4 | 36-22 | 41 |
| 3. რომა | 22 | 12 | 5 | 5 | 37-26 | 41 |
| 4. ნაპოლი | 22 | 10 | 8 | 4 | 31-24 | 38 |
| 5. პალერმო | 22 | 9 | 7 | 6 | 29-25 | 34 |
| 6. იუვენტუსი | 21 | 10 | 3 | 8 | 33-28 | 33 |
| 7. სამპდორია | 22 | 9 | 6 | 7 | 28-30 | 33 |
| 8. კალიარი | 21 | 9 | 5 | 7 | 34-26 | 32 |
| 9. ბარი | 22 | 8 | 8 | 6 | 30-24 | 32 |
| 10. ჯენოა | 22 | 9 | 5 | 8 | 35-36 | 32 |
| 11. ფიორენტინა | 21 | 9 | 4 | 8 | 28-24 | 31 |
| 12. კიევო | 22 | 8 | 5 | 9 | 23-23 | 29 |
| 13. პარმა | 21 | 8 | 5 | 8 | 24-29 | 29 |
| 14. ბოლონია | 22 | 6 | 6 | 10 | 24-31 | 24 |
| 15. ლივორნო | 22 | 6 | 4 | 12 | 14-30 | 22 |
| 16. უდინეზე | 21 | 5 | 6 | 10 | 23-28 | 21 |
| 17. ლაციო | 21 | 4 | 9 | 8 | 16-22 | 21 |
| 18. კატანია | 22 | 4 | 8 | 10 | 22-30 | 20 |
| 19. ატალანტა | 22 | 4 | 5 | 13 | 20-34 | 17 |
| 20. სიენა | 22 | 3 | 4 | 15 | 23-44 | 13 |

**იტალიის თასი**

*1/2 ფინალი.*
*პირველი მატჩი*

# თითქმის ფინალში...

წინასამატჩო პრესკონფერენციაზე, სტუმართა თავკაცმა **ჯანი დე ბიაზიმ** განაცხადა, რომ მისთვის ჩემპიონატი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თასის გათამაშება. „უდინეზე" სატურნირო ცხრილში მე-17 პოზიციაზეა და სერია A-ში დარჩენისთვის იბრძვის. მიუხედავად ასეთი მძიმე ვითარებისა, ვფიქრობთ, დე ბიაზის სიტყვები უბრალო ფანდი იყო: მეტოქის მოდუნების მცდელობა, ან უბრალოდ, თავის დაზღვევა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ფინალში გასვლით ფრიულური კლუბი ევროპის ლიგის საგზურს ინაღდებს, ეს კი სახუმარო საქმე ნამდვილად არ გახლავთ. დე ბიაზისთვის რომ იტალიის თასი მნიშვნელოვანი ტურნირია, მის მიერ დაყენებული შემადგენლობიდანაც კარგად გამოჩნდა. „რომას" წინააღმდეგ თითქმის ყველა წამყვანმა ფეხბურთელმა იასპარეზა, **ჰანდანოვიჩით** დაწყებული, **დი ნატალეთი** დამთავრებული. ამ უკანასკნელს შეტევაში **ანტონიო ფლორო ფლორესი** ეხმარებოდა, თუმცა ანგარიშიდანაც ჩანს, რომ ამ საქმისგან არაფერი გამოვიდა.

ძირითადი შემადგენლობით იასპარეზეს დედაქალაქელებმაც - **კლაუდიო რანიერიმ** მხოლოდ ერთ რეზერვისტს მისცა თავის გამოჩენის საშუალება: **ალეშანდრე დონის**. ბრაზილიელი კიპერი თანამემამულე **ჟულიო სერჟიომ** ამოაგდო სასტარტო შემადგენლობიდან და ახლა მხოლოდ სათასო პაექრობებში თუ უწევს ასპარეზობა. ძირითადში გახლდნენ **ფრანჩესკო ტოტი** და **მირკო ვუჩინიჩი** - რანიერის კარგა ხანს უწევდა ორი წამყვანი თავდამსხმელის გარეშე ფონს გასვლა და მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გუნდის თამაშს ეს არ დასტყობია.

რომაელებმა გოლი მალევე გაიტანეს: მე-12 წუთი მიმდინარეობდა, როდესაც **დანიელე დე როსიმ** ვუჩინიჩი მეკარეს პირისპირ შეატოვა, ჩერნოგორიელმა დამაგვირგვინებელ ფაზაში უზადოდ ითამაშა და დააწინაურა თანაგუნდელები, 1:0. „ჯალოროსის" ხუთიოდე წუთში შეეძლო ანგარიშის გაორება, **რიიისეს** ოდნავ უმტყუნა მიზანმა. მოსახდენი ტაიმის მიწურულს მოხდა: **პისარომ** საჯარიმო დარტყმის შესრულება ითავა, ჩააწოდა მეტოქის საჯარიმოში, სადაც ყველას **ფილიპ მექსემ** აჯობა და თავით გადაგზავნა ბურთი მეტოქის კარში, 2:0.

პირველის დარად, მეორე ნახევარიც მასპინძელთა სრული უპირატესობით წარიმართა. კლაუდიო რანიერის შეგირდები ბევრს უტევდნენ, მაგრამ თამაში ისე ჩამთავრდა, რომ მესამე გოლის გატანა ვერ მოახერხეს. აქტიური გახლდათ შეცვლაზე შესული **ჟულიო ბაპტიშტა**, თუმცა დამაგვირგვინებელ ფაზაში სცოდავდა. ნამატჩევს, რანიერი კმაყოფილი იყო:

*„გუნდის თამაშით, ისევე როგორც შედეგით, მეტად კმაყოფილი ვარ. სწორ გზას ვადგავართ და თუ ასე გავაგრძელებთ, ნებისმიერ სირთულეს დავძლევთ. იტალიის თასის მოგება ჩვენი ერთ-ერთი მიზანია და მოტივაციასთან დაკავშირებული პრობლემები ნამდვილად არ შეგვქმნია. მართალია, ორბურთიანი უპირატესობით გავიმარჯვეთ, მაგრამ მოდუნების უფლება არ გვაქვს. ფინალისტის ვინაობა „ფრიულიზე" გაირკვევა".*

**რომა–უდინეზე 2:0**

**რომა:** დონი - კასეტი, ბურდისო, მექსე (80. ჟუანი), რიისე - დე როსი, პისარო - ტადეი, პეროტა, ვუჩინიჩი (64. ბაპტიშტა) - ტოტი.

**უდინეზე:** ჰანდანოვიჩი - ისლა, საპატა, კოდა, ლუკოვიჩი - ასამოა, დ'აგოსტინო, ინლერი - სანჩესი (75. პეპე), დი ნატალე, ფლორო ფლორესი (72. გეიხო).

**გოლები:** 1:0 ვუჩინიჩი (12), 2:0 მექსე (40)

**მაყურებელი:** 18 000

**ლაშა ნიკლაური**

**გერმანია.** ბუნდესლიგა. XXI ტურის წინ



გახსოვთ გრაფიტეს გენიალური გოლი ბაიერნის კარში? ეს ერთი წლის წინ მოხდა. ვოლფსბურგმა რეკორდმაისტერი 5:1 გაანადგურა და მერე გერმანიის ჩემპიონობაც იზეიმა

# ეს ის ვოლფსბურგი აღარ არის, მაგრამ...

## ...ბაიერნი ფოლკსვაგენ-არენაზე მაინც ფრთხილად უნდა იყოს

| გუშინ | |
|---|---|
| ვერდერი-ჰერტა | 2:1 |
| **დღეს** | |
| ვოლფსბურგი-ბაიერნი | 18:30 |
| კიოლნი-ჰამბურგი | 18:30 |
| ფრაიბურგი-შალკე | 18:30 |
| ბოხუმი-ლევერკუზენი | 18:30 |
| ჰოფენჰაიმი-ჰანოვერი | 18:30 |
| ნიურნბერგი-შტუტგარტი | 21:30 |
| **ხვალ** | |
| მაინცი-ბორუსია (მ) | 18:30 |
| ბორუსია (დ)-აინტრახტი | 20:30 |

წინა კვირას სატრანსფერო ფანჯარა დაიხურა და გარიგებების ზამთრის პერიოდის მიწურულს გერმანულმა კლუბებმა კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი დაიმატეს. უმეტესობას თავის გამოჩენის პირველი შანსი ამ უქმეებზე მიეცემა და ძალიან საინტერესოა, როგორ წარმოაჩენენ საკუთარ თავს ახლები. დღევანდელი შეხვედრებიდან უდავოდ გამორჩეული და ყველაზე საინტერესოა კრიზისში მყოფი მოქმედი ჩემპიონის, „ვოლფსბურგისა" და „ბაიერნის" დაპირისპირება. ასევე საკმაოდ დიდ ინტერესს იწვევს მძიმე კრიზისში მყოფი კლუბების, „ჰოფენჰაიმისა" და „ჰანოვერის" ჯახი - ალარაფერს ვამბობთ ლიდერ „ლევერკუზენის" სტუმრობაზე ბოხუმში.

როდესაც მაისტერი (ქართულად ჩემპიონს ნიშნავს) რეკორდმაისტერს ხვდება, ცხადია, ეს შეხვედრა ტურის ცენტრალურ მატჩად უნდა შეირაცხოს, მაგრამ ამ შემთხვევაში, „ვოლფსბურგისა" და „ბაიერნის" მატჩზე ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ ეს ტოპდუელია. მიზეზი მარტივია: „ვოლფსბურგმა" ამ სეზონში თავისი სახე დაკარგა და ბავარიულ გრანდს მეთერთმეტე ადგილოსნის რანგში ხვდება, მიუნხენურ კლუბს კი ზედიზედ შვიდმატჩიანი მოგებათა სერია აქვს, მეორე ადგილზეა და ლიდერ „ლევერკუზენს" მოსვენება დაუკარგა. ორი კვირის წინ „ვოლფსბურგის" შეფებმა მწვრთნელი **არმინ ფეე** დაითხოვეს და აგერ უკვე მეორე კვირაა, რაც „მგლებს" დროებითი თავკაცი, **ლორენც-გიუნტერ კიოსტნერი** წვრთნის. მის ხელში გუნდი ცოტათი დალაგდა (ყოველ შემთხვევაში, ალარ წააგო) და თუ კიოსტნერი „ბაიერნთან" წარმატებას გამოჰკრავს ხელს, დიდი შანსია, რომ სეზონის ბოლომდე მთავარი მწვრთნელის პოსტზე დატოვონ - მით უმეტეს, რომ სასურველმა კანდიდატმა **ბერნდ შუსტერმა** „ვოლფსბურგის" გაწვრთნაზე უარი თქვა. მიუნხენელთაგან ბრწყინვალე ფორმაშია **არიენ რობენი**, რომელმაც ბოლო ორ მატჩში ორი ჯარიმა გაიტანა. „ბაიერნის" მეორე ბრილიანტი, **ფრანკ რიბერი** კი, გამოჯანმრთელების შემდეგ ფორმაში ნელ-ნელა შედის: „ვერდერთან" (3:2) 28 წუთი ითამაშა, „მაინცთან" (3:0) 38 წუთი და გამორიცხული არაა, რომ **ლუის ვან გაალმა** ამჯერად სულაც ძირითად შემადგენლობაში გაამწესოს.

შეუძლებელია, არ გაგვახსენდეს შარშანდელი სეზონის დაპირისპირება, რომელიც „ვოლფსბურგმა" 5:1 (!) მოიგო და რომელშიც „მგლების" თავდამსხმელმა **გრაფიტემ** წლის გოლი გაიტანა (იხილეთ ფოტო). მაგრამ მაშინ „ვოლფსბურგი" სულ სხვა „ვოლფსბურგი" იყო, გუნდს **ფელიქს მაგათი** წვრთნიდა და იმ „ვოლფსბურგმა" ბოლოს გერმანიის სენსაციური ჩემპიონობა იზეიმა. მიმდინარე სეზონის პირველ წრეში ბავარიელებმა იმ სირცხვილისთვის ჯავრი იყარეს და „ვოლფსბურგს" მიუნხენში 3:0 მოუგეს. თუმცა მიუნხენში მიაჩნიათ, რომ სრულყოფილი ვენდეტა არ შემდგარა და ახლა „მგლებს" მათი პუბლიკის წინაშეც შერცხვენას უპირებენ. ვნახოთ, რა გამოვა...

### სავარაუდო შემადგენლობები

**ვოლფსბურგი (4-1-2-1-2):** ლენცი - რიტერი, მადლუნგი, ბარძალი, მ. შეფერი - ჟოსუე - ჰასებე, გენტნერი - მიშიმოვიჩი - გრაფიტე, ჯეკო.

**ბაიერნი (4-4-2):** ბუტი - ლამი, ვან ბუიტენი, დემიკელისი, ბადშტუბერი - რობენი, შვაინშტაიგერი, ვან ბომელი, თ. მიულერი - გომესი, ოლიჩი.

**ლუკას პოდოლსკის** კიოლნში ალმერთებენ, მაგრამ ამ კლუბის შეფები და გულშემატკივრები ბოლო ორ თვეში სულ სხვა რეალობის წინაშე დადგნენ. საქმე ისაა, რომ მას მერე, რაც პოდოლსკი ტრავმირებულია, გუნდმა მოგებები და ქულების დაგროვება დაიწყო. ანუ, „თხები" პოდოლსკის გარეშე გაცილებით უკეთ გამოიყურებიან, ვიდრე მასთან ერთად. ამიტომაც, შესაძლოა, ბევრს სულაც არ ხიბლავდეს პოლდის გამოჯანმრთელების პერსპექტივა. გამორიცხული არ არის, რომ ლუკასმა დღეს თამაში შეძლოს. „კიოლნი" დღეს „ჰამბურგს" მასპინძლობს და ძალიან რთული მატჩი ელის. „ჰამბურგის" ფანებს იმედი ჰქონდათ, რომ დღეს მოედანზე პირველად იხილავდნენ ბრაზილიიდან დაბრუნებულ **ზე რობერტოს**, მაგრამ ის ფორმის აღდგენას ვერ ასწრებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ბრუნო ლაბადიას ისევ ზე გარეშე მოუწევს ფონს გასვლა. სამაგიეროდ, თამაში შეუძლია და განაცხადში იქნება ახალწვეული **რუუდ ვან ნისტელროი**.

იანვარში ყველაზე მაგრად „შალკემ" ივაჭრა. სატრანსფერო პერიოდის ბოლო დღეს „დესპოტმა ფელიქსმა" შვეიცარიელი **მარიო გავრანოვიჩი** შეიძინა, რომელიც იანვარში გელზენკირხენელთა რიგით მერვე (!) ახალწვეულია. დღეს „ხუმარები" „ფრაიბურგს" სტუმრობენ და გამორიცხული არაა, რომ გავრანოვიჩის დებიუტი შედგეს, მაგრამ უფრო რეალური ისაა, რომ მარიო სათადარიგოთა სკამზე ვიხილოთ. სკამზე ჯდომის საფრთხე ემუქრება **ივან რაკიტიჩსაც**, რადგან ამ უკანასკნელმა წინა ტურში (2:0 ჰოფენჰაიმთან) მაგათს კიდევ ერთხელ გაუცრუა იმედები. დიდი შანსია, რომ რაკიტიჩის ადგილი (თავდამსხმელების უკან) ამჯერად **ალექსანდერ ბაუმიოჰანმა** დაიკავოს. **ლევან ყენია** კვლავ არ იქნება განაცხადში, რადგან მისი სარეაბილიტაციო პერიოდი ჯერ არ დასრულებულა. ლევანს ოპერაციის შემდეგ სრული დატვირთვით ვარჯიში ჯერ არ განუახლებია. აღსანიშნავია, რომ „ფრაიბურგს" საკუთარ მოედანზე ხუთმატჩიანი მოუგებელი სერია აქვს და 360 წუთია (4 მატჩი), გოლი არ გაუტანია. თუკი ბრაისგაუელები დღესაც ვერ გაიტანენ, ბუნდესლიგის ანტი-რეკორდს დაამყარებენ. აქვე გაგახსენებთ, რომ პირველ წრეში „ფრაიბურგმა" „შალკეს" გელზენკირხენში მოუგო - 1:0.

საკუთარ მოედანზე ცუდად გამოიყურება ხოლმე „ბოხუმიც" და თანაც, **ჰაიკო ჰერლიხის** ბიჭები ამჯერად თვით „ლევერკუზენს" მასპინძლობენ. ეს უკანასკნელი კი, გარდა იმისა, რომ სატურნირო ცხრილს ერთპიროვნულად ლიდერობს და „ბაიერნის" იერიშებს იგერიებს, ამ სეზონში ჯერაც დაუმარცხებელია. „ბოხუმმა" „შალკედან" იმედის მომცემი ნახევარმცველი **ლუის ჰოლტბი** ინათხოვრა და ფაქტია, რომ ჰერლიხი ამ უკანასკნელს დღეს აუცილებლად ათამაშებს.

„ჰოფენჰაიმი" „ჰანოვერს" მასპინძლობს და ეს არის კრიზისში მყოფი კლუბების ჯახი. იმისათვის, რომ „ჰოფეში" სასწრაფოდ სიმშვიდემ დაისადგუროს, „სოფლელებს" სასწრაფოდ წარმატება სჭირდებათ. „ჰოფენჰაიმის" თავკაცი **რალფ რანგნიკი** კვლავ გამოიყენებს **ისააკ ფორსას** და **ჩინედუ ობასი ოგბუკეს**, რომლებიც აფრიკის თასზე მონაწილეობდნენ. „ჰანოვერში" კი „სევილიადან" გადაბირებული თავდამსხმელის, **არუნა კონეს** დებიუტს ველით. დიდი შანსია, რომ „წითლების" რიგებში დებიუტი ჰქონდეს „შტუტგარტიდან" აყვანილ **ელსონსაც**. ზოგადად, „ჰანოვერში" მდგომარეობა ვერც **მირკო სლომკას** მთავარ მწვრთნელად დანიშვნამ გამოასწორა. ამ კლუბის უკანასკნელი გამარჯვება 31 ოქტომბრით თარიღდება (1:0 „კიოლნთან") და მაშინ **რობერტ ენკე** ჯერ კიდევ ცოცხალი იყო...

„ნიურნბერგის" თავდამსხმელი **ალბერტ ბუნიაკუ** „ერთი საათის კაცია" - რამდენიმე თამაში არაფერს გააკეთებს, მერე კი ერთ შეხვედრაში ჰეთ-თრიკს შეასრულებს ხოლმე. ერთი კვირის წინ მან „ჰანოვერს" სამი გოლი გაუტანა და ამით ფრანკებს გადარჩენის იმედი მისცა. „ჰანოვერთან", როგორც იქნა, კარგად ითამაშა გუნდის ლიდერმა **მარეკ მინტალმაც**. დღეს ნიურნბერგელები „შტუტგარტს" მასპინძლობენ - გუნდს, რომელმაც **კრისტიან გროსის** ხელში დიდი პროგრესი განიცადა და 15-დან 13 ქულას მოუყარა თავი.

ხვალ, პირველ მატჩში „მაინცი" მიონხენგლადბახის „ბორუსიას" უმასპინძლებს. მაინცელთა დამრიგებელი **თომას ტუხელი** სავარაუდოდ ძირითად შემადგენლობაში გაამწესებს ახალწვეულებს, **მალიკ ფათის** და **რადოსლავ ზაბავნიკს**. სამაგიეროდ, სათადარიგოთა სკამზე დაჯდება თავდამსხმელი **არისტიდ ბონსე**, რომელსაც 1025 წუთია, გოლი არ გაუტანია. მას წინა ხაზში „რეალიდან" გადაბირებული ახალგაზრდა თავდამსხმელი, **ადამ შალაი** შეცვლის. მიონხენგლადბახელთა შემადგენლობაში კი, როგორც იქნა გაიხსნა და გოლების გატანა დაიწყო ზაფხულში ნაყიდმა არგენტინელმა გოლეადორმა **რაულ ბობადილიამ**. მან წინა ტურში 934-წუთიანი უგოლო სერია შეწყვიტა და „ვერდერთან" ორი გოლი თვითონ გაიტანა, ორიც თანაგუნდელებს გაატანინა.

დორტმუნდის „ბორუსიას" აფრიკის თასიდან გამარჯვებული დაუბრუნდა **მოჰამედ ზიდანი**, რომელსაც დღეს, ფრანკფურტის „აინტრახტთან" მატჩის წინ კლუბის შეფებიც დააჯილდოვებენ. ითამაშებს თუ არა ზიდანი ძირითად შემადგენლობაში, ეს უკვე „შავ-ყვითლების" მთავარი მწვრთნელის, **იურგენ კლოპის** გადასაწყვეტია. მისმა შეგირდებმა წინა ტურში შვიდმატჩიანი მოგებათა სერია შეწყვიტეს (1:4 შტუტგარტში) და ამრიგად, კლოპს ნამდვილად აქვს იმის საბაბი, რომ სასტარტო თერთმეტეული ცოტათი შეცვალოს.

**გოტფრიდ ლენცი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლევერკუზენი | 20 | 12 | 8 | 0 | 45-16 | 44 |
| 2. ბაიერნი | 20 | 12 | 6 | 2 | 42-17 | 42 |
| 3. შალკე | 20 | 12 | 5 | 3 | 31-15 | 41 |
| 4. ბორუსია (დ) | 20 | 10 | 6 | 4 | 28-23 | 36 |
| 5. ჰამბურგი | 20 | 9 | 8 | 3 | 37-21 | 35 |
| 6. ვერდერი | 21 | 8 | 7 | 6 | 39-25 | 31 |
| 7. აინტრახტი | 20 | 7 | 7 | 6 | 25-27 | 28 |
| 8. მაინცი | 20 | 7 | 6 | 7 | 24-29 | 27 |
| 9. ჰოფენჰაიმი | 20 | 7 | 4 | 9 | 27-24 | 25 |
| 10. შტუტგარტი | 20 | 6 | 7 | 7 | 24-25 | 25 |
| 11. ვოლფსბურგი | 20 | 6 | 7 | 7 | 36-39 | 25 |
| 12. ბორუსია (მ) | 20 | 7 | 4 | 9 | 29-34 | 25 |
| 13. კიოლნი | 20 | 6 | 6 | 8 | 17-21 | 24 |
| 14. ბოხუმი | 20 | 5 | 6 | 9 | 22-36 | 21 |
| 15. ფრაიბურგი | 20 | 5 | 3 | 12 | 20-39 | 18 |
| 16. ჰანოვერი | 20 | 4 | 5 | 11 | 22-34 | 17 |
| 17. ნიურნბერგი | 20 | 4 | 4 | 12 | 16-35 | 16 |
| 18. ჰერტა | 21 | 2 | 5 | 14 | 17-41 | 11 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა. XXI ტურის წინ


თქვენ გელით ბერნაბეუ

# კასტილიურ-კატალონიური ომები, ანუ მეტი, ვიდრე ცენტრფორვარდი

| დღეს | |
|---|---|
| ვალენსია-ვალიადოლიდი | 21:00 |
| ბარსელონა-ხეტაფე | 23:00 |
| რეალი-ესპანიოლი | 01:00 |
| **ხვალ** | |
| ალმერია-სპორტინგი | 20:00 |
| ბილბაო-ხერესი | 20:00 |
| მალაგა-დეპორტივო | 20:00 |
| მალიორკა-ვილიარეალი | 20:00 |
| ოსასუნა-ტენერიფე | 20:00 |
| სარაგოსა-სევილია | 22:00 |
| რასინგი-ატლეტიკო | 00:00 |

21-ე ტური „მესტალიაზე" გაიხსნება, მესამეადგილოსანი „ვალენსია" ერთ-ერთ აუტსაიდერ „ვალიადოლიდს" მიიღებს. მოკლედ, „ლოს ჩე" უკეთეს დროს ვერ ინატრებდა, სევილიური მარცხის დასავიწყებლად. სტუმართა გუნდს პირველად გაიყვანს **ონესიმო**, რომელიც აქამდე სარეზერვო გუნდს წვრთნიდა. ონესიმომ **ხოსე ლუის მენდილიბარი** შეცვალა, რომელსაც „ალმერიასთან" 1:1 არ ეპატია. პირველად ითამაშებს გუნდში **ასიერ დელ ორნო**, ბასკი მცველი კასტილიურ კლუბში კარიერას სწორედ ყოფილი გუნდის წინააღმდეგ დაიწყებს, ერთი ტურის წინ ის ჯერ კიდევ ვალენსიელი იყო.

*„მიუხედავად იმისა, რომ სათამაშო რიტმი მაკლია, მენტალურად და ფიზიკურად მზად ვარ „ვალიადოლიდი" გავარდნისგან ვიხსნა"*, - ეს დელ ორნოს საკმაოდ ამბიციური განაცხადია.

მიუხედავად ამ დანაქადნისა, ასიერ დელ ორნო თამაშს, სავარაუდოდ, სათადარიგოთა სკამიდან დაიწყებს, თუმცა ის და **ენრიკე სერენო** ალბათ გამოვლენ მეორე ტაიმში. „ვალიადოლიდის" ორი წამყვანი ფეხბურთელი, **სისი** და **სანსი** კიდევ რამდენიმე კვირა ლაზარეთში იქნებიან. **მანუჩო** დისკვალიფიცირებულია. **ნივალდომ** (პირადი პრობლემა) და **ალბერტო რეიმ** (კოჭის ტრავმა) ბოლო ტურის მატჩი გამოტოვეს და ისინი არც „ვალენსიასთან" იქნებიან მწყობრში. სამაგიეროდ „ვალიადოლიდს" დისკვალიფიკაციამოხდილი **ბორხა ფერნანდესი** დაუბრუნდა, რომელმაც ახლახან განაცხადა, რომ სეზონის ბოლოს კლუბს დატოვებს.

„ვალენსიას" ერთ-ერთ ვარჯიშზე **ვისენტემ** ტრავმა მიიღო, ერთი შეხედვით ტრავმა სერიოზული ჩანდა, თუმცა „მესტალიადან" გამოსული ხმების მიხედვით ნახევარმცველი თამაშს უკვე „ვალიადოლიდთან" შეძლებს. მასპინძლებს ტრავმების გამო **ხორდი ალბა** და **ხოაკინი** დააკლდებიან. მცირე ტრავმები მოიშუშეს **ჟერემი მატიომ** და **დავიდ ნავარომ**.

### სავარაუდო შემადგენლობები

**ვალენსია (4-2-3-1):** სესარი - ბრუნო, ალექსისი, ნავარო, მატიო - ბანეგა, ალბელდა - მატა, სილვა, პ. ერნანდესი - ვილია.

**ვალიადოლიდი (4-2-3-1):** ვილიარი - ლოპესი, პრიეტო, არსო, მარკოსი - ბორხა, ლაზარო - მარკიტოსი, კანობიო, სესმა - და სილვა კოშტა.

„ბარსელონა" მადრიდულ „ხეტაფეს" „კამპ ნოუზე" მასპინძლობს და გამარჯვება ესაჭიროება, რომ მეორე მადრიდულმა კლუბმა „რეალმა" 5-ქულიანი ჩამორჩენა არ შეამციროს. **ხოსეპ გვარდიოლას** არ ეყოლება კაპიტანი **კარლეს პუიოლი**, მიზეზი ცენტრალური მცველის დისკვალიფიკაციაა. გუნდი იმ საშიშროების წინაშე იყო, რომ ორივე ფლანგის მცველი ტრავმების გამო დაკლებოდა, თუმცა **დანი ალვეშმა** შეძლო გამოჯანმრთელება, **ერიკ აბიდალის** თამაშის საკითხი კი კითხვის ნიშნის ქვეშაა. თუ ფრანგი ვერ მოასწრებს მწყობრში ჩადგომას, მაშინ მას ბრაზილიელი **მაქსველი** შეცვლის. აი, პუიოლის ნაცვლად თამაშის შანსი **დმიტრო ჩიგრინსკის** აქვს.

ბოლო ხუთი თამაშია, გოლი არ გაუტანია **ზლატან იბრაჰიმოვიჩს**, რამაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ესპანურ მედიაში. გუშინ ხოსეპ გვარდიოლამ პრესკონფერენციაზე თავისი ფორვარდი დაიცვა: *„იბრა ძალიან მაღალი დონის ფეხბურთს აჩვენებს. ცენტრფორვარდებს ხშირად გატანილი გოლების მიხედვით აფასებენ. ჯერ ერთი, მას ამ მხრივაც არაფერი დაეწუნება, მაგრამ ის გუნდს გაცილებით მეტს ჰმატებს, ვიდრე ჩვეულებრივი ცენტრფორვარდი".*

**მიჩელის** გუნდს ორი ძალზე სერიოზული დანაკლისი აქვს - მარჯვენაფლანგელი **პედრო ლეონი** გუნდის ლიდერია, ის დისკვალიფიცირებულია. **ადრიან გონსალესი**, რომელიც მიჩელის ვაჟია, ტრავმირებულია.

### სავარაუდო შემადგენლობები

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დ. ალვეში, პიკე, ჩიგრინსკი, მაქსველი - ჩავი, ბუსკეტსი, ინიესტა - მესი, იბრაჰიმოვიჩი, ანრი.

**ხეტაფე (4-4-2):** კოდინა - კორტესი, მარიო, დიასი, მანე - პარეხო, კასკერო, ბოატენგი, ალბინი - დელ მორალი, სოლდადო.

როცა „კამპ ნოუზე" პროჟექტორები ჩაქრება, „სანტიაგო ბერნაბეუზე" კიდევ ერთი კასტილიურ-კატალონიური დუელი გაიმართება - „სამეფო კლუბი" „ესპანიოლს" გამძლეობაზე გამოცდის. თამაშის წინა დღეს „რეალის" ხელმძღვანელობამ კიდევ ერთხელ იჩივლა და კვლავ წააგო **კრიშტიანო რონალდოს** საქმე, პორტუგალიელს არც „ესპანიოლის" წინააღმდეგ დართეს თამაშის უფლება. გულშემატკივრები ჯერაც „რეალის" „რიასორული" გმირობის შთაბეჭდილების ქვეშ არიან, მადეირელის გარეშეც **მანუელ პელეგრინის** გუნდი ძალზე შემართულ და სანახაობრივ ფეხბურთს გვთავაზობდა. **გუტის** სუპერსაგოლე პასმა კი „რეალის" გამარჯვებას მეტი ხიბლი შესძინა. „სამეფო კლუბის" მეტოქემ ნელ-ნელა დაიწყო კრიზისიდან გამოსვლა, მაგრამ ეს მხოლოდ „კორნელია ელ პრატზე" თამაშებს ეხება. „ესპანიოლი" მისი ახალთახალი და ულამაზესი სტადიონის გარეთ ჯერაც ძალიან სუსტად თამაშობს.

მასპინძელთაგან ყველაზე მოტივირებული ბრაზილიელი **მარსელო** გამოვა მინდორზე, გუშინ მან „რეალთან" 2015 წლამდე გააგრძელა კონტრაქტი და ბედნიერებისგან მეცხრე ცაზეა. „რეალის" ოთხი ფეხბურთელი გამოჯანმრთელდა და სათამაშოდ მზადაა: **მაჰამადუ დიარა, ლასანა დიარა, რაფაელ ვან დერ ვაარტი** და **გონსალო იგუაინი**. პეპეს და კრიშტიანო რონალდოს გარდა „თეთრებს" **გუტი, არბელოა** და **გარაი** დააკლდებიან. მას შემდეგ, რაც არგენტინელი იგუაინი გუნდს დაუბრუნდა, გუნდის კაპიტან **რაულს** ისევ სათადარიგოთა სკამზე გადაჯდომა მოუწევს.

### სავარაუდო შემადგენლობები

**რეალი (4-4-2):** კასილიასი - ლ. დიარა, ალბიოლი, რამოსი, მარსელო - გრანერო, ჩაბი ალონსო, დრენტე, კაკა - იგუაინი, ბენზემა.

**ესპანიოლი (4-2-3-1):** კამენი - პილუდი, პარეხა, რუისი, დ. გარსია - ბაენა, მარკესი - ლ. გარსია, ვერდიუ, კალეხონი - ოსვალდო.

კვირის თამაშებიდან „მალიორკასა" და „ვილიარეალის" მატჩს გამოვყოფთ. „ელ სუბმარინოს" სამწვრთნელო საჭეს პირველად მიუჯდება **ხუან კარლოს გარიდო**, რომელიც გაგდებული **ერნესტო ვალვერდეს** ნაცვლად დაინიშნა. „მალიორკას" **ივან რამისი** ტრავმის გამო დააკლდება, არ იქნებიან **ტუნი** და **ვიქტორიც**. „ვილიარეალის" ერთ-ერთმა ლიდერმა **სანტი კასორლამ** ოპერაცია გაიკეთა, მართალია წარმატებით, მაგრამ უახლოესი 7 კვირა ის მაინც იუქმებს. ძალზე საეჭვოა **ხავი ვენტას** თამაშიც.

### სავარაუდო შემადგენლობები

**მალიორკა (4-4-2):** ავატე - მატიონი, რუბენი, ნუნიესი, კორალესი - ალვარესი, მარტი, ვალერო, კასტრო - ვადურისი, ვებო.

**ვილიარეალი (4-4-2):** დ. ლოპესი - ანხელი, მარკანო, გოდინი, კაპდევილია - კანი, სენა, ბრუნო, პირესი - ლორენტე, ნილმარი.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 20 | 16 | 4 | 0 | 50-10 | 52 |
| 2. რეალი | 20 | 15 | 2 | 3 | 47-15 | 47 |
| 3. ვალენსია | 20 | 11 | 6 | 3 | 36-20 | 39 |
| 4. სევილია | 20 | 11 | 3 | 6 | 31-22 | 36 |
| 5. მალიორკა | 20 | 10 | 4 | 6 | 34-23 | 34 |
| 6. დეპორტივო | 20 | 10 | 4 | 6 | 24-22 | 34 |
| 7. ხეტაფე | 20 | 10 | 1 | 9 | 27-24 | 31 |
| 8. ბილბაო | 20 | 9 | 3 | 8 | 24-25 | 30 |
| 9. ოსასუნა | 20 | 7 | 5 | 8 | 20-21 | 26 |
| 10. ვილიარეალი | 20 | 7 | 5 | 8 | 31-29 | 26 |
| 11. რასინგი | 20 | 6 | 6 | 8 | 23-27 | 24 |
| 12. სპორტინგი | 20 | 6 | 6 | 8 | 20-22 | 24 |
| 13. ატლეტიკო | 20 | 6 | 5 | 9 | 30-33 | 23 |
| 14. ესპანიოლი | 20 | 6 | 5 | 9 | 14-26 | 23 |
| 15. მალაგა | 20 | 4 | 8 | 8 | 23-26 | 20 |
| 16. ალმერია | 20 | 4 | 7 | 9 | 19-30 | 19 |
| 17. ვალიადოლიდი | 20 | 3 | 9 | 8 | 24-36 | 18 |
| 18. სარაგოსა | 20 | 4 | 5 | 11 | 23-42 | 17 |
| 19. ტენერიფე | 20 | 4 | 5 | 11 | 17-39 | 17 |
| 20. ხერესი | 20 | 2 | 5 | 13 | 10-35 | 11 |

ესპანეთი

სამეფო თასი. ნახევარფინალი. პირველი მატჩი

# ესეც ფინალი!

თუკი „სევილიას" სავარაუდო ფინალისტად გამოსაცხადებლად ჯერ კიდევ ვფრთხილობთ, **კიკე ფლორესის** „ატლეტიკოს" ალბათ სასწაულიღა თუ შეუშლის ხელს „სამეფო თასის" ფინალში გასასვლელად. კანტაბრიული „რასინგი" ვისენტე კალდერონზე" 0:4 დამარცხდა, მიუხედავად იმისა, რომ „ესპანური ფეხბურთის ახალი პრინცი" **სერხიო კანალესი** ჰყავდა.

პირველ ტაიმში სტუმრები **სიმაომ** და **ხოსე ანტონიო რეიესმა** დაამწუხრეს, მეორეში კი **დიეგო ფორლანმა** პენალტის ნიშნულიდან კიდევ ორი გოლი გაიტანა. მატჩის დასაწყისში „ატლეტიკოს" უპირატესობა იმდენად დიდი იყო, რომ „რასინგის" ფეხბურთელები მადლობელნი უნდა იყვნენ, 2 გოლზე მეტი რომ არ გაუშვეს შესვენებამდე. „ატლეტიკოს" აფეთქების მთავარი მიზეზი არგენტინელი **სერხიო აგუეროა**, ბოლო თამაშებში „კუნი" თითქოს ჩრდილში მოექცა, ახლა კი ერთიანად იფეთქა „რასინგის" მცველთა საუბედუროდ". არგენტინელი ფორვარდი მანიაკივით მუდამ ბურთის ძიებაში იყო, უკვე მე-3 წუთზე ის აშკარად მოცელეს საჯარიმოში, მაგრამ რეფერის სასტვენი სდუმდა, სულ მალე არგენტინელის „მოჭრილი" დარტყმა ოდნავ ასცდა კანტაბრიელთა კარს. მე-9 წუთზე ანგარიშიც გაიხსნა - აგუერო სოლორეიდით საჯარიმოში მარჯვნიდან შეიჭრა და შორეულ ძელთან მდგომ სიმაოს ჩაუწოდა, პორტუგალიელმა ბურთს დაშვება არ აცადა და უძლიერესი დარტყმით **კოლტორტის** კარის ახლო „ცხრიანში" გადაგზავნა, ათლეტებს დიდებული კომბინაცია გამოუვიდათ.

ამის შემდეგ მასპინძლებმა რამდენიმე, ხოლო სტუმრებმა ერთი (**სისკო**) საგოლე შანსი ვერ გამოიყენეს. მე-40 წუთზე „ატლეტიკო" დამსახურებულად დაწინაურდა - 2:0. სიმაოს ჩაწოდებულმა საჯარიმოს მარცხენა კუთხიდან „რასინგის" მცველები ერთობ დააბნია, რეიესმა კი ერთ-ერთს ბურთი „მოპარა" და გაიტანა.

მეორე ტაიმში მატჩის სიუჟეტში ცვლილებები არ შესულა, „ატლეტიკო" ერთი თავით სჯობდა მეტოქეს. სტუმართა მწვრთნელმა დასაწყისშივე ორი ცვლილება განახორციელა, მოედანზე **ტჩიტე** და **ტონი მორალი** გამოვიდნენ, მაგრამ მათ სტუმართა შეტევები ვერ გააძლიერეს. 62-ე წუთზე სტუმართა კარში ერთობ უსამართლო პენალტი დაინიშნა, **ხურადო** აშკარად საჯარიმოს გარეთ წააქციეს, თუმცა ურუგვაელმა დიეგო ფორლანმა აულელვებლად გაიტანა პენალტი. 9 წუთში მორიგი პენალტი დაინიშნა, რომლის სამართლიანობაში ეჭვი უკვე აღარავის შეჰპარვია, აგუეროს ბრწყინვალე (ვინ იცის, მერამდენე ამ მატჩში!) გარღვევა **ტორეხონმა** აკრძალული წესით შეაჩერა და დიეგო ფორლანმა დუბლი შეასრულა - 4:0. 86-ე წუთზე აგიეროსაც შეეძლო გატანა, მაგრამ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელმა ხელსაყრელი პოზიციიდან ააცილა სტუმართა კარს. საპასუხო მატჩს ინტრიგა აღარ შერჩა. სხვათა შორის, ეს გუნდები ხვალ ერთმანეთს ჩემპიონატის მატჩში დაუპირისპირდებიან, სადაც „რასინგი" ერთი ქულით უსწრებს მეტოქეს.

შეხვედრას ესპანეთის ნაკრების თავკაცი **ვისენტე დელ ბოსკე** ესწრებოდა, ის 18 წლის სერხიო კანალესის სანახავად მოვიდა. ვფიქრობთ, ახალგაზრდა ფეხბურთელს თავის გამოჩენის სხვა შანსიც მიეცემა...

„ატლეტიკოს" გამარჯვება ძვირად დაუჯდა - მე-2 გოლის ავტორი ხოსე ანტონიო რეიესი მადრიდულ კლუბს ერთი თვით დააკლდა. რეიესმა მარჯვენა მუხლში ტკივილი იგრძნო და 49-ე წუთზე შეცვლა მოითხოვა. რეიესი „ატლეტიკოსთვის" ძალზე მნიშვნელოვან თამაშებს გამოტოვებს, „ბარსელონას" ვიზიტს „ვისენტე კალდერონზე" და ევროპის ლიგის დაპირისპირებას თურქულ „გალათასარაისთან".

*„ძალიან კარგად ვითამაშეთ, ეს იყო სრულყოფილი ფეხბურთი „ატლეტიკოს" შესრულებით. თუმცა ჩვენ ჯერ არ ვართ ფინალში, წინ საპასუხო მატჩი გველის, სადაც ერთი გატანილი გოლი დაგვამშვიდებს"*, - განაცხადა „ატლეტიკოს" თავკაცმა კიკე ფლორესმა.

| ატლეტიკო-რასინგი | 4:0 |
|---|---|

**ატლეტიკო (4-4-2):** დე ხეა - უიფალუში, პერეა, დომინგესი, ა. ლოპესი - სიმაო, ასუნსაო (76. რ. გარსია), ტიაგო, რეიესი (49. ხურადო) - აგუერო, ფორლანი (81. იბრა).

**რასინგი (4-2-3-1):** კოლოტორტი - პინილიოსი, ენრიკე, ტორეხონი, კრისტიანი - ლასენი, კოლსა (66. დიოპი) - მუნიტისი, კანალესი, სერანო (54. მორალი) - სისკო (54. ტჩიტე).

**გოლები:** 1:0 სიმაო (9), 2:0 რეიესი (40), 3:0 ფორლანი (62-პენ), 4:0 ფორლანი (71-პენ)

ტრანსფერი

# კანალეს, ია ეს დელ რეალ მადრიდ!

## 9 მილიონი ევრო სეზონში

„რასინგის" 18 წლის შემტევი ნახევარმცველი **სერხიო კანალესი**, რომელიც ესპანური ფეხბურთის ახალ პრინცად მონათლეს, მადრიდის „რეალის" ფეხბურთელი დღე-დღეზე გახდება. გუშინ „რასინგის" პრეზიდენტი **ფრანსისკო პერნია** და „რეალის" გენერალური დირექტორი **ხორხე ვალდანო** ერთი დეტალის გარდა ყველაფერზე შეთანხმდნენ. „რასინგს" სურს კანალესი 2011 წლამდე იჯარით დაიბევოს, მაშინ, როცა „რეალის" ხელმძღვანელობას უნდა, მეორე სეზონის იჯარის საკითხი გუნდის თავკაცმა შეკრებაზე გადაწყვიტოს. გუნდები უკვე შეთანხმდნენ თანხაზე - „რეალი" ფეხბურთელში, რომელსაც კონტრაქტის ამოქმედების მომენტში „რასინგთან" ხელშეკრულება არ ექნება, ხუთ მილიონ ევროს იხდის და მას ერთი სეზონით (ან ორით) იჯარით თმობს. 6-წლიანი კონტრაქტის თანახმად, თავად ფეხბურთელი 9 მილიონ ევროს მიიღებს სეზონში. ბოლო ცნობებით, ოფიციალური დადასტურება შეიძლება გუშინ ღამესვე მომხდარიყო (რადგან გავრცელდა ხმები, რომ თავად კანალესი დათანხმდა 2011 წლამდე იჯარას), თუმცა გვიან ღამემდე „რეალის" ხელმძღვანელობას ეს ინფორმაცია არ დაუდასტურებია...

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძე


სერხიო კანალესი

ზიძინა ზერეთთაშვილი წარმოგიდგენთ

## იქ, ამერიკაში...

# გააჩერეთ მარადონა!!!

**მართალია, ბუკმეკერები არგენტინის ნაკრებს ჯერაც მუნდიალის ფავორიტთა შორის ასახელებენ, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, „ალბისელესტეს“ სამხრეთ აფრიკაში კარგი დღე არ უწერია!!! ჩვენი სკეპსისის მთავარი მიზეზი გუნდის თავკაცი დიეგო არმანდო მარადონა და მისი სრულიად გაუგებარი და ალოგიკური საკადრო პოლიტიკაა!!!**

საწყალი მარადონა მგონი საბოლოოდ გაგიჟდა!!! აქამდე ხომ გამოცადა ნაკრებში 94 კაცი და „ალბისელესტეში“ მოხვედრას პრესტიჟი დაუკარგა, ახლა უფრო შორს წავიდა... და იამაიკასთან სათამაშოდ ჯერ „ესტუდიანტესის“ 4 ფეხბურთელი (**ენცო პერესი, კლემენტე როდრიგესი, ხოსე ერნესტო სოსა და მაურო ბოსელი**) გამოიძახა, რომლებსაც მეორე დღეს „კოპა ლიბერტადორესის“ მატჩი აქვთ გასამართი (!!!), ნახევარ საათში კი მიხვდა შეცდომას და მათ შემცვლელთა შორის დაასახელა ტუკუმანის „ატლეტიკოს“ ფორვარდი **ხუან პაბლო პერეირა**, რომელმაც „სან ლორენსოსთან“ პირველი ტურის მატჩში მძიმე ტრავმა მიიღო და გასულ სამშაბათს ოპერაცია გაიკეთა!!! ნუთუ შეიძლება ნაკრების ხელმძღვანელთაგან არავინ იცოდეს კანდიდატთა რეალური მდგომარეობა და კონდიციები?!

თუმცა, სჯობს ყველაფერს თანმიმდევრულად მივყვეთ. აქტიური საფეხბურთო კარიერის დასრულებიდან (1997) მოყოლებული, დიეგო გაუთავებლად აკრიტიკებდა ნაკრების ყველა მწვრთნელს და გუნდის მისთვის ჩაბარებას მოითხოვდა. **დანიელ ალბერტო პასარელასთან** მისი დაძაბული ურთიერთობა ისედაც ყველასთვის ცნობილია, თუმცა არც **მარსელო ბიელსას, ნესტორ პეკერმანს** და **ალფიო ბასილეს** დაჰკლებიათ ლანძღვა-გინება. არადა, ეს უკანასკნელი ოდესღაც მარადონას უახლოესი მეგობარი გახლდათ და სწორედ მისი დაჟინებით დაინიშნა „ბოკას“ მწვრთნელად. მაგრამ როგორც კი ნაკრებში მისულმა გაბედა **კარლოს ბიანკისთვის** კომპლიმენტის თქმა (მარადონას არც ეს წარმატებული სპეციალისტი უყვარს) მაშინვე დიეგოს მტრად გამოცხადდა!

საინტერესოა, რომ მარადონას ნაკრებში დანიშვნა სწორედ მისი 2 წინამორბედის დუელს მოჰყვა. 2008 წლის 15 ოქტომბერს ალფიო ბასილეს გუნდი სანტიაგოში დამარცხდა მარსელო ბიელსას ჩილესთან 0:1 და არგენტინის ნაკრები უმწვრთნელოდ დარჩა. 29 ოქტომბერს კი ფედერაციის პრეზიდენტმა **ხულიო გრონდონამ** თბილისიდან ახალ დაბრუნებული მარადონა „ალბისელესტეს“ მესაჭედ გამოაცხადა.

უსიამოვნებები პირველივე დღეებიდან დაიწყო და დღესაც გრძელდება. ვერაფრით ვერ მოხერხდა მთავარი მწვრთნელის ასისტენტის საკითხის მოგვარება. დიეგო მეორე წელია ითხოვს ამ პოსტზე **ოსკარ რუჯერის** დანიშვნას, გრონდონა კი მას ყურადღებას არ აქცევს და მენეჯერად დანიშნული **კარლოს ბილარდოს** პირით 1986 წლის ოქროს მუნდიალის დროინდელ სხვა თანაგუნდელებს სთავაზობს. ჯიუტმა მარადონამ ჯერ **ხოსე ლუის „ტატა“ ბრაუნი** დაიწუნა, შემდეგ პეკინის ოლიმპიადის მომგები **სერხიო ბატისტა**, ბოლოს კი **კარლოს ენრიკეს** კანდიდატურა მოიწონა, რომელმაც ექსპერიმენტულ შემადგენლობას იანვარში კატალონიასთან 2:4 წაგებულ მატჩში უხელმძღვანელა. ამასთან, შტაბში ახლა „ჩაკარიტას“ მწვრთნელი **ფერნანდო გამბოაც** მოიაზრება და „კოლონის“ თავკაცი **ანტონიო მოამედიც**. ამ ქაოსს დაემატა ბილარდოს ინტრიგები და ღია კონფლიქტი ჩვენს ძმაკაც მანკუსოსთან, რუჯერიმ კი ამასობაში გრონდონა ტელედებატებში გამოიწვია.

არადა, კვალიფიციური თანაშემწე აუცილებელია. დიეგოს წინა საწვრთნელი გამოცდილება 1994-95 წლებს უკავშირდება. მაშინ, კოკაინის მოხმარებისთვის დისკვალიფიცირებულმა მარადონამ **კარლოს ფრენთან** ერთად წაიმუშავა. ჯერ იყო პროვინციული კორიენტესის „დეპორტივო მანდიუ“, სადაც ცუდი შედეგები „ათიანმა“ მსაჯებს დააბრალა, ერთაერთს კი მატჩის დროს გაეკიდა და თავზე წყალი გადაასხა. უკეთესი მოგონებები არც „რასინგში“ გატარებულ ნახევარ სეზონს მოჰყოლია.

19 ნოემბერს შემდგარი სანაკრებო დებიუტი შოტლანდიაში მოგებით (1:0, **მაქსი როდრიგესი**) დასრულდა. გლაზგო საერთოდ ბედნიერი ქალაქია დიეგოსთვის - თავისი პირველი გოლიც აქ გაუტანა ადგილობრივ ნაკრებს (3:1) 1979 წლის ტურნეს დროს.

მერე იყო კიდევ 2 დამაჯერებელი გამარჯვება - საფრანგეთთან ამხანაგურში მარსელის „სტად ველოდრომზე“ 2:0 (**ხონას გუტიერესი, ლიონელ მესი**) და საშინაო შესარჩევში ვენესუელასთან 4:0 (მესი, **კარლოს ტევესი**, მაქსი, **სერხიო აგუერო**). მნიშვნელოვანია, რომ მარადონა მოგებული შემადგენლობიდანაც კი, ყოველ ჯერზე, მინიმუმ 3 მოთამაშეს ცვლიდა. ასევე იცვლებოდა მისი ფავორიტების სიაც: ჯერ დაიჩემა ჩემი ნაკრები „**ხავიერ მასკერანო** + 10 დანარჩენიაო“ და ლივერპულელი საყრდენი ახალ კაპიტნად დანიშნა, ფრანგებთან გატანილი გოლის შემდეგ გაჩნდა ნაკრების ახალი დეფინიცია: „მასკერანო, გუტიერესი + 9“, ხოლო ვენესუელის რბევამ დიეგოს ათქმევინა - ეს ნაკრები მესის გუნდიაო!

ამასობაში დადგა 1 აპრილი... და დაიწყო. თავდაპირველად საპირველაპრილო ხუმრობად მიჩნეულ, ლა პასის „ესტადიო ერნანდო სილესზე“ დატრიალებულ კოშმარს ერთი საინტერესო წინაპირობა ჰქონდა. 2010 წლის მუნდიალის შესარჩევი ციკლის დაწყებამდე ფიფამ გადაწყვიტა აეკრძალა თამაშების გამართვა ბოლივიისა და ეკვადორის მაღალმთიან ქალაქებში, სადაც გაიშვიათებული ჰაერი მასპინძლებს მნიშვნელოვან უპირატესობას ანიჭებს. როგორ გგონიათ, ვინ ამოუდგა მხარში ჩაგრულ ხალხებს და **ზეპ ბლატერს** ხელი აალებინა თავის განზრახვაზე? რა თქმა უნდა, ფიდელის მეგობარი და „იმპერიალიზმთან მებრძოლი“ დიეგო!!! ჰოდა შედეგიც შესაშური მიიღო - მისი ნაკრები ჯერ ბოლივიაში განადგურდა, 1:6, რითიც არგენტინული ფეხბურთის ანტირეკორდი გაიმეორა (1:6 ჩეხოსლოვაკიასთან, 1958 წლის მუნდიალზე), 10 ივნისს კი ეკვადორში შერცხვა 0:2.

ამათგან პირველ მატჩში მარადონამ თავისი „ნოუ ჰაუ“ შემოგვთავაზა და გუნდი ლა პასში ზედ თამაშის წინ ჩაიყვანა. არა მგონია, ასეთი საცოდავი არგენტინა ოდესმე ვინმეს ენახოს. ფეხბურთელები არათუ ვერ დარბოდნენ, სიარულიც კი უჭირდათ - ერთადერთი გოლი **ლუჩო გონსალესმა** ლამის მოედნის ცენტრიდან გაიტანა. საუკეთესო კი ალბათ ისევ მეკარე **ხუან პაბლო კარისო** იყო - პენალტი მაინც მოიგერია! შედარებით უკეთ ითამაშა გუნდმა კიტოში - პირველ ტაიმში აჯობა კიდეც მეტოქეს, მაგრამ მერე მოთამაშეები დაიღალნენ და წინააღმდეგობა შეწყვიტეს.

შუალედში მოხდა ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა - პირველი მატჩი გამართა ე.წ. „ადგილობრივმა ნაკრებმა“. ალტერნატიული ნაკრების შექმნა, სადაც ადგილობრივ კლუბებში მოასპარეზე ფეხბურთელებს გამოცდიდნენ, მარადონას ერთ-ერთი პირველი გადაწყვეტილება გახლდათ. ინიციატივამ საყოველთაო აჟიოტაჟი გამოიწვია. სასწრაფოდ შედგა სპეციალური გრაფიკი ამ გუნდისთვის (აღსანიშნავია, რომ მას საკმაოდ კარგი შედეგები აქვს - პანამა 3:1, განა 2:0, კოსტა რიკა 3:2).

ეს გახლდათ დიეგოს ექსპერიმენტი №2. მან გადაწყვიტა, მოახლოებულ 2 შესარჩევში სხვადასხვა შემადგენლობა გამოეყენებინა. ერთი (ლეგიონერებისგან შემდგარი) შინ კოლუმბიასთან დაგეგმილი დამაჯერებელი გამარჯვებით აღიდგენდა შელახულ პრესტიჟს, მეორე კი სპეციალურად ეკვადორის მაღალმთიანეთისთვის გაივლიდა წვრთნას და გამორიცხავდა „ბოლივიური ფიასკოს“ გამეორებას. საბოლოოდ, არც ერთი მოხდა და არც მეორე.

საერთოდ, ალტერნატიული ნაკრების იდეა აბსოლუტურად გამართლებულია, მაგრამ არა ამ შემთხვევაში! ფაქტობრივად, მარადონა აქაც ყველა მატჩზე სხვადასხვა ხალხს იწვევს, მათ შორის ისეთებსაც, ვინც საკუთარი კლუბის ძირითადში ვერ ხვდება! მაგალითად, გასული წლის 20 მაისს პანამისთვის გატანილი 3 გოლიდან ორის ავტორი, „სან ლორენსოს“ ბომბარდირი **გონსალო ბერხესიო** (დღეს „სენტ ეტიენი“, საფრანგეთი) 20 წუთით შეუშვეს ეკვადორთან და მას მერე საწვრთნელ შეკრებაზეც კი აღარ გამოუძახიათ. იგივე ბედი გაიზიარა მესამე გოლის გამტანმა, „ურაკანის“ პლეიმეიკერმა **მატიას დეფედერიკომ** (ახლა „კორინთიანსი“, ბრაზილია). ამ ლოგიკით გამოდის, რომ გოლის გატანა ცუდი ყოფილა!

მაგრამ, მოდი, დავუბრუნდეთ შესარჩევ ციკლს. კოლუმბიასთან „ევროპულმა“ არგენტინამ ცუდად ითამაშა, მაგრამ **დანიელ „კატა„ დიასის** გოლით მაინც მოიგო 1:0. „ადგილობრივებმა“ პანამას აჯობეს 3:1, ამათგან ეკვადორში მხოლოდ 3 კაცი გაემგზავრა - **ემილიანო პაპა** და ბერხესიო თადარიგში დარჩნენ, **ნიკოლას ოტამენდიმ** კი სრულად ისპარეზა... იმ დიასის ნაცვლად, კოლუმბიას რომ გაუტანა! შედეგზე უკვე ვისაუბრეთ.

დადგა გადამწყვეტი პერიოდი, სექტემბერში არგენტინას ბრაზილიასთან და პარაგვაისთან უნდა გაერკვია თავისი რეალური ძალა. ამ ეტაპისთვის სამზადისში, 12 აგვისტოს, მოსკოვში 3:2 მოგებულ (აგუერო, **ლისანდრო ლოპესი, ხესუს დატოლო**) ამხანაგურში დიეგომ კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი გამოცადა. ყველაზე უკეთ თავი „პორტუდან“ „ლიონში“ გადასულმა ლისანდრო ლოპესმა და „ნაპოლის“ ახალწვეულმა დატოლომ წარმოაჩინეს - ორივენი შეცვლაზე შევიდნენ და თითოჯერ გაიტანეს.

საშინაო მატჩებში არადამაჯერებელი გამოსვლა დიეგომ მისთვის საძულველ „რივერის“ სტადიონს დააბრალა და ბრაზილიასთან თამაში „მონუმენტალიდან“ როსარიოს „გიგანტე დე აროიტოზე“ გადაატანინა. მაგრამ ამ დაცვით (სადაც გამოუცდელ ოტამენდის 2 დებიუტანტი - 32 წლის **სებასტიან დომინგესი** და 37 წლის **როლანდო სკიავი** - იმ მოტივით დაამატეს, „კორინტიანსში“ და „გრემიოში“ აქვთ ნათამაშებიო), არგენტინა ვერაფერს გააწყობდა დუნგას „მუტანტებთან“ ვერც როსარიოში და ვერც დედამიწის რომელიმე სხვა კუთხეში. 30-ე წუთისთვის არგენტინა უკანმოუხედავად უტევდა, „კანარინიას“ კი სულ სამჯერ ჰქონდა დარტყმული კარის მიმართულებით და 0:2 იგებდა... სწორედ მარადონას მოწონებული ცენტრალური მცველების შეცდომებით! მეორე ტაიმში დატოლოს ულამაზეს გოლს კი, იმწამსვე **კაკას** საფირმო პასი, იმავე დომინგესის გაბითურება და **ლუიშ ფაბიანოს** ეფექტური პასუხი მოჰყვა 1:3.

დამნაშავეებად მეკარე **მარიანო ანდუხარი** და მაქსი როდრიგესი გამოცხადდნენ, მდგომარეობა კი პარაგვაისთან მოგებით უნდა გამოსწორებულიყო. თუმცა, ასუნსიონიდან არგენტინელები ისევ დამარცხებული დაბრუნდნენ (0:1), თან ისე, პირველად კარში მე-60 წუთზე რომ დაარტყეს... ამას უკვე **ხავიერ ძანეტი, ფერნანდო გაგო** და უთამაშებელი ლისანდრო ლოპესი (!!!) შეეწირნენ.

მუნდიალზე ვერმოხვედრის საფრთხე რეალური გახდა. და აი აქ, პერუსთან და ურუგვაისთან მატჩებში პირველად გამოჩნდა, რომ ფორტუნა მართლაც სწყალობს მარადონას. 10 ოქტომბერს დიეგოს ჯერ **გონსალო იგუაინმა** დაუფასა ნაკრებში მიწვევა (1:0), 93-ე წუთზე კი შეცვლაზე შეშვებულმა **მარტინ პალერმომ** (2:1). ამ გოლებს შუა პერუმ ერთხელ გაათანაბრა, მეორედ კი ამის საშუალება არგენტინელთა ძელმა არ დაანება.

4 დღეში მონტევიდეოს „სენტენარიოზე“ სტუმრებს ფრეც ჰყოფნიდათ, თუმცა თავიც კარგად დაიცვეს და ბოლოს მოიგეს კიდევაც. აქაც შეცვლამ გაამართლა - 84-ე წუთზე ურაკანელმა **მარიო ბოლატიმ** (ამჟამად, „ფიორენტინა“ იტალია) პრაქტიკულად პირველივე შეხებით გაიტანა - 0:1 და მორიგი სკანდალი. თუ პერუელებთან გამარჯვება მარადონამ „მხოლოდ“ ტალახის გუბეში გადაშვებითა და გასრიალებით აღნიშნა, მუნდიალის საგზურის მოპოვებისთანავე თანამემამულე ჟურნალისტებს გაუხსენა სრულიად სამართლიანი კრიტიკა და პრესკონფერენციაზე ურჩია: „Que la chupen y que la sigan chupando“! (ჩვენებურად - დღეს ხომ მომწოვეთ და მომავალშიც ასე განაგრძეთო!) ამისთვის მას ორთვიანი დისკვალიფიკაციის მოხდამ მოუწია.

წლის ბოლო მორიგი წარუმატებლობებით აღინიშნა. ნოემბერში არგენტინამ საფეხბურთო კომპონენტებში პირწმინდად წააგო მადრიდში ესპანეთთან 1:2 (მესი), თუმცა, ბოლო წუთზე **მარტინ დემიკელისმა** კინაღამ გაათანაბრა. დეკემბერში კი მორიგ ექსპერიმენტულ შემადგენლობას იოჰან კრუიფის დამოძღვრილმა კატალონიამ აჯობა 4:2 (**ხავიერ პასტორე, ანხელ დი მარია**).

2010 წელს ლეგიონერებს არ უთამაშიათ, „აბორიგენებმა“ კი სან ხუანში კოსტა-რიკას მოუგეს 3:2 (**ხოსე ერნესტო სოსა, გილერმო ბურდისო, ფრანკო ხარა**). ექსპერტები აღნიშნავენ - იმ შემადგენლობიდან, პალერმოს გარდა, აფრიკაში მოხვედრის იმედი მხოლოდ 3 კაცს შეიძლება ჰქონდეს: მარჯვენა მცველ კლემენტე როდრიგესს, სოსას და „ბოკას“ მცველ **ფაბიან მონსონსო**. მართლაც, რაც უნდა გიჟი უძახო, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მარადონამ „ველესის“ დუბლიორები **გასტონ დიასი, ფრანკო რასოტი, ხონატან კრისტალდო** და მათი კლასის მოთამაშეები დააწინაუროს.

ახლა კი ორიოდე სიტყვა იამაიკასთან გამოძახებულებზე და საერთოდ ამ მატჩზეც ვთქვათ. თამაში 10 თებერვალს მარ დელ პლატაში „ხოსე მარია მინელაზე“ გაიმართება. გაუგებარი რჩება, ვინ ადგენს ასეთი შეხვედრების გრაფიკს. თავიდანვე ნათელი იყო, რომ მატჩში მონაწილეობას ვერ მიიღებენ „ბანფილდის“, „ნიუელსის“, „ლანუსის“, „ველესის“, „კოლონისა“ და „ესტუდიანტესის“ მოთამაშეები, რომლებსაც იმ დღეებში „კოპა ლიბერტადორესის“ თამაშები ელით. მაშ, რიგით რომელი შემადგენლობა უნდა ეპაექროს იამაიკას და საერთოდ რა აზრი აქვს ასეთ შეხვედრას?!

ეს კითხვაც, რა თქმა უნდა, რიტორიკულია და უპასუხოდ დარჩება. სამაგიეროდ, კიდევ უფრო გაიზარდა „მარადონას ეპოქაში“ ნაკრებში მიწვეულთა რიცხვი, რომელიც ახლა 101-ს (!!!) შეადგენს და ხვალ-ზეგ კიდევ გაიზრდება. კოსტა-რიკასთან მოგების მერე რჩეულთა კასტას დაემატნენ: **მარიანო ეჩებერია** („ჩაკარიტა“), **ვალტერ ასევედო, ლიონელ გალეანო** (ორივე „ინდეპენდიენტე“), **ლუკას ლიხტი, გაბრიელ მერკადო** (ორივე „რასინგი“), **პატრისიო ტორანცო** („ურაკანი“) და ხუან პაბლო პერეირა. როგორც დასაწყისში ვთქვით, ეს უკანასკნელი ახალი ნაოპერაციებია და ვერ ითამაშებს. ამბობენ, მას მორიგი დებიუტანტი, „რასინგის“ ბომბარდირი **კლაუდიო ბიელერი** შეცვლისო - ესეც 102!

გოლის გატანა კვლავ ძვირად ჯდება - ამჯერად, გუნდიდან ამოაგდეს კოსტარიკელებთან გამტანი **გილერმო ბურდისო** („როსარიო სენტრალი“). სამაგიეროდ, დატოვეს „არსენალის“ კიპერი **კრისტიან კამპესტრინი**, რომელმაც იმავე თამაშში ბავშვური საჯარიმო გაუშვა „თავის“ კუთხეში! თუმცა, რა მიკვირს? მისი დუბლიორი ხომ მთლად გასავარდნად განწირული „გოდოი კრუსის“ მეკარე **ნელსონ იბანიესია**!

ბარემ დანარჩენებსაც გავეცნოთ: **მატიას კარუსო, ხუან მერსიერი, იგნასიო კანუტო** (ყველა „არხენტინოსი“), **ფრანკო ხარა** („არსენალი“), **ფედერიკო ინსუა, მარტინ პალერმო, ნიკოლას გაიტანი, ხესუს მენდესი** (ყველა „ბოკა“), **გაბრიელ აუჩე** („რასინგი“).

შემდეგი ამხანაგური არგენტინას 3 მარტს აქვს დაგეგმილი გერმანიასთან მიუნხენში. იქ ძირითადი შემადგენლობა ითამაშებსო, წერენ, თუმცა რომელია ძირითადი და რომელი სათადარიგო, უკვე მხოლოდ ღმერთმა და „წმინდა დიეგომ“ უწყიან!!!



ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანიის ნაკრები



რითი დასრულდება ლიოვსა და ბირჰოფს შორის დაპირისპირება?

# ცვანციგერმა ლიოვსა და ბირჰოფს მოაკეტინა!

## ბუნდესმწვრთნელთან კონტრაქტი მუნდიალამდე არ გაგრძელდება. ლიოვის ბედი მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ გადაწყდება

გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** და მენეჯერმა **ოლივერ ბირჰოფმა** აშკარად ზედმეტი მოინდომეს, რის გამოც შემოდგომაზე მიღწეული სიტყვიერი შეთანხმება ლიოვის და მისი შტაბისთვის კონტრაქტის ნაადრევად გაგრძელების შესახებ, ჩაიშალა. როგორც ჩანს, ლიოვსა და ბირჰოფს ეგონათ, რომ მათ ნებისმიერ ფასად გაუგრძელებდნენ კონტრაქტებს...

თავიდან მოვყვეთ. შემოდგომაზე გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა **თეო ცვანციგერმა** განაცხადა, რომ ლიოვთან კონტრაქტის გაგრძელება გადაწყვეტილი ამბავი იყო და რომ გერმანიის ნაკრების თავკაცთან ახალი ხელშეკრულება გაზაფხულამდე გაფორმდებოდა. ჩვენი გერმანელი კოლეგები კონტრაქტებზე იოგისა და მისი შტაბის წევრების ხელმოწერებს თებერვლის დასაწყისში ელოდნენ, მაგრამ მოულოდნელად გაირკვა, რომ შეფერხებას ჰქონდა ადგილი. „ბილდმა" გაარკვია: ლიოვმა და ბირჰოფმა ცვანციგერს გარკვეული მოთხოვნები წაუყენეს. კერძოდ, ლიოვი ახალი კონტრაქტის გაფორმებისთვის საკმაოდ დიდ ბონუსს (სავარაუდოდ 2 მილიონ ევროს) ითხოვდა და საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტისთვის უთქვამს, ასეთ ბონუსს ნამდვილად ვიმსახურებ, რადგან გერმანიის ნაკრებმა ჩემს ხელში დიდი პროგრესი განიცადაო. ბირჰოფმა კი გერმანული ფეხბურთის ისტორიაში უპრეცედენტო ბონუსი მოითხოვა: მას სურდა, რომ ჰქონოდა გადამწყვეტი ხმა, რითაც ვეტოს დაადებდა გერმანიის ნაკრების მწვრთნელის გათავისუფლებისა თუ ახლის დანიშვნის გადაწყვეტილებას. ისე გამოდიოდა, რომ გერმანიის საფეხბურთო კავშირი ბირჰოფის თანხმობის გარეშე (!) ბუნდესმწვრთნელს ვერც გაათავისუფლებდა და ვერც დანიშნავდა. როგორც ირკვევა, ბირჰოფს ამ ბონუსით სურდა, წინასწარ ჰქონოდა იმის გარანტია, რომ ლიოვს არ გაათავისუფლებდნენ და მის ნაცვლად **მათიას ზამერს** არ დანიშნავდნენ (შეგახსენებთ, რომ ბირჰოფი ზამერს ვერ იტანს, ეს უკანასკნელი კი გერმანიის საფეხბურთო კავშირის სპორტული დირექტორი და სავარაუდოდ, მომავალი ბუნდესმწვრთნელია).

გუშინწინ ცვანციგერი ბირჰოფს ფრანკფურტში, საფეხბურთო კავშირის ცენტრალურ ოფისში შეხვდა და დაამშვიდა. ცვანციგერმა მას ორივე მოთხოვნის შესრულებაზე უარი უთხრა. საფეხბურთო კავშირის პრეზიდიუმმა ცვანციგერის „თამადობით" ლიოვისა და ბირჰოფის მოთხოვნებს ვეტო დაადო. პრეზიდენტის გადაწყვეტილება ასეთია: ლიოვთან, ბირჰოფთან და მთლიან შტაბთან, ახალ კონტრაქტზე მოლაპარაკებები მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ გაიმართება. მყისვე, „ბილდმა" გამოკითხვა ჩაატარა გულშემატკივრებში და გამოკითხულთა 80 პროცენტი ცვანციგერს ამართლებს. გერმანელი ქომაგების აბსოლუტური უმრავლესობა იმის წინააღმდეგია, რომ ლიოვთან და მის გუნდთან კონტრაქტები ნებისმიერ ფასად გაგრძელდეს.

შესაბამისად, უცნობია, რა ბედი ეწევა ლიოვს და მის შტაბს მუნდიალის შემდეგ. თუ ბუნდესგუნდი მსოფლიოს ჩემპიონატზე წარუმატებლად იასპარეზებს, წყალი არ გაუვა იმას, რომ ლიოვს პოსტიდან მოხსნიან...

**გოტფრიდ ლენცი**

ბაიერნი

# ვან ბუიტენმა, ალბათ, რიბერიც მომბაძავსო



დანიელ ვან ბუიტენი ბაიერნში კიდევ 2 წელი ითამაშებს

როგორც გამცნეთ, „ბაიერნის" ბელგიელმა მცველმა **დანიელ ვან ბუიტენმა** რეკორდმაისტერთან ახალი კონტრაქტი გააფორმა. 31 წლის მცველის ხელშეკრულებას ვადა მიმდინარე სეზონის მიწურულს უმთავრდებოდა და ახალი ხელშეკრულების თანახმად, ვან ბუიტენი „ბაიერნში" 2012 წლამდე ითამაშებს.

*„ყოველთვის ვამბობდი, რომ მიუნხენში თავს ბრწყინვალედ ვგრძნობ. ამ სეზონში სულაც უბედნიერესი ვარ, რადგან მუდმივად ძირითად შემადგენლობაში ვთამაშობ. შესაბამისად, როცა ხელმძღვანელებმა კონტრაქტის გაგრძელება შემომთავაზეს, ერთი წუთითაც არ მიყოყმანია, მაშინვე დავთანხმდი. იმედი მაქვს, რომ ჩემი საქციელი ფრანკ რიბერიზეც იმოქმედებს და ისიც მალე მოაწერს ხელს ახალ კონტრაქტს,"* - განუცხადა ვან ბუიტენმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს. ცნობილი იყო, რომ ბელგიელი მცველით ტურინის „იუვენტუსი" იყო დაინტერესებული.

**გოტფრიდ ლენცი**

შაბათის სტუმარი

# გოჩა თანდარაშვილი

# სპორტი ჩემი ოჯახის წევრია

**დღევანდელი შაბათის სტუმარი რუსთავი 2-ის იუმორისტული გადაცემების სცენარისტი გოჩა თანდარაშვილია. გოჩა რომ ჭეშმარიტი ქომაგია, ამაში თავადაც დარწმუნდებით ადრე ჭადრაკს თამაშობდა. თქვენ წარმოიდგინეთ, პირველი თანრიგიც აქვს მიღებული. ერთი ხანობა ჟურნალისტობდა კიდეც, რა თქმა უნდა, სპორტის განხრით.**

**რა ადგილი უკავია სპორტს მის ცხოვრებაში?**

**ჩემთვის სპორტი ყველაფერია. შეიძლება ითქვას, რომ სპორტით ვცოცხლობ, - აღნიშნა მან საუბარში, - სპორტი ასევე მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვისაც. როდესაც მსოფლიოს ჩემპიონატს მილიონობით ან მილიარდი ადამიანი უყურებს, ესე იგი, ის უკვე მნიშვნელოვანია. ზოგ ქვეყნებში სპორტი რელიგიადაც კი იქცა.**

**სპორტი ქვეყნის წარმოჩენის სახეა. ხორვატია ჩვენნაირ სიტუაციაში იყო, როდესაც მისმა ფეხბურთელებმა მსოფლიოს ჩემპიონატზე მესამე ადგილი დაიკავეს და ხორვატმა უიმბლდონის ტურნირიც მოიგო, ისინი ყველამ გაიცნო.**

**ქვეყანაზე შთაბეჭდილება სპორტის სახეობებში მიღწეული შედეგებით მექმნება.**

**- როგორ ფიქრობთ, სად ეყრება საფუძველი დიდ სპორტს?**

- ოჯახში. როდესაც ოჯახი სპორტულია, ბავშვის დაინტერესებაც შესაბამისია. ხშირად ხდება, რომ ოჯახს სულაც არ აინტერესებს სპორტი, მაგრამ ნიჭიერება აქ თავს მაინც წარმოაჩენს.

ახალგაზრდების სპორტსმენად ჩამოყალიბებაში სპორტული სექციები დიდ როლს თამაშობს. ამისათვის კი ბავშვთა მაღალი დონის მწვრთნელებია საჭირო.

ფეხბურთში, მაგალითად, დღეს მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელი საკმარისი არ არის. ყველას, ვინც ფეხბურთის თამაშს თავი დაანება, თავი ფეხბურთის მცოდნე ჰგონია. ხშირად ისიც ხდება, რომ დიდი ფეხბურთელები სულაც არ არიან, მაგრამ შემდეგ საუკეთესო მწვრთნელები ხდებიან.

**- თქვენი, როგორც გულშემატკივრის გადასახედიდან, როგორია სპორტის განვითარების დონე საქართველოში?**

- მიუხედავად იმისა, რომ სპორტის ზოგიერთ სახეობაში წარმატებები გვაქვს, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენი სპორტი მაღალ დონეზეა. მეტი მონდომება რომ იყოს, წარმატებაც მეტი გვექნებოდა. მნიშვნელოვანია ფინანსური მხარდაჭერაც. ახლანდელ ხელმძღვანელობას განა არ სურს, რომ წარმატებები მეტი იყოს. თუმცა ისე მოჩანს, თითქოს სახელმწიფო წარმატებულ სპორტის სახეობებისადმი გაცილებით მეტ მზრუნველობას იჩენს. ფეხბურთი არ იგულისხმება. რაგბიში წარმატებით ვითამაშებთ, რაგბს დაუდგებიან გვერდით, ჭიდაობაში მოვიპოვებთ წარმატებას და - ჭიდაობას... დიდ პატივს ვცემ დავით ნამგალაურს, რომელიც ყველაფერს აკეთებს სპორტში მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

**- საჭიროა თუ არა, სახელმწიფომ სპორტის მასობრიობაზე იზრუნოს?**

- მევიოლინესთვის სულაც არაა საჭირო, 100 მეტრზე რბენაში აუცილებლად 13 წამში ჩაეტიოს, მაგრამ ვისაც სჭირდება მხარდაჭერა, მას უნდა დაუდგნენ გვერდით.

**- რა ადგილი უკავია სპორტს თქვენს ოჯახში?**

- მამაჩემი დიდი გულშემატკივარია და სპორტი ჩემზე უკეთ იცის. პირველი სიტყვა, დედის ნაცვლად რაც ვთქვი, იყო დათო. მამას სახლში დათო ყიფიანის სურათები ჰქონდა.

სპორტულ ოჯახში გავიზარდე. სპორტსმენები არ ყოფილან, მაგრამ სპორტი უყვარდათ. იყო ასეთი შემთხვევა: დედაჩემი ჩემს დაზე იყო ფეხმძიმედ და ისიც მეცხრე თვეში, როცა სპორტის სასახლეში თბილისის „დინამოსა" და ცსკა-ს შეხვედრის საყურებლად წავიდა, მაგრამ კონტროლიორმა არ შეუშვა: გიჟი ხარ, აქ უნდა იმშობიაროო.

მამაჩემს სტადიონზე ბავშვობიდან დავყვებოდი. შეიძლება ითქვას, რომ სტადიონზე ვარ გაზრდილი.

**- გოჩა თანდარაშვილი წარმატებულ სპორტსმენობაზე ოცნებობდა?**

- როგორ არ მიოცნებია. ჭადრაკის სერიოზული მოთამაშე ვიყავი - პირველთანრიგოსანიც. არაოფიციალურად მსოფლიოს ჩემპიონ მიხეილ ტალთან, ნანა ალექსანდრიასა და სოფიკო ნიკოლაძესთან მითამაშია.



ჭადრაკის თამაში არ მიყვარდა, რადგან მეცადინეობას დიდი დრო სჭირდებოდა და შესაბამისად, გულსაც ვერ ვუდებდი.

ერთ-ერთ ტურნირზე რამდენიმე პარტია ზედიზედ წავაგე. სახლში წაგებულ თამაშს რომ ვარჩევდი, მამა მომიახლოვდა და მითხრა, რა ჰქენიო. როდესაც ვუთხარი, რომ წავაგე, ჯანდაბას, ხვალ ფეხბურთზე წაგიყვანო, მითხრა და ასე აღმოვჩნდი ფეხბურთში.

თამაში „ნორჩ დინამოელში" დავიწყე, თუმცა გულთან დაკავშირებული პრობლემების გამო ვარჯიში მალევე შევწყვიტე.

**- სპორტის სახეობათა შორის რომელს გამოარჩევდით?**

- კონკრეტულად ერთს ვერ გამოვყოფ: ძიუდო, რაგბი, ჭიდაობა, ფეხბურთი... მოკლედ, ყველა.

**- ქალი ტატამზე, საჭიდაო ხალიჩაზე, რინგზე...**

- მომწონს, რატომაც არა. შეიძლება ტანით არა, მაგრამ ძალოსნობაში ბევრი ლამაზი გოგონა მინახავს. მთავარია, რომ მათ მოიგონ და ჩემთვის მათზე ლამაზი აღარავინ იქნება.

**- ქართული ხალხური სპორტის ანალოგიები თუ იგრძნობა თანამედროვე სპორტში, ვთქვათ, ძიუდოში?**

- სხვა ქვეყნების უძლიერესი ძიუდოისტებიც ქართულ ილეთებს მიმართავენ, რადგან ჩვენი შუაკაური და სხვანი, ძიუდოში მისაღებია. შესაბამისად, ყველა ეშურება მის ათვისებას. ამ ბოლო დროს ცდილობენ მსოფლიო მასშტაბით გაიტანონ ქართული ჭიდაობა და იმედია, ეს მოხერხდება.

**- მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის საჭიროებაზე რას ფიქრობთ?**

- ვსწავლობდი ფიზიკა-მათემატიკურ სკოლაში. ფიზიკისა და მათემატიკის გარდა, ჩვენთვის ერთ-ერთი პრესტიჟული ფიზკულტურის გაკვეთილები იყო. ტვინგადაღლილი მოსწავლეებისთვის ფიზკულტურა განტვირთვის საუკეთესო საშუალებაა. ვთამაშობდით კალათბურთს და ბურთს ფარში კედელზე ხტომით „ვტენიდით".

**- ახლანდელი თაობის დამოკიდებულება სპორტისადმი...**

- დღევანდელი ახალგაზრდების ყველაზე მეტად რაც არ მომწონს, უცხოური ფეხბურთის კლუბებისა და ნაკრებების გულშემატკივრობაა. ამის მიუხედავად, ინგლისისა და „ლივერპულის" სიყვარული ბავშვობიდან მომდევს და ეროვნულ სულისკვეთებაში ხელს არ მიშლის.

დღევანდელი ახალგაზრდები „მილანის", „ჩელსის", „ბარსელონას" და სხვა გუნდების თამაშებს უყურებენ - სულ ესაა მათი სპორტის სიყვარული, რაც არასწორია.

შეიძლება „მანჩესტერ იუნაიტედისა" და „ლივერპულის" თამაში მიმდინარეობდეს და ამავდროულად „ლოკომოტივი"–„სამტრედია" ხვდებოდნენ ერთმანეთს. ამ ორ არჩევანს შორის მე ჩვენსას ვირჩევ იმის მიუხედავად, რომ სანახაობრივად შეიძლება სასიამოვნო სამზერი სულაც არ იყოს.

ახალგაზრდები გაზეთებს ტოტალიზატორში ფულის დასადებად კითხულობენ. მათ მესის ყურება ურჩევნიათ, ესთეტიკურად მისი თამაშის ცქერა მართლაც კარგია, მაგრამ როდესაც სპორტის გულშემატკივარი ხარ, შენი ქვეყნის პატრიოტიც უნდა იყო.

ეროვნული ჩემპიონატის საფეხბურთო მატჩის საყურებლად ტრიბუნებზე ფეხბურთელთა ცოლები, ნათესავები, ჟურნალისტები და მე დავდივართ. ფეხბურთის ფანობა იმას ჰქვია, რომ ბოლომდე ფეხბურთში უნდა იყო.

**- ჩვენი გულშემატკივარი გაწყობისააო, ამბობენ...**

- ასეა. საქართველოში სპორტისადმი დამოკიდებულება განისაზღვრება იმით, ვის რა წარმატება აქვს. მოიგებენ მორაგბეები, სტადიონი ივსება, მოიგებენ კალათბურთელები, სპორტის სასახლე ივსება, ფეხბურთელები წააგებენ და კაციშვილი გვერდით არ უდგას. ეს კი სულაც არაა ჯანსაღი დამოკიდებულება. როდესაც სპორტის ქომაგი ხარ, სპორტის გვერდით უნდა იყო.

ორი წლის წინათ „ლივერპულის" თამაშს ვესწრებოდი. იმ დღეს „ლივერპულმა" მესამე ლიგის გუნდს ინგლისის თასზე 5:0 მოუგო. „ლუთონის" გულშემატკივრები მთელი თამაშის განმავლობაში გულშემატკივრობდნენ თავის გუნდს. წაგების მიუხედავად, მატჩის შემდგომ მათ ფეხზე ადგომით, ტაშით გააცილეს თავიანთი გუნდი. ფეხბურთელებიც პატივისცემის ნიშნად გულშემატკივრების ტრიბუნასთან ახლოს მივიდნენ.

ქომაგი, გულშემატკივარი იმისაა, რომ ყოველთვის უნდა იყოს გუნდის გვერდით. შენმა ოჯახის წევრმა რომ ითამაშოს, ხომ არ აგინებ? ქომაგობაც ესაა. უნდა იყო იქ, სადაც შენს გუნდს და ქვეყანას სჭირდება.

**სალომე ხარატიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯუდო

პარიზის ტურნირი

# პარიზის პირველი მუზარადი

დღეს პარიზში, ბერსის საჭიდაო კომპლექსში ძიუდოისტთა სეზონის ერთ-ერთი უმთავრესი შეჯიბრება - „დიდი მუზარადის" სერიის რიგით პირველი ტურნირი იწყება. ტრავმების გამო, ჩვენი ნაკრების თავკაცმა **ამირან ტოტიკაშვილმა** საფრანგეთში უძლიერესი შემადგენლობა ვერ იახლა. **დავით ასუმბანი, პაატა მერებაშვილი** (60), **ნესტორ ხერგიანი, უჩა ხუციშვილი** (66), **ნუგზარ ტატალაშვილი, გიორგი დილებაშვილი** (73), **ლევან წიკლაური, იოსებ წელაური** (81), **საბა გავაშელიშვილი** (90), **ირაკლი ცირეკიძე, ნოდარ მეტრეველი** (100), **ზვიად ხანჯალიაშვილი, ადამ ოქრუაშვილი** (+100) – აი, ამ ფალავნებს უხმო მწვრთნელმა. როგორც ვხედავთ, შემადგენლობაშია და იჭიდავებს მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი ირაკლი ცირეკიძე, რომელმაც ერთი ხანობა თითქოს სპორტიდან წასვლა გადაწყვიტა.

მიზეზთა გამო, უძლიერესი შემადგენლობებით ვერც სხვა გუნდები გამოდიან. თუნდაც მასპინძლები, რომლებსაც ტრავმების გამო რამდენიმე მეტ-ნაკლებად ცნობილი ფალავანი აკლიათ. თუმცა მათ ობიექტურმა მიზეზებმა შეუშალა ხელი ოპტიმალური შემადგენლობის შეკრებაში, აი, რუსთა იტალიელი თავკაცი **ეძიო გამბა** კი ისევ აგრძელებს თამამ ექსპერიმენტებს და პარიზში უმეტესობა ახალგაზრდა და ფართო საზოგადოებისთვის უცნობი ფალავნები წაიყვანა. იტალიელმა არც ერთი იქაური ტიტულოვანი ფალავანი არ იახლა, თუ ევროპის ჩემპიონს და მსოფლიოს პრიზიორ **ივან პერშინს** არ ჩავთვლით, რომელიც ამჯერად ახალ წონით კატეგორიაში – 100-ში იჭიდავებს და დიდი შანსია, კვლავ შეხვდეს ცირეკიძეს. შეგახსენებთ - ჩვენებურმა ის პეკინის ოლიმპიადაზე შებოჭა და მერე ხელებით ის ცნობილი ჟესტი უჩვენა, რომელიც ქართველ გულშემატკივარს არასოდეს დაავიწყდება. სხვა მხრივ რუსთა ნაკრებში ძველი შემადგენლობიდან სამიოდე ფალავანი კი ირიცხება, მაგრამ ისინი იმთავითვე სათადარიგოები იყვნენ და არც რაიმე მიღწევებით გამოირჩევიან.

ტურნირის დასრულების შემდეგ პარიზში ერთობლივი წვრთნები ჩატარდება, იქით უქმეებზე კი ავსტრიის ასევე ტრადიციული და პრესტიჟული ტურნირია.

**ირაკლი თავაძე**

სამთო თხილამურობა

# ათეულს მიუახლოვდა

ვანკუვერის ოლიმპიადის მონაწილე სამთომოთხილამურე **იასონ აბრამაშვილმა** ავსტრიულ სიოლში ფის-ის ეგიდით გამართულ ორ სლალომში მიიღო მონაწილეობა. 4 თებერვალს მან კარგად ისრიალა და ორი ცდის ჯამში 1:36.42 წუთი შედეგით მე-12 ადგილი დაიკავა (რეიტინგით მონაწილეებში 31-ე იყო). 25-ე ადგილზე გავიდა **კოტე ვახტანგიშვილი, ალექსი ბენიანიძეს** კი კარის გამოტოვებისთვის პირველი ცდის მერე დისკვალიფიკაცია მისცეს. 5 თებერვლის სლალომში იასონი მეორე ცდაზე შეცდა და შეჯიბრებას გამოეთიშა, ისევე, როგორც კოტე ვახტანგიშვილი (1-ელი ცდა) და ალექსი ბენიანიძე (მე-2 ცდა).

16 წლის **ჯაბა გელაშვილიც** იასპარეზებს ვანკუვერის ოლიმპიადაზე. ის ლიხტენშტაინში მალბუნის ტრასაზე სლალომში გამოვიდა, მაგრამ წარუმატებლად - პირველი ცდა ვერ დაასრულა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ინტერვიუ

# ლეგენდა მიდის, ლეგენდა რჩება

<< პირველი გვერდიდან

**- ეს გარდამავალი პერიოდი, ანუ წასვლის პროცესი გაგრძელდა. ეტყობა, საყვარელ საქმესთან გამოთხოვება ძალიან ძნელია.**

- ძალიან ძნელია. მოგეხსენებათ, 2006 წელს ევროპის პირველობაზე ბრინჯაო მოვიპოვე მძიმე წონით კატეგორიაში. 2007-ში განცხადება გავაკეთე წასვლის შესახებ. ახლა, ამ გადასახედიდან ვფიქრობ, ბევრად უკეთესი იქნებოდა, საკუთარ თავში იმდენი ძალა მომეძებნა, სპორტში არ დავბრუნებულიყავი, მაგრამ იმდენად ძნელი იყო წასვლა, ეს ვერ შევძელი. ალბათ, დაბრუნება შეცდომა იყო, რადგან ყველაფერს აქვს დასასრული, მაგრამ ყველა მოქმედი სპორტსმენი დამეთანხმება, რაოდენ ძნელია ამის გაკეთება. ამ 30 წლის განმავლობაში იყო ბევრი ტკივილი, ბევრი შრომა, ბევრი იმედგაცრუებაც, მაგრამ იყო ძალიან დიდი წარმატებებიც. როგორც სპორტსმენი, ამას ვერ შეველიე.

სიმართლე გითხრათ, სპორტს ვერც ახლა ველევი, მაგრამ მწვრთნელებთან, ახლობლებთან კონსულტაციების შემდეგ ყველაფრისთვის წერტილის დასმა გადავწყვიტე.

**- მახსოვს, იმ განცხადების გაკეთების დროსაც თქვით, რომ იმ ნაბიჯის გადადგმაზე რამდენიმე დღე და ღამე ფიქრობდით...**

- მაშინ იმდენად ვნერვიულობდი, მღელვარებისგან პირი გამიშრა და სიტყვებს ვერ ვპოულობდი. ძალიან ძნელია შეელიო, შენი ქვეყნის მსახურებას იმ საქმეში, რაც კარგად იცი.

**- კარიერაში მართლაც ბრწყინვალე შედეგები მოიპოვეთ, თუმცა არის დაუპყრობელი მწვერვალიც. ზედმეტია იმის კითხვა, სპორტში რაზე გწყდებათ გული...**

- ათენის ოლიმპიური თამაშები ჩემი ყველაზე დიდი იმედგაცრუებაა. სამწუხაროდ, შეუმცდარი არავინაა და მომზადების პროცესში დაშვებულმა შეცდომებმა განაპირობა ის წაგება.

**- თქვენი აზრით, ოლიმპიურ ჩემპიონობასთან ყველაზე ახლოს როდის იყავით?**

- ალბათ, უფრო ათენში. ის ოლიმპიური ციკლი უმაღლეს დონეზე გავიარე - 2001 წელს ევროპის ჩემპიონობა მოვიპოვე, 2002-ში მსოფლიოს ჩემპიონი გავხდი ირანში, სადაც ფინალში მასპინძელი ფალავანი დავამარცხე. ეს წარმატება 2003-ში ამერიკაში გავიმეორე, 2004-ში კი გავიმარჯვე ხასავიურტის, მახაჩყალის, ტაშკენტისა და კიდევ რამდენიმე უძლიერეს ტურნირში. ამ შეჯიბრებებში ერთი საჯარიმო ქულაც არ დამიკარგავს. ოლიმპიადის შემდეგ ისევ მოვიგე ევროპის პირველობა და მსოფლიოს ფინალში ვიჭიდავე... ამიტომ ვამბობ, რომ იმ ციკლში კარგ ფორმაში ვიყავი. სიდნეის თამაშების შემდეგ სულ აღმავალი კარიერა მქონდა. შეიძლება, ადამიანი ერთ წელიწადში იყოს ნაკრების ლიდერი, მაგრამ მეორეში ვერ მოხვდეს შემადგენლობაში, მე კი მთელი ის წლები სტაბილურად კარგად ვჭიდაობდი. მაგრამ, ალბათ, ზედმეტი მონდომების გამო მზადების პროცესში გარკვეული შეცდომები დავუშვით, რამაც ის მარცხი განაპირობა. ისე ნუ გამიგებთ, თითქოს იმ წაგებას ვინმეს ვაბრალებ - შეცდომა ყველას მოგვდის. მე ეს უფრო ბედისწერა მგონია, რომელიც ყოველ ადამიანს სდევს, თუმცა თვითონაც ქმნის თავის ბედს. ეტყობა, მეც ისე შევქმენი, ოლიმპიური ჩემპიონობა არ მეწერა.

**- ანუ თავი უიღბლო სპორტსმენად მიგაჩნიათ?**

- პირიქით. თუ გავითვალისწინებთ, რომ ოლიმპიადა არ მომიგია, იქნებ მართლაც უიღბლო ვჩანდე, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონობა ათასობით და მილიონობით ადამიანს უნდა, მაგრამ ერთეულები ხდებიან, მადლიერი ვარ ჩემი ბედისა, რომელმაც უდიდესი შედეგები, სიხარული და ჩემი ხალხის სიყვარული მომიტანა.

**- თქვენი მეტოქეებიდან გამორჩეულად ორი დამამახსოვრდა - დაღესტნელი საგიდ მურთაზალიევი სიდნეის ოლიმპიადაზე იმ უკეთური ხერხებით გამარჯვების გამო და ირანელი ალირეზა ჰეიდარი, რომელსაც ორჯერ მოუგეთ მსოფლიოს პირველობის ფინალი. მათ თუ ხვდებით, როცა მათს ქვეყნებში ჩადიხართ, როგორი ურთიერთობა გაქვთ ერთმანეთთან?**

- 2007 წელს, როცა მახაჩყალაში გავიმარჯვე, მურთაზალიევმა დამაჯილდოვა და მითხრა, იცოდე, დაღესტანში ჩემი სახით ძმა გყავს, რომლისთვისაც დიდი პატივი იქნება, მიგიღოს და გიმასპინძლოსო. ადრე, როცა ის მოსკოვში მძიმედ დაჭრეს და რეანიმაციაში იწვა, დავურეკე და მოვიკითხე. ალბათ, მისი ის სიტყვებიც ამან განაპირობა.

აქვე სიამოვნებით შევნიშნავ, რომ დაღესტანში არანაკლებ პოპულარული ვარ, ვიდრე - საქართველოში. თან იქ ქართულ კულტურასაც ძალიან დიდ პატივს სცემენ.

ალირეზა ჰეიდარს რაც შეეხება, მოგეხსენებათ, ათენის ოლიმპიადის შემდეგ ორი წელიწადი ირანულ კლუბში ვჭიდაობდი. მათთან კონტრაქტი ორმხრივი რევანშის სურვილი იყო - მეც მინდოდა ჰეიდარისთან შეხვედრები და ირანელებსაც სურდათ ჩვენი შერკინებები, მაგრამ სწორედ იმ პერიოდში ალირეზამ ტაიმ-აუტი აიღო და არ შემხვედრია. მან თქვა კიდეც, კურტანიძესთან შეხვედრას კლუბიდან წასვლა მირჩევნიაო და ეს იქაურმა გაზეთებმაც დაწერეს.

მოგეხსენებათ, ირანში ცხოვრება ცოტა რთულია იქაური სპეციფიკის გამო - ეს სულ სხვა სამყაროა, მაგრამ ჰეიდარისთან შეხვედრის ჟინი იმდენად დიდი იყო, დაუფიქრებლად წავედი ამაზე. მართალია, ალირეზას ვერ შევხვდი, მაგრამ იმ წლებმა ბევრი რამ მასწავლა - ირანის დიდი ისტორია, უფროსებისადმი მათი დამოკიდებულება, ჭიდაობისადმი საოცარი მიდგომა, მაგრამ ჩემთვის გამორჩეული ამბავი იყო, როცა ათასობით ირანელი მათი ფალავნის წინააღმდეგ მე, ქართველს მქომაგობდა. ჩვენი ისტორიული ურთიერთობებიდან გამომდინარე, ეს გამორჩეული ამბავია. ირანში უდიდეს პატივისცემას ვგრძნობდი. ყურადღება და დაფასება ბევრგან მიგრძვნია, მაგრამ ისეთი - არსად. ერთხელ ირანში პარტნიორად რევაზ მინდორაშვილი წავიყვანე, რომელმაც ცოტა ხნის შემდეგ მითხრა, პოპულარობა ძალიან კარგია, მაგრამ იმდენად დამღალა ამან, საქართველოში უნდა წავიდეო. ძალიან ტკბილად მაგონდება ის პერიოდი, როგორც ჩემი ცხოვრების ულამაზესი მონაკვეთი. ძალიან დიდ მადლობას ვუხდი იმ ხალხს,

ირანში მაზანდარანის პროვინციაში, ქალაქ სარიში ვცხოვრობდით, მაგრამ ფერეიდანშიც მოვახერხე ასვლა. ეს ემოციური, ცრემლიანი და ბედნიერი წუთები იყო, რომელიც ორივე მხარეს ცხოვრების ბოლომდე დაგვამახსოვრდება.

**- ფერეიდნელებისგანვე ვიცი ჰეიდარის სიტყვებიც, რომელიც 2003 წლის მსოფლიოს პირველობის ფინალში მარცხის შემდეგ თქვა - სპორტში ვრჩები მხოლოდ იმიტომ, რომ კურტანიძეს მოვუგოო. ნაღილი ათენის ოლიმპიადაზე აისრულა და მერე იმიტომ არ იჭიდავა.**

- 2002 წელს მან ასეთი კომენტარი გააკეთა - კურტანიძეს ლეიბზე ლურსმანივით დავარჭობო, რაც პირდაპირ მითარგმნეს. მე მგონი, პირიქით მოხდა. მიხარია, რომ ჩვენმა პაექრობამ ჭიდაობაში ლამაზი ისტორია შექმნა. განსაკუთრებით - ირანში.

**- როცა კარიერის დასრულება გადაწყვიტეთ, მწვრთნელობას რატომ არ გაჰყევით?**

- ვცადე ესეც, ენთუზიაზმიც დიდი იყო, საკუთარი პროგრამა, საკუთარი ხედვაც მქონდა, მაგრამ წინააღმდეგობები შემხვდა. მიმაჩნია, რომ, როცა ცხოვრება ვითარდება, იცვლება, წინ მიდის, მიდგომებიც უნდა შეიცვალოს. ჭიდაობა 20-40 წლის წინ სხვა იყო და ისიც ისევე ითხოვს გარდაქმნას, როგორც ცხოვრების სხვა სფეროები. კარიერის განმავლობაში დიდი გამოცდილება დამიგროვდა - 12 წელიწადი გერმანიის ბუნდესლიგის კლუბებში გამოვდიოდი, ვჭიდაობდი ბულგარეთში, მაკედონიაში, ირანში, გავიარე ყოფილი საბჭოთა კავშირის სკოლა, ქართული სკოლა და გარდაქმნის აუცილებლობაზე სულ ვფიქრობდი, რათა არა ერთი ან ორი მედალი გვქონდეს, არამედ ბევრად მეტი. მით უფრო, ჭიდაობა ქართულ გენშია, მაგრამ ამას სხვანაირი მიდგომა სჭირდება.

ამ გამოცდილებიდან გამომდინარე, ჩემი მეთოდი შევქმენი - როგორი უნდა იყოს შეკრება, მზადება, როგორ უნდა წარიმართოს ყოველდღიური დატვირთვები, მაგრამ ვერ განვახორციელე. მიზეზი ისაა, რომ, როცა მწვრთნელობის შესახებ განვაცხადე, ამას დიდი წინააღმდეგობა მოჰყვა. ეს დიდად არც მიკვირს - კონკურენტი არავის სიამოვნებს. ალბათ, ესეც ადამიანური მომენტია. ბევრი კი ვიბრძოლე, მაგრამ ეტყობა ცოტა მეც ვიჩქარე, ან რაღაც პერიოდია საჭირო ცხოვრებაში შენთვის სასურველი ადგილის მოსაპოვებლად.

**- წყნეთში, თქვენი სახელობის კლუბში არ გიცდიათ მუშაობა?**

- ის კლუბი ნორვეგიული გრანტით გაიხსნა, სადაც ევროპული დონის დარბაზი გაკეთდა. ხალიჩა ჩვენი ჭიდაობის ფედერაციამაც გვაჩუქა, დაგვეხმარა კომპანია „ყაზბეგიც" - გოგი თოფაძის შვილმა, კომპანიის ერთ-ერთმა აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი თოფაძემ გათბობის თუ სხვა სახის პრობლემები მოგვიგვარა და 135-მა ბავშვმა დაიწყო ვარჯიში. იქ ნაყოფიერად მუშაობენ ზურაბ ქალდანი და გოჩა ბუაძე, რომლებიც ღირსეულად უძღვებიან იქაურობას. მიხარია, რომ ბავშვებისთვის უსაყვარლესი ადგილია.



ლუკა კურტანიძე

ამ კლუბის მუშაობაში თავიდან იმიტომ ვერ ჩავერთე, რომ სპორტულ კარიერას ვერ ველეოდი. მოგვიანებით, როცა მწვრთნელობა გადავწყვიტე, მიმაჩნდა, რომ დავალებული ვიყავი იმ ბიჭებისგან, რომლებიც წლების განმავლობაში სპარინგ-პარტნიორობას მიწევდნენ - ესაა 84 კილოგრამი წონითი კატეგორიიდან მოყოლებული, მძიმეთი დამთავრებული. მიმაჩნდა, რომ ჩემი გამოცდილებით მათ უფრო დავეხმარებოდი და მათ წინაშე ვალსაც უფრო პირნათლად მოვიხდიდი. ეტყობა, არც ერთი მხარე არ აღმოვჩნდით მზად ერთმანეთთან თანამშრომლობისთვის.

**- თქვენი შვილის - ნოდარ კურტანიძის საჭიდაო კარიერაზე რას იტყვით? მან სპორტის რამდენიმე სახეობა მოსინჯა, მაგრამ, როგორც ვიცი, საბოლოოდ თავისუფალ ჭიდაობაში დარჩა.**

- ჩემთვის მთავარი იყო, მას ჯანსაღი ცხოვრების წესით ეცხოვრა. საერთოდ, მიმაჩნია, რომ ტანვარჯიში ძალიან სასარგებლოა ადამიანისთვის და 3-4 წელიწადი სპორტის ამ სახეობაში ოთარ მიქელაძესთან ვარჯიშობდა. ამის შემდეგ მივეცი არჩევანის საშუალება, მოესინჯა ძალები ძიუდოში, თავისუფალსა და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, რაც გააკეთა კიდეც და ბოლოს თავისუფალ ჭიდაობაში დარჩა. სხვა სახეობებისადმი ინტერესი არც ჰქონია, მხოლოდ "ბრძოლა წესების გარეშე" აინტერესებს. თუმცა ეს მისი ასარჩევია, ჩემთვის მთავარია ოჯახს, ქვეყანას ღირსეული შვილი ჰყავდეს, მე კი რჩევით თუ სხვა სახის დახმარებით მუდამ გვერდში დავუდგები. თუ გაითვალისწინებს, კარგი იქნება.

**- ცნობილი სპორტსმენების შვილებს უმეტესად უჭირთ დიდ სპორტში წარმატებების მიღწევა. მას თუ ატყობთ პერსპექტივას, მონაცემებს?**

- უმეტესად მართლაც ასეა, მაგრამ, იქნებ, ზედმეტად მკაცრი ვარ და. ცოტა ბევრს ვითხოვ მისგან, თუმცა მირჩევნია ახლა ვიყო მკაცრი, ვიდრე მერე გვიანი იყოს.

ფიზიკური მონაცემები ჩემზე უკეთესი აქვს. ახლა 15 წლისაა და 92 კილოგრამი და 182 სანტიმეტრია, ამ ასაკში კი მე 50 კილოგრამი ვიყავი, ხოლო როცა ჭიდაობა დავიწყე, 32-ს ვიწონიდი. სიმაღლით ჯერ კიდევ მზარდია და მძიმე-ქვემძიმე წონებისკენ აქვს მიდრეკილება. ფიზიკურად ყველა მონაცემი გააჩნია, ჩემზე ბევრად უკეთესიც, მთავარია, რამდენად ექნება სპორტისთვის საჭირო ხასიათი. დიდი შედეგებისთვის მებრძოლი, ჟინიანი ხასიათია აუცილებელი, რაც მასზეა დამოკიდებული. ყველა ადამიანი ცალკეული ინდივიდია და რაც ღმერთმა შექმნა, იმას ვერ გადაავაკეთებთ. ბევრი რამ მასზეა დამოკიდებული. ის ამჟამად ალეკო ავსაჯანიშვილთან და მარლენ ოსიყმაშვილთან ვარჯიშობს ფალავანთა კლუბში.

**- გოგოები არ მისდევენ სპორტს?**

- ჯერჯერობით არა, მაგრამ ანას ცურვაზე სურს სიარული, ვფიქრობ, გაზაფხულზე ესეც მოგვარდება. ვნახოთ, მომავალში პატარები რას ისურვებენ.

**- ბოლოს, თქვენს ახალ სამსახურზეც ვილაპარაკოთ - რა გევალებათ, რა სფეროში ხართ აქ?**

- როგორც გითხარით, ამ გარდამავალ პერიოდში ვეძებ ისეთ სფეროს, სადაც კვლავ ვემსახურები ჩემს ქვეყანას. მინდა ვიპოვო რაღაც ისეთი, ამ ცხოვრებაში უფუნქციოდ არ დავრჩე. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო დავით ნამგალაურს, ირაკლი სამყურაშვილს და წლების განმავლობაში ჩემს პირად მწვრთნელ გია გალდავას, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, აქტიური სპორტიდან წასვლის პერიოდი უმტკივნეულოდ რომ გადავიტანო. ნამგალაურმა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში სპეციალისტად მუშაობა შემომთავაზა. ჩემს მოვალეობას სხვადასხვა ფედერაციასთან ურთიერთობა, იმ სახეობებში შექმნილი მდგომარეობის ანალიზი და დეპარტამენტის ხელმძღვანელობისთვის სწორი ინფორმაციის მიწოდება შეადგენს. შეიძლება ითქვას, ერთგვარი შუამავალი ვარ ფედერაციებსა და დეპარტამენტს შორის.

არც იმას დავმალავ, აქ რომ მოვედი, პირველივე დღეს ვიფიქრე, არა, აქედან უნდა წავიდე-მეთქი, მაგრამ იმდენად კარგი კოლექტივი დამხვდა, გადავიფიქრე. ძალიან კარგი ხალხია, ყველანაირად მეხმარებიან, ცდილობენ, თავისი გამოცდილება გამიზიარონ და მუშაობა გამიადვილონ. პრაქტიკულად, თავიდან ვიწყებ ცხოვრებას.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა კახა გეწაძემ ქვიშის ჭიდაობაში ახალშექმნილი ნაკრების მთავარ მწვრთნელად დამნიშნა. მოგეხსენებათ, შარშან სპორტის ამ სახეობაში მსოფლიოს პირველობაზე გამოვედი და ვერცხლიც მოვიპოვე. გეწაძის დიდი მონდინებით, 2011 წელს მსოფლიოს ჩემპიონატი ბათუმში ჩატარდება, რაც ქვეყნისთვის ძალიან კარგი საქმეა, რადგან ბევრი სტუმარი გვეწვევა.

**- სამომავლოდ თქვენი თავი უფრო ჩინოვნიკად წარმოგიდგენიათ თუ პრაქტიკოს მწვრთნელად?**

- ჯერ ზუსტად არ ვიცი, კიდევ არ გადამიწყვეტია. გადაჭრით ვერც იმას ვიტყვი, რომ ამ სამსახურში დავრჩები, მაგრამ ვერც საწინააღმდეგოს ვამტკიცებ. ჯერ შემოთავაზებაც უნდა იყოს - ამ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღება ბევრად ადვილია.

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული სპორტი

## კალათბურთი

*საქართველოს ჩემპიონატი. XI ტური*

### ბათუმშიც ენერჯიულად

**5 თებერვალი, ბათუმი**

**ბათუმი-ენერჯი 66:75**

17:16, 12:15, 20:21, 17:23

ბათუმი: ვ. მაისურაძე (8ქ), ბ. ლეჟავა (12ქ, 5მ, 3პ, 2დ), თავართქილაძე (1ქ), კეშელავა (3ქ), ნინუა (9ქ, 3ჩ), მ. ბოლქვაძე (8ქ, 9მ), იმნაძე (21ქ, 10მ), როდუმტა (4ქ, 6მ)

ენერჯი: ბაბიაშვილი (20ქ, 2დ), ცეკვავა (2ქ, 5მ), ტულუში (23ქ, 7მ, 4პ), დვალიშვილი, არჩივიძე (4ქ, 5მ), ტუჯანი (8ქ, 17მ, 2დ), ჭოჭუა (11ქ), ბოისა (5ქ, 3პ), პირველაშვილი (2ქ)

საქართველოს მიმდინარე ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი „ენერჯი" ბათუმში ჩავიდა. რუსთაველებს აქამდე ყველა მატჩი მოგებული ჰქონდათ და ერთადერთხელ, სწორედ „ბათუმთან" მოუწიათ დამატებითი დროის თამაშმა. ასე რომ, გუშინდელი შეხვედრაც საინტერესო უნდა გამომდგარიყო. ასეც მოხდა, ბოლო წუთებამდე თანაბარი თამაში მიმდინარეობდა, თუმცა გადამწყვეტ მომენტში რუსთაველებმა იყოჩაღეს და 75:66 გაიმარჯვეს.

მასპინძელთაგან მხოლოდ ორმა კალათბურთელმა გადალახა 10-ქულიანი ზღვარი: **ლეჟავამ** 12 ქულა ჩააგდო, **იმნაძემ** - 21.

„ენერჯის" კი შეტევაში **ტულუში** (23 ქულა), **ბაბიაშვილი** (20 ქულა) და **ჭოჭუა** გაუძღვნენ (11 ქულა).

საყურადღებოა ისიც, რომ ტანმაღალი კალათბურთელებით დაკომპლექტებულ მასპინძლებს მოხსნებში რუსთაველებმა აჯობეს: „ბათუმმა" ბურთი 39-ჯერ მოხსნა, ხოლო „ენერჯიმ" - 45-ჯერ. 6-მოხსნიან უპირატესობას ქვემოქართლელები კამერუნელ **ტუჯანს** უნდა უმადლოდნენ, რომელმაც 17 მოხსნა მოაგროვა. აქედან 14 დაცვითი იყო.

დღეს მე-11 ტურის დარჩენილი სამი მატჩი გაიმართება: „დინამო"-თსუ (14:00), „სამედ/აკადემია"-"ჭიათურა" (16:00), „სოხუმი"-სსაუ (18:00).

**ვაჟა სიმონიშვილი**

### ახალი ფონდის ახალი ინიციატივა: ყველა დროის ვარსკვლავთა მატჩი

„დინამოს" საწვრთნელ ბაზაზე გაიმართა „კალათბურთის განვითარების ფონდის" პრეზენტაცია. ამ ღონისძიების ორგანიზატორი და ფონდის დამფუძნებელია ყოფილი კალათბურთელი **დავით მურჯიკნელი**, ხოლო ვიცე-პრეზიდენტი - **ნოდარ ქორქია.**

შეხვედრას ესწრებოდნენ ვეტერანი კალათბურთელები და მწვრთნელები: ნოდარ ქორქია, **ზაზა ცაგარეიშვილი, დავით თორთლაძე...**

დავით მურჯიკნელმა მიზნებზე ილაპარაკა: - ფონდის მიზანი ქართული კალათბურთის განვითარებისთვის ხელის შეწყობაა. ჩავატარებთ სხვადასხვა აქციას, შემოსული ფულით დავეხმარებით ბავშვთა გუნდებს. შევადგენთ სოციალურად გაჭირვებული ბავშვების სიას და მათ ვარჯიშის საფასურს გადავუხდით.

სპეციალური სატელეფონო ნომრის, საშუალებით მსურველებს ფონდში ფულის გადარიცხვა შეეძლებათ. პირველი, ვინც 700-367 აკრიფა და ფონდში ერთი ლარი შეიტანა, ნოდარ ქორქია იყო.

დავით მურჯიკნელმა განაგრძო:

- ვიზრუნებთ რეგიონებში კალათბურთის განვითარებაზეც. ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ჩავალთ და ნიჭიერ კალათბურთელებს შევარჩევთ. დაგეგმილი გვაქვს სამწვრთნელო სემინარების ჩატარებაც.

ფონდის პირველი აქცია მალე გაიმართება: ჩატარდება ყველა დროის ვარსკვლავთა მატჩი. მასში მონაწილეობას მიიღებენ ნიკოლოზ დერიუგინი, ნოდარ ქორქია, გია სანაძე, კოკა ჯორჯიკია, პაატა გურასპაული, ზაზა ცაგარეიშვილი, მიხეილ კობეშავიძე, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი, გია კაზანჯიანი, დათო თორთლაძე, ამირანი ორმოცაძე, კახა შენგელია, არჩილ ჟღენტი.

ბოლოს გთავაზობთ ფონდის ოფიციალური ვებსაიტის მისამართს: wwwmbasketfund.ge

**ვაჟა სიმონიშვილი**

საქართველოს ნაკრების საზაფხულო მეტოქეებს ერთხელაც ჩამოგითვლით: პოლონეთი, ბულგარეთი, ბელგია, პორტუგალია. დღეს პოლონეთის ნაკრების შტაბში შევიხედოთ, სადაც არაერთი საინტერესო სიახლეა.

#### მთავარი კანდიდატი: ბუტაუტასი

ევროპის ჩემპიონატის შემდეგ სლავების ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა **მული კაცურინმა.** მას მერე ფედერაციის მესვეურები ღირსეულ შემცვლელს ეძებენ, ჯერჯერობით, უშედეგოდ.

გუშინ ერთ-ერთმა პოლონურმა გამოცემამ დაწერა, რომ მათი ეროვნული გუნდის თავკაცის პოსტზე **რამუნას ბუტაუტასის** კანდიდატურა განიხილება. ამ საკითხთან დაკავშირებით პოლონეთის ფედერაციის პრეზიდენტმა **რომან ლუდვიჩუკმა** მრავალმნიშვნელოვნად განაცხადა:

*- რამუნას ბუტაუტასი პოლონურად კარგად ლაპარაკობს, რადგან აქაურ კლუბებში თამაშობდა. მტკიცე და ჭკვიანი ადამიანია. სიამოვნებით ვიხილავდი მას პოლონეთის ნაკრების სათავეში.*

შეგახსენებთ, რომ ბუტაუტასი ევროპის 2009 წლის ჩემპიონატზე ლიტვას ხელმძღვანელობდა. იგი ამჟამად „ჟალგირისის" თავკაცია და როცა პოლონეთის ნაკრებზე ჰკითხეს, გაიკვირვა:

*- პოლონელთა გაწვრთნა საინტერესო იქნებოდა, თუმცა ასეთი წინადადებით ჩემთვის არავის მოუმართავს. თუ ვინმე შემომთავაზებს, დავფიქრდები.*

ლიტველი სპეციალისტი კი უარყოფს, მაგრამ ფედერაციის პრეზიდენტის სიტყვების მიხედვით დიდია ალბათობა იმისა, რომ პოლონეთი 2 აგვისტოს თბილისში სწორედ რამუნას ბუტაუტასმა ჩამოიყვანოს.




#### გორტატი ჭოჭმანობს

ითამაშებს თუ არა ნაკრებში ამ ზაფხულს ერთადერთი პოლონელი NBA-ელი **მარცინ გორტატი**, ეს თვითონაც არ იცის. „გაზეტა ვიბორჩასთვის" მიცემულ ინტერვიუში გორტატმა აღნიშნა:

*- ჯერ არ გადამიწყვეტია, ვითამაშებ თუ არა ევრო-2011-ის შესარჩევ ტურნირში. გადაწყვეტილების მიღება ჯერ ადრეა. პოლონეთის ნაკრებში თამაშის სურვილი კი მაქვს, მაგრამ ამ საკითხს დიდი კითხვის ნიშანი უნდა დაესვას. საბოლოო პასუხი მას შემდეგ მეცოდინება, როცა „ორლანდო მეჯიქის" ხელმძღვანელობას დაველაპარაკები.*

სხვათა შორის, გორტატიც სათამაშო დროის სიმცირეს უჩივის. იგი მოედანზე საშუალოდ 13 წუთს ატარებს, 3.5 ქულას და 3.8 მოხსნას აგროვებს.

ამ საკითხზე თამამი დასკვნების გაკეთება ნაადრევია, თუმცა, როგორც წესი, ევროპელებს საკუთარ ნაკრებში სათამაშოდ ჩამოსვლიდან თავის დაძვრენა როცა სურთ, ამერიკულ კლუბებს აბრალებენ ხოლმე.

*- ნაკრებში თამაში ვისაც სურს, ამერიკელები ვერ შეაკავებენ,* - ეს **ზაზა ფაჩულიას** სიტყვებია. სხვათა შორის, ზაზას საქართველოში ჩამოსვლა-არჩამოსვლის საკითხით ბულგარელი ჟურნალისტებიც დაინტერესდნენ. ქართველთა კაპიტანმა გადაჭრით უპასუხა - ბულგარეთის ნაკრების წინააღმდეგ სათამაშოდ ვემზადებიო.

*მეტოქე*

### პოლონეთი გორტატის გარეშე? მატიჩი: საქართველო პოლონეთზე უკეთესია

#### ზედიზედ მესამედ ევრობასკეტზე

რადგან პოლონელებს ჯერ მთავარი მწვრთნელი არ ჰყავთ, ყველა კითხვა მათი ფედერაციის პრეზიდენტის, რომან ლუდვიჩუკის მისამართით დაისვა. მან აღნიშნა, რომ პოლონეთის ნაკრებს გაუმართლა:

*- იოლი მეტოქეები არც ჩვენ გვყავს, მაგრამ ვფიქრობ, გაგვიმართლა, რადგან ავცდით ისეთ ძლიერ გუნდებს, როგორებიც იტალია და ჩერნოგორიაა. იმედი მაქვს, ზედიზედ მესამედ ვითამაშებთ ევროპის ჩემპიონატზე.*

ფედერაციის პრეზიდენტს ჟურნალისტებიც ეთანხმებიან. მათაც სჯერათ, რომ პოლონეთის ნაკრები ჯგუფში ყველას აჯობებს. აი, რა წერია „გაზეტაში":

„იოლ ჯგუფში მოვხვდით. ჩვენი ნაკრები ფავორიტია. შედარებით ძლიერი მეტოქე ბულგარეთია, რომელმაც 2009 წელს ევროპის ჩემპიონატში ითამაშა - გახსნის მატჩში პოლონელებმა 90:78 დაამარცხეს. ბულგარეთი საშიში გუნდია, განსაკუთრებით საკუთარ მოედანზე.

პორტუგალიის ნაკრები ევრო-2007-ზე სენსაციურად მოხვდა და მეოთხედფინალში გასვლის შანსი ბოლო მატჩამდე ჰქონდა.

ბელგიამ 2009 წელს ევროპის ჩემპიონატის საგზური **ტონი პარკერის** საფრანგეთს დაუთმო. ბელგიელთა ლიდერი **აქსელ ჰარველე** ხუთი წლის განმავლობაში მადრიდის „რეალში" თამაშობდა. წითლების არსენალშია ლეიკერსელი **მბენგა.**

ბოლო კალათში კი იყო, მაგრამ ძლიერი შემადგენლობა ჰყავს საქართველოს ნაკრებს. ზაზა ფაჩულია NBA-ში გორტატზე მეტს და უკეთესად თამაშობს. ქართველთა მეორე ცენტრი, **გიორგი შერმადინი** (216 სმ) ბერძნული „პანათინაიკოსის" ღირსებას იცავს".

#### მატიჩი გვაიმედებს

პოლონეთის ნაკრებზე შეგროვილი წრილს ერთი საინტერესო მოსაზრებაც უნდა დავურთოთ. საინტერესოა, რას ფიქრობს მომავალ დაპირისპირებაზე **ვესელინ მატიჩი,** რომელიც 2006 წელს საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატად განიხილებოდა, თუმცა მაშინ პოლონეთის ეროვნულ გუნდში მუშაობა ამჯობინა. მატიჩს საქართველოსა და პოლონეთის ნაკრებების შედარება ვთხოვეთ.

*- ქართველებს მეტი პოტენციალი გაქვთ. ამ სიტყვებში მხოლოდ სამომავლო პერსპექტივებს არ ვგულისხმობ: მიმაჩნია, რომ ამ ზაფხულს მეტოქესთან შედარებით უპირატესობა თქვენ გაქვთ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პოლონეთის ნაკრებს მწვრთნელი არ ჰყავს და ქართველებზე უკეთესად ორგანიზებულები ვერ იქნებიან. ისე, საინტერესოა NBA-ში გამოცდილი ზაზა ფაჩულიასა და ახალბედა მარცინ გორტატის დაპირისპირების ხილვა.*

**ვაჟა სიმონიშვილი**






*ტრანსფერი*

*ტომაშ კვიატკოვსკი:*

### ცინცაძე სასტარტო ხუთეულისთვის გვჭირდება

**გიორგი ცინცაძე** პოლონურ „სოპოტში" გადასვლას რომ აპირებდა, მისი ინტერვიუდან გემახსოვრებათ. გიორგიმ კლუბთან კონტრაქტი უკვე გააფორმა და დღეს „სოპოტის" მაისურით პირველ მატჩს ჩაატარებს. ბუს ახალი გუნდი „პოლონიას" უმასპინძლებს.

რაც შეეხება ხელშეკრულების ხანგრძლივობას, როგორც წინასწარ ითქვა, ცინცაძე პოლონეთში სეზონის ბოლომდე დარჩება. აქვე იმასაც დავძენთ, რომ ქართველი გამთამაშებლის გადაყვანა, პირველ რიგში, მთავარი მწვრთნელის, ლიტველი **კარლის მუიჟნიექსის** ინიციატივა იყო. ეს სპეციალისტი ცინცაძეს ბალტიის თასის გათამაშებიდან კარგად იცნობს.

- გიორგი ცინცაძის თამაშზე ნათელი წარმოდგენა მაქვს. იგი „ტარტუ როკს" არაერთი წარმატების მიღწევაში დაეხმარა. ვიმედოვნებ, დიდი მიზნებისთვის ბრძოლაში ქართველი გამთამაშებელი ჩვენც სათანადოდ დაგვეხმარება, - აცხადებს „სოპოტის" მთავარი მწვრთნელი.

პოლონურ საიტ „სპორტოვიზე" გამოქვეყნდა კლუბის დირექტორის მოსაზრება გიორგი ცინცაძის შესახებ. ჟურნალისტი შესავალში გვახსენებს, რომ ცინცაძე 17 წლისა მოსკოვის ცსკა-ში თამაშობდა, შემდეგ „სამარასა" და „ურალ გრეიტში" ცდიდა ძალებს, ხოლო 2005 წელს **დუშან ივკოვიჩმა** მოსკოვის „დინამოში" მიიწვია. ამას მოჰყვა სამი წელი „ტარტუ როკში"...

მიმდინარე სეზონში ცინცაძემ სამი კლუბი გამოიცვალა: ბერძნული „ტრიკალა", უკრაინული „დონეცკი" და ქართული სსაუ. მეოთხეში სადებიუტო მატჩს 6 თებერვალს ჩაატარებს.

ახლა „სოპოტის" დირექტორს **ტომაშ კვიატკოვსკის** მოვუსმინოთ:

- სწორედ ასეთ კალათბურთელს ვეძებდით. ქართველი გამთამაშებელი სათამაშო სტილით ძალიან განსხვავდება ამერიკელი კლიფ ჰოკინსისგან. ისინი მოედანზე ერთმანეთს შეავსებენ. ცინცაძე კარგად ურთიერთმოქმედებს ტანმაღალ მოთამაშეებთან, ასევე შეუძლია პერიმეტრიდან ზუსტი სროლა.

როცა ახალი გამთამაშებლის „სოპოტში" ჩარიცხვის საკითხი გაირკვა, სათადარიგო ლიტველმა უკანახაზელმა **გინტარას კაძიულისმა** 19 წუთში 19 ქულა ჩააგდო. პოლონელი ჟურნალისტი ვარაუდობს, რომ ბოლო მატჩში თავის გამოჩენის მიუხედავად, ლიტველ გამთამაშებელს მეორეხარისხოვანი როლით მოუწევს დაკმაყოფილება.

- გიორგი ცინცაძე სასტარტო შემადგენლობის გამთამაშებელი იქნება. კაძიულისი სათადარიგოა, გუნდს აუცილებლად დაეხმარება...

სტატიის ბოლოს ავტორი გვახსენებს: *„გიორგი ცინცაძე საქართველოს ნაკრების გამთამაშებელია. ხოლო ქართველები ევრობასკეტი 2011-ის შესარჩევ ციკლში პოლონელებს დაუპირისპირდებიან. ამიტომ ორმაგად საინტერესოა, რა დონის კალათბურთელია გიორგი ცინცაძე. ამას შაბათს, „პოლონიასთან" მატჩისას ვნახავთ - ქართველს ღირსეული მეტოქის, ტომას სნოუს წინააღმდეგ მოუწევს თამაში."*

**ვაჟა სიმონიშვილი**

## ჭადრაკი

### კვარტეტი ოქტეტად იქცა

ბათუმელი დიდოსტატი **სალომე მელია** წლეულს საქართველოს ჩემპიონობის მოპოვების შემდეგ მოსკოვის 2010 წლის საჭადრაკო ფესტივალის ქალთა ტურნირში ჩაება და იქაც წარმატებით იბრძვის — საპრიზო ადგილებზე გასვლის ერთ-ერთი რეალური კანდიდატია. მეექვსე ტურში მან თეთრი ფიგურებით **ტატიანა გრაბუზოვასთან** ქულა გაიყო. ასევე, ყაიმზე შეთანხმდნენ **ლილით გალოიანი** და **ელიზაბეტ პეტცი.** ლიდერთა დაზავებით რამდენიმე მოჭადრაკემ ისარგებლა და ქულებით მეწინავეებს გაუთანაბრდა. ესენი არიან **ჟაო სიუ, მარია რომანკო, ათუშა პურკაშიანი** და **მარია მანაკოვა,** რომლებმაც, შესაბამისად, **ელენა ტომილოვა, ანა ბურტასოვა, ანასტასია ბოდნარუკი** და **ვარვარა რეპინა** დაამარცხეს. იყოჩაღა **ნაზი პაიკიძემაც.** მან შავი ფიგურებით **დარია ტრაპეზნიკოვა** აიძულა, საათი გაეჩერებინა. ახლა ჩვენებურს 6 შესაძლებლიდან 4,5 ქულა აქვს და მეშვიდე ტურში იულია დიომინას შეხვდება. ლიდერთაგან (5-5 ქულის მქონენი) ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: ტატიანა გრაბუზოვა-ჟაო სიუ, ელიზაბეტ პეტცი-ათუშა პურკაშიანი, მარია რომანკო-ლილით გალოიანი, მარია მანაკოვა-სალომე მელია.

**ვაჟა დანელია**

### თუ სრუტეში ზურგის ქარიც გიბერავს

გიბრალტარის მერვე საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალში 46 ქვეყნის 218 წარმომადგენელი ეცილებოდა ერთმანეთს პირველობას. საუკეთესო დიდოსტატთა პაექრობებში ორი ქართველიც მონაწილეობდა.

**ლელა ჯავახიშვილი** თითქმის მთელი ტურნირის განმავლობაში მეწინავეთა შორის იყო. სამწუხაროდ, ბოლო ტურში ინდოელ **ჩანდა სანდიპანთან** დამარცხდა და ასპარეზობა 6,5 ქულით დაამთავრა. ამდენივე ქულა მოაგროვა **ნანა ძაგნიძემაც,** რომელმაც მეათე ტურში ფრანგ **იოჰან ბენიტას** სძლია. ლელას ვაჟთა დიდოსტატის ბალის აღებამდე 0,5 ქულა დააკლდა.

ფესტივალზე ცალ-ცალკე შეჯამდა ქალთა და მამაკაცთა შედეგები. მანდილოსნებში 7-7 ქულით პირველ-მეორე ადგილები უკრაინელმა ევროპის ჩემპიონმა **ნატალია ჟუკოვამ** და ინდოელმა **ჰამფი კონერუმ** გაინაწილეს. ბოლო ორთაბრძოლაში უკრაინელმა ფრანგ **ლოურენ ფრესინესთან** გაიყო ქულა, ხოლო ინდოელი **დაშკო ბოშკოვიჩს** დაუზავდა. 6,5-6,5 ქულით თერთმეტმა მოჭადრაკემ მესამე-მეცამეტე ადგილები გაიყო. ჯავახიშვილს მეხუთე ადგილი ხვდა — მას ევროპის ჩემპიონებმა — ბულგარელმა **ანტუანეტა სტეფანოვამ** და შვედმა **პია კრამლინგმაც** გაუსწრეს. ძაგნიძე მეშვიდე ადგილს დასჯერდა.

ფესტივალის მთავარი პრიზის მფლობელის გამოსავლენად ძირითადი ტურნირი საკმარისი არ აღმოჩნდა, რადგან ერთბაშად ცხრა მოჭადრაკემ 7,5-7,5 ქულა მოაგროვა. საუკეთესო პერფორმანსის მქონე ოთხ მონაწილეს შორის ბლიცმატჩები დაინიშნა ათწუთიანი დროის კონტროლით, თითოეულ სვლაზე 10 წამის დამატებით. გერმანელი **იან გუსტაფსონისა** და ინგლისელი **მაიკლ ადამსის** ნახევარფინალური შეხვედრა ბრიტანელმა არმაგედონით მოიგო. ესპანელმა **ფრანცისკო ვალიეხო პონსმა** 1,5:0,5 აჯობა ინდოელ ჩანდა სანდიპანს და ფინალში ადამსს დაუპირისპირდა. ეს ორთაბრძოლა ინგლისელმა დიდოსტატმა ორ პარტიაში მოიგო (1,5:0,5) და პირველ ადგილზე გავიდა.

**ვაჟა დანელია**

ხუთშაბათის ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. ტორინოშინი; 4. ჩოკო; 6. ჯამარაული; 7. ულქერი; 10. კუპერი; 12. ივანოვა; 14. ძალი; 15. ეგაძე; 16. კაპიტანი; 19. ტოპმიოლერი; 22. რეგატა; 23. ტარტუ; 24. ბრასი; 25. თარჯი; 27. მიზანი; 28. ტური; 29. კედია.

**შვეულად:** 1. ტუჯანი; 2. ჩიმიშკიანი; 3. ნორაკიძე; 4. ჩილე; 5. კობი; 7. იური; 9. "ლივერპული"; 11. პული; 13. ნესტორ; 15. ელდარ; 17. იოსელიანი 18. ბოტასი; 19. ტატამი 20. პარიზი; 21. "იბერია"; 25. თასი; 26. ნტდ;

მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირი

# ეს გზა ახალ ზელანდიამდე მიგვიყვანს



მარცხნიდან: დავით კაჭარავა, ჯონი ნამუ, დენიელ კამინსი
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**საქართველოს** მორაგბეთა ნაკრები 2011 წლის მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირის მეორე წრეში დღეიდან ჩაებმება და პირველი ან მეორე ადგილის დაკავების შემთხვევაში ზედიზედ მესამედ იასპარეზებს მსოფლიო რაგბის უდიდეს ფორუმში.

დღესდღეობით სატურნირო მდგომარეობა ასეთია: ხუთი ტურის შემდეგ საქართველოს ნაკრები 9 ქულით პირველ ადგილზეა. მას კვალში რუსეთისა და პორტუგალიის ნაკრებები უდგანან. კიდევ ერთი პრეტენდენტი - რუმინეთი ოთხი ქულით მეოთხე ადგილზეა და მსოფლიო თასზე მოხვედრის მხოლოდ თეორიულ შანსს ინარჩუნებს.

შეგახსენებთ, რომ მესამე ადგილზე გასულს ახალ ზელანდიაში გასამგზავრებლად ხუთი შეხვედრის გამართვა მოუწევს - პირველი ქვედა დივიზიონში გამარჯვებულთან, სავარაუდოდ, უკრაინასთან უნდა გამართოს. მერე ორმატჩიან რაუნდში აფრიკის ხელმოცარული, ტუნისი უნდა დაამარცხოს. ამის შემდეგ კი, ასევე ორ მატჩში, ამერიკის კონტინენტის მესამე გუნდს, ურუგვაის დაუპირისპირდება და წარმატების შემთხვევაში ზელანდიის საგზურს მიიღებს.

## გერმანია

ჩვენი პირველი მეტოქე გერმანიის ნაკრებია, რომელმაც პირველ წრეში ხუთივე შეხვედრა წააგო. გერმანელებს, ცხადია, მსოფლიო თასზე გასვლის პრეტენზია არ აქვთ. ისინი დებიუტანტები არიან და მათი მიზანი ევროპის მეორე ელიტურ დივიზიონში, ანუ ერთა თასის გათამაშებაში ადგილის შენარჩუნებაა. ბოლო, მეექვსე ადგილის დაკავების შემთხვევაში ადგილს უკრაინას დაუთმობენ.

საქართველოში გამომგზავრებამდე გერმანიის ნაკრები რამდენიმე საწვრთნელი შეხვედრის გამართვას გეგმავდა, მაგრამ დიდთოვლობის გამო ვერ მოახერხა. მეტიც, ეროვნული გუნდის რამდენიმე წამყვანმა მორაგბემ საქართველოს ნაკრებთან თამაშზე უარი თქვა.

ალსანიშნავია ერთი საკმაოდ საგულისხმო ფაქტიც: გერმანელთა გარემარბის, **შალვა დიდებაშვილის** დებიუტი სწორედ საქართველოს ნაკრებთან მატჩში შედგება. „ბორჯღალოსნებმა" პირველ წრეში მეტოქე ჰაიდელბერგში - 38:5 დაამარცხეს.

საქართველოსა და გერმანიის ნაკრებთა მწვრთნელებმა და მოთამაშეებმა გუშინ ეროვნული სტადიონის პრესცენტრში პრესკონფერენცია გამართეს:

**დენიელ კამინსი**, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი:

*„ტიმ ლეინი, სამწუხაროდ, მხოლოდ თამაშის დღეს ახერხებს ჩამოსვლას, თუმცა მას მუდმივად ვუკავშირდებით და მითითებებს ვიღებთ. საქართველოს ნაკრები კარგადაა მომზადებული. ცუდია, როცა გუნდის მოთამაშეებს საფრანგეთის სხვადასხვა ქალაქიდან უწევთ საწვრთნელ შეკრებაზე გამომგზავრება. რამდენიმე მორაგბეს გზაში პრობლემა შეექმნა და სრული შემადგენლობით ოთხშაბათ დილასღა შევიკრიბეთ, თუმცა დროის ეს მცირე მონაკვეთიც მაქსიმალურად სასარგებლოდ გამოვიყენეთ.*

*ბიჭები ძირითადად პორტუგალიასთან მომავალ მატჩზე ლაპარაკობენ. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ გერმანიას სათვალავში არ აგდებენ. პირიქით, მათ კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ გერმანიასთან მატჩი ერთ-ერთი აუცილებლად გადასალახავი წინააღმდეგობაა ახალ ზელანდიისკენ მიმავალ გზაზე.*

**ჯონი ნამუ**, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი:

*„ბიჭების ფიზიკური მომზადებით კმაყოფილი ვარ. მათი ფიზიკური კონდიციები წლეულს ბევრად უკეთესია, ვიდრე შარშან იყო. ეტყობათ, რომ კლუბებში კარგად იმუშავეს და ჩემ მიერ მიცემული ინდივიდუალური დავალებებიც შეასრულეს.*

*მამუკა გორგოძე, ცხადია, დიდი დანაკლისია. თამაშისას მისი შეჩერება მეტოქის ოთხ-ხუთ მორაგბეს უწევდა ხოლმე, თუმცა უნდა ავღნიშნო, რომ თამაშს ერთი მორაგბე არ იგებს. ჩვენ საკმარისად გვყავს მაღალი დონის მოთამაშეები, რომლებიც ყველანაირად ეცდებიან, გუნდს მამუკას არყოფნა არ დაეტყოს.*

**რუდოლფ ფინშტერერი**, გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

*„გერმანიაში სეზონი ნოემბერში დასრულდა და მარტში განახლდება. მორაგბეებს სათამაშო პრაქტიკა არ აქვთ. ამ ხარვეზის აღმოფხვრა გერმანიაში განლაგებული ბრიტანეთის არმიის გუნდთან თამაშით გვინდოდა, მაგრამ დიდთოვლობის გამო შეხვედრის გამართვა ვერ შევძელით. ამას დაერთო ისიც, რომ გუნდის თხუთმეტამდე მორაგბემ, რომელთა უმრავლესობა სტუდენტია და თებერვალში გამოცდები აქვს, ნაკრებში თამაშს სწავლა არჩია.*

*ვიცით, რომ საქართველოს ნაკრები ძლიერი გუნდია. ვეცდებით, ჩვენი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოვავლინოთ. ვნახოთ, რა გამოვა.*

**შალვა დიდებაშვილი**, გერმანიის ნაკრების გარემარბი:

*„რაგბის თამაში საქართველოში 13 წლისამ დავიწყე. „ყოჩებისა" და „ხულიგანას" ღირსებას ვიცავდი. 2003 წელს გერმანიაში სასწავლებლად გავემგზავრე და ჰაიდელბერგის რაგბის გუნდში დავიწყე თამაში. შანსი მომეცა გერმანიის ნაკრებში მეთამაშა და უარი არ ვთქვი. დებიუტი კი, ბედის ირონიით, საქართველოს ნაკრებთან დაპირისპირებაში მექნება."*

ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება, როგორ ხვდებიან 2011 წლის მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირის მეორე წრეს საქართველოს ნაკრების სხვა მეტოქეები.

## პორტუგალია

„ბორჯღალოსნების" მეორე მეტოქე 13 თებერვალს პორტუგალიის ნაკრები იქნება, რომელმაც ხუთი თამაშიდან სამი მოიგო, ერთი წააგო და ერთიც ფრედ დაასრულა. „ლობუშები" ახლა შვიდი ქულით მესამე ადგილზე არიან. თამაში ლისაბონში გაიმართება. პორტუგალიელები ბოლო ტურში აქვე უმასპინძლებენ კიდევ ერთ კონკურენტს, რუმინეთის ნაკრებს. რუსებთან სოჭში თამაში კი ჩვენამდე ერთი კვირით ადრე მოუწევთ.

პირველ ორ შეხვედრაში მარცხის შემთხვევაში პორტუგალიელების მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდება. მხედველობაში მისაღებია ის ფაქტიც, რომ ბოლოსწინა ტურში ისინი სტუმრობენ ესპანეთის ნაკრებს, რომელიც მათთვის უხერხული მეტოქეა და არაფრის დამთმობი არ არის. ერთი სიტყვით, პორტუგალიელებს მსოფლიოზე გასასვლელად უმძიმესი ბრძოლების გადატანა მოუწევთ.

შესაძლოა, საქართველოს ნაკრებისთვის ლისაბონური მატჩი გადამწყვეტი აღმოჩნდეს. გამარჯვების შემთხვევაში მსოფლიო თასზე მოსახვედრად დარჩენილი მატჩებიდან ერთის მოგებაც საკმარისი იქნება, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ პორტუგალიელები ერთი კვირით ადრე რუსეთშიც დამარცხდებიან.

## ესპანეთი

საქართველოს ნაკრები 27 თებერვალს ესპანეთის ნაკრებს უმასპინძლებს. „ლომები" ორი ქულით მეხუთე ადგილზე არიან. დასაკარგი არაფერი აქვთ და ყველა მეტოქეს, მათ შორის ჩვენც, ყოველგვარი ზედმეტი ფსიქოლოგიური ტვირთის გარეშე, უშეღავათოდ შეებრძოლებიან.

ესპანელთა რიგებში ქართველი მორაგბეც გამოჩნდა. **დავით გურგენაძე** მადრიდის CRC-ის პირველხაზელია. მან „ჩელენჯ კაპის" გათამაშებაში რამდენიმე მატჩიც ითამაშა მადრიდის „ოლიმპუსის" შემადგენლობაში, რომელიც, ფაქტობრივად, ესპანეთის ნაკრებია და ნაკრებისავე უფროსი მწვრთნელი, ინგლისელი **გედ გლინი** თავკაცობს. ამასთან, ინგლისელმა რამდენიმე ესპანური წარმოშობის ფრანგი მორაგბეც დაიმატა.

ერთი სიტყვით, უმოტივაციო ესპანეთი მაინც ძალიან საშიშია და ყურადღების მოდუნება არ ღირს. მით უფრო, რომ მათი დამარცხებით, შესაძლოა, ზელანდიის საგზურიც მოვიპოვოთ.

## რუმინეთი

ჩვენს მუდმივ და ყველაზე ძნელ მეტოქეს, რუმინეთის ნაკრებს ძნელბედობის ჟამი დაუდგა. „მუხის ფოთლებს" ასეთი ცუდი შედეგი ერთა თასზე არასდროს ჰქონიათ. მათ ხუთი შეხვედრიდან სამი წააგეს და მხოლოდ ორში გაიმარჯვეს, მეოთხე ადგილზე არიან და მეორე ადგილზე გასვლის შანსი აღარც თეორიულად აქვთ.

რუმინელებს ეს კარგად აქვთ გაცნობიერებული და ფსიქოლოგიურად უკვე რეპეშაჟისთვის ემზადებიან, თუმცა მანამდე, უკეთეს შემთხვევაში, მინიმუმ ოთხი თამაში უნდა მოიგონ, რაც მიუღწეველი ოცნება სულაც არ უნდა იყოს, მით უფრო, რომ მუდმივი დაპირისპირება რუმინეთის რაგბის კავშირსა და ნაკრების წამყვან მორაგბეებს შორის დასრულდა. „სტეუარის" ფრანგმა თავკაცმა **რობერტ ანტონინიმ** ყველა უძლიერეს რუმინელს უხმო. მხოლოდ ერთი, **პეტრე მიტუ** ვერ დაეხმარება გუნდს ტრავმის გამო. პირველხაზელებმა, **პეტრუ ბალანმა** და **პეტრიშორ ტოდერაშკმა** ნაკრებში თამაში ორი წლის წინ დაასრულეს.

„ბორჯღალოსნები" რუმინეთის ნაკრებს 13 მარტს ბუქარესტში დაუპირისპირდებიან. „ვლახებს" ორი კვირით ადრე სოჭში რუსებთან „დიდი ომი" ექნებათ გადატანილი, თუმცა, როგორიც უნდა იყოს სატურნირო მდგომარეობა, ჩვენი და რუმინელთა თამაში ყოველთვის უშეღავათო ბრძოლაში მიმდინარეობს. ყველაფერთან ერთად, ამ მატჩში ანთიმოზ ივერიელის სახელობის თასი გვექნება შესანარჩუნებელი.

## რუსეთი

საქართველოს ნაკრებისთვის რუსებთან მატჩი ყოველთვის მნიშვნელოვანია. ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები ერთი მარცხით, რომელიც საქართველოს ნაკრებისგან ნეიტრალურ მოედანზე, მარიუპოლში იგემეს, მეორე ადგილზე არიან და უნიკალური შანსი აქვთ, პირველად ითამაშონ მსოფლიო თასზე.

ამის მისაღწევად მათ ოთხი ქართველი გაარუსეს და გადამწყვეტი ორთაბრძოლებისთვის მოსამზადებლად სამხრეთ აფრიკას მიაშურეს. აქ რუსთა ნაკრებმა ოთხი საწვრთნელი შეხვედრიდან ორი მოიგო და ორშიც დამარცხდა. „ქართული კვარტეტიდან" კი რუსეთის ნაკრების დამრიგებელმა **ნიკოლაი ნერუშმა** ნდობა მხოლოდ ერთს, პირველხაზელ **კარლო მაღლაკელიძეს** გამოუცხადა.

საქართველოს ნაკრები რუსებს ნეიტრალურ სტადიონზე, თურქეთის ქალაქ ტრაბზონში 20 მარტს უმასპინძლებს. ადვილი შესაძლებელია, ისე მოხდეს, რომ მატჩის შედეგს არანაირი სატურნირო მნიშვნელობა აღარ ჰქონდეს, თუმცა ბრძოლა მაინც ძალიან მძაფრი იქნება.

## საქართველო-გერმანია

საქართველო: 15. მერაბ კვირიკაშვილი, 14. მალხაზ ურჯუკაშვილი, 13. დავით კაჭარავა, 12. ირაკლი გიორგაძე, 11. ირაკლი მაჩხანელი, 10. ლაშა მალაღურაძე, 9. ბიძინა სამხარაძე. 1. დავით ხინჩაგიშვილი, 2. აქვსენტი გიორგაძე, 3. დავით ზირაქაშვილი, 4. ილია ზედგინიძე, 5. გიორგი ნემსაძე, 6. გია ლაბაძე. 7. გიორგი ჩხაიძე, 8. ბესო უდესიანი.

*16. ირაკლი ნატრიაშვილი, 17. დავით ქუბრიაშვილი, 18. ლევან დათუნაშვილი, 19. ლაშა თავართქილაძე, 20. ირაკლი აბუსერიძე, 21. თედო ზიბზიბაძე, 22. ალექსანდრე თოდუა.*

გერმანია: 15. რაფაელ ჰაკლი, 14. კირონ დევისი, 13. მუსტაფა გუნგური, 12. ლუკას როზენტალი, 11. შალვა დიდებაშვილი, 10. ალექსანდერ ჰუკი, 9. დანიელ პროისნერი. 1. ალქსანდერ ვიდიკერი, 2. ბენიამინ კრაუზე, 3. პატრიკ შლივა, 4. ჯიმი ჰაუსტონი, 5. ტიმ კოლი, 6. ლუკას ჯონსონი, 7. მანუელ ვილჰელმი, 8. როლფ ვახა.

*16. კლემენს ფონ გრუმბკოვი, 17. მარკ შტინდერი, 18. ბენიამინ სიმი, 19. რაფაელ პირაში, 20. შტეფან ლიბიგი, 21. გიომ ფრანკე, 22. ედმორ ტაკაენდესა.*

## ერთა თასი

**6 თებერვალი**

საქართველო-გერმანია
რუსეთი-პორტუგალია
რუმინეთი-ესპანეთი

**13 თებერვალი**

პორტუგალია-საქართველო
ესპანეთი-რუსეთი
რუმინეთი-გერმანია

**27 თებერვალი**

საქართველო-ესპანეთი
რუსეთი-რუმინეთი
გერმანია-პორტუგალია

**13 მარტი**

რუმინეთი-საქართველო
ესპანეთი-პორტუგალია
რუსეთი-გერმანია

**20 მარტი**

საქართველო-რუსეთი
პორტუგალია-რუმინეთი
გერმანია-ესპანეთი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საქართველო | 5 | 4 | 1 | 0 | +90 | 9 |
| 2.რუსეთი | 5 | 4 | 0 | 1 | +85 | 8 |
| 3.პორტუგალია | 5 | 3 | 1 | 1 | +40 | 7 |
| 4.რუმინეთი | 5 | 2 | 0 | 3 | +16 | 4 |
| 5.ესპანეთი | 5 | 1 | 0 | 4 | -74 | 2 |
| 6.გერმანია | 5 | 0 | 0 | 5 | -157 | 0 |

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**


საქართველოს ნაკრების კაპიტანი ირაკლი აბუსერიძე გერმანიასთან მატჩში

www.sport.gov.ge

კალათბურთი

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# მაიამი ლებრონის ლუკმაა

"კლივლენდ კავალიერზი" და "მაიამი ჰიტი" სხვადასხვა განწყობით შეხვდნენ გუშინდელ შეხვედრას. "კავალერები" 9-მატჩიანი მოგებათა სერიით იწონებდნენ თავს, "ჰიტს" კი ბოლო ექვს მატჩში ხუთი წაგება ჰქონდა და პლეი ოფის ზონიდან გავარდნა დაემუქრა. ამ სეზონში გუნდების გზები უკვე ორჯერ გადაიკვეთა და ორივეჯერ მაიამის American Airlines Arena-ზე "მეფემ" და მისმა ამალამ ადგილობრივი პუბლიკა დაამწუხრა.

მესამე შეხვედრა "კლივლენდის" უპირატესობით დაიწყო. დებიუტში **ჯეი ჯეი ჰიქსონმა** და **შაკილ ო'ნილმა** ჯამში 7 ქულა აილეს და მასპინძლები 10:2 დაწინაურდნენ. თუმცა სტუმრები არ დაიბნენ - სულ რამდენიმე წუთში **დუეინ უეიდის** მონდომებით "მაიამი" მაქსიმალურად მიუახლოვდა მეტოქეს - 26:27.

ორივე გუნდის მხრიდან ასეთი აქტიურობის შემდეგ, მეტოქეებმა პასიური ტაქტიკა აირჩიეს და პირველი ტაიმის ბოლომდე ვერაფრით გააკვირვეს ერთმანეთი. "კლივლენდმა" დიდი შესვენებისთვის ოთხქულიანი უპირატესობა (56:52) მოიპოვა. "ჰიტი" ბევრს ეცადა მესამე მეოთხედში დაწეოდა მეტოქეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, მასპინძლებმა კი ძალების ყოველგვარი ზედმეტი დაძაბვის გარეშე კომფორტული უპირატესობა (+12) მოიპოვეს და ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანეს შეხვედრა.

სამაგიეროდ, ბოლო წამამდე ახლდა ინტრიგა დღის მეორე მატჩს. "პორტლენდმა", რომელიც თავისი ლიდერის - **ბრენდონ როის** გარეშე აგრძელებს თამაშს, ძალიან არადამაჯერებლად დაიწყო შეხვედრა "სან ანტონიოს" წინააღმდეგ. **რიჩარდ ჯეფერსონისა** და **ჯორჯ ჰილის** მონდომებით სტუმრები მეოთხე წუთისთვის 10:3 დაწინაურდნენ. მაგრამ **ტიმ დანკანის** გუნდმა ვერ შეძლო ამ უპირატესობის განვრცობა და უფრო მეტიც, მეტოქეს დაწევის საშუალება მისცა. ლიდერის როლი **ლამარკუს ოლდრიჯმა** იტვირთა, რომელმაც **რუდი ფერნანდესისა** და **მარტელ უებსტერის** დახმარებით პირველი მეოთხედის ბოლოს წინ გაიყვანა თავისი გუნდი - 26:24.

ბოლო დროს არცთუ ისე დამაჯერებლად მოთამაშე "სპურსს" მოვლენათა ამგვარი განვითარება არ აწყობდა და ისევ სერიოზულად მოჰკიდა საქმეს ხელი. ყველაზე მეტად მონდომებული **ტონი პარკერი** იყო, რომელმაც 5 წუთში 12 ქულა დააგროვა და "სპურსი" რვა ქულით დააწინაურა. მაგრამ ყველაფერი მას შემდეგ აირია, რაც თამაშში **დანტე კანინგემი** ჩაერთო. ვილანოვას უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა ზედიზედ სამი ბურთი ჩააგდო და მომენტალურად დაუბრუნა ინტრიგა შეხვედრას.

მესამე მეოთხედი მთლიანად "სან ანტონიოს" უპირატესობით წარიმართა, რაც კვლავ რვაქულიან უპირატესობაში გამოიხატა - 74:66. ასეთივე სხვაობა იყო მეოთხე მეოთხედის შუაში, მაგრამ "პორტლენდისთვის" აბსოლუტურად სულერთი იყო, რა განზრახვა ჰქონდათ სტუმრებს. "ბლეიზერსი" 13:4 გაიქცა და მეორე ტაიმში პირველად გავიდა წინ. მომდევნო ორი წუთი გუნდებმა ტყუილად ირბინეს - ჯამში 5 სროლა ააცილეს და სამჯერ დაკარგეს ბურთი.

თითქოს მატჩის ბედი 22 წამით ადრე გადაწყდა, როცა უებსტერმა სამქულიანის სროლა გარისკა და გაუმართლა. თუმცა ჯინობილის სულ ოთხი წამი ეყო მორიგი შეტევის დასასრულებლად. ამის შემდეგ **კიტ ბოგანსი ანდრე მილერზე** დაჯარიმდა. "პორტლენდის" გამთამაშებელმა ორიდან ერთი ჯარიმა ჩააგდო და სტუმრებს თამაშის ოვერტაიმში გადაყვანის შანსი მისცა - 92:89.

"სპურსის" გადარჩენა ჯინობილიმ იკისრა, მაგრამ სამქულიანი ვერ ჩააგდო, **მაიკლ ფინლიმ** კი უებსტერზე ჯარიმა აილო. "პორტლენდი" ხუთი ქულით გავიდა წინ, მაგრამ სირენამდე 4 წამით ადრე ჰილის სამქულიანმა კიდევ ერთხელ დაუბრუნა ინტრიგა შეხვედრას. იმავე ფინლის ჯარიმის შემდეგ უებსტერის უშეცდომო ჯარიმებს თითქოს შანსი აღარ უნდა დაეტოვებინა სტუმრებისთვის, მაგრამ მილერი რატომღაც ჰილზე დაჯარიმდა. ამ უკანასკნელმა პირველი ჯარიმა გამოიყენა, მეორე სპეციალურად ააცილა, მაგრამ ბურთი ოლდრიჯმა მოხსნა. ამას მოჰყვა დანკანის ჯარიმა და მარკუსის ორი აცილებული საჯარიმო, მაგრამ ფინლის დრო არ ეყო გმირობის ჩასადენად - ვეტერანს 19 მეტრიდან მოუწია სროლამ და ააცილა.




## დღის გმირი

ბოლო ორი წელია ლებრონ ჯეიმსი "მაიამის" წინააღმდეგ მატჩების გმირი ხდება. უკანასკნელი შვიდი მატჩიდან ექვსში ის 30 ქულას აგროვებდა (ერთხელ 40 ქულა მიითვალა), ხოლო ერთადერთ დაბალშედეგიან მატჩში კი აამმაგი დუბლი შეასრულა. "მეფე" ამჯერადაც შეუჩერებელი იყო - სწორედ მისი 36 ქულით, 8 შედეგიანი პასით, 7 მოხსნითა და 2 ჩაჭრით აიცილა "კლივლენდმა" "ჰიტთან" მატჩში პრობლემები და ზედიზედ მეათე შეხვედრა მოიგო.

საინტერესოა, რომ გუშინ ჯეიმსი ზედიზედ მესამედ დასახელდა თვის საუკეთესო მოთამაშედ. ეს პირველი შემთხვევაა 2003-04 წლების სეზონის შემდეგ, როცა მსგავსი პატივი **კევინ გარნეტს** ხვდა წილად.

## დღის გადადგომა

სააგენტო AP-ის ცნობით, "ლოს ანჯელეს კლიპერსის" მთავარმა მწვრთნელმა **მაიკლ დანლივიმ** კლუბის ხელმძღვანელებთან ორმხრივი შეთანხმების თანახმად დატოვა თანამდებობა. დროებით კალიფორნიელთა დამრიგებელი დანლივის ასისტენტი კიმ ჰიუზი იქნება.

თუმცა "კლიპერსის" ან უკვე ყოფილი მწვრთნელი გააგრძელებს კლუბში მუშაობას - მას გენერალური მენეჯერის ფუნქციები დაეკისრება. მიმდინარე რეგულარულში "კლიპერსი" არ ამართლებს სეზონის წინ გაცემულ ავანსებს და დასავლეთ კონფერენციაში მე-12 ადგილს იკავებს.

**კლივლენდი-მაიამი 102:86**

29:28, 27:24, 25:21, 21:13

კ: ჯეიმსი (36+7 მოხსნა+8 პასი), შ. ო'ნილი (13+... პასი), ჰიქსონი (12), გიბსონი (12).

მ: უეიდი (24+9 პასი), ბიზლი (21+12 მოხსნა), ჯ. ო'ნილი (14).

**პორტლენდი-სან ანტონიო 96:93**

26:24, 25:29, 15:21, 30:19

პ: ოლდრიჯი (28+13 მოხსნა), უებსტერი (21), მილერი (11+10 პასი), ჰოვარდი (10+8 მოხსნა), ფერნანდესი (10).

ს-ა: ჯინობილი (21), პარკერი (18+6 პასი), ჰილი (16), დანკანი (15+12 მოხსნა), ბლეირი (11), მაკდაესი (4+10 მოხსნა).



ევროლიგა. TOP 16. II ტური

# სენსაციების ტური

საოცარი ამბები ხდება მეორე ჯგუფური ეტაპის E ჯგუფში. ჯერჯერობით საქმე იქითკენ მიდის, რომ ევროლიგის მოქმედი ჩემპიონი "პანათინაიკოსი" პლეი ოფის მიღმა რჩება. ბერძნებმა ზედიზედ მეორე მატჩი წააგეს - ამჯერად ათენურ დერბიში "მარუსის" წინააღმდეგ. მასპინძლებმა 23-ჯერ დაკარგეს ბურთი და ჯარიმების მხოლოდ 43 პროცენტი გამოიყენეს, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მათთვის ტიტულოვანი მეზობლის შესაჩერებლად. პირველ ტაიმში "პაო" თითქოს ფლობდა ინიციატივას, მაგრამ შესამჩნევი უპირატესობის მიღწევას ვერ ახერხებდა. სტუმართა მხრიდან ფარქვეშ **პეკოვიჩი** დომინირებდა, რომელმაც პირველ ორ მეოთხედში 19 ქულა დააგროვა.

გადამწყვეტი აღმოჩნდა მესამე მეოთხედი. 26-ე წუთისთვის **პერპეროგლუს** ორქულიანის შემდეგ "პანათინაიკოსის" უპირატესობამ ორნიშნა ნიშნულს მიაღწია - 43:53, მაგრამ "მარუსიმ" საბრძოლო ჟინი გამოავლინა და 10-ქულიანი გაქცევით უპასუხა მეტოქეს. გასაკვირია, მაგრამ სტუმრების დამრიგებელმა **ჟელკო ობრადოვიჩმა** ამ წუთებში უარი თქვა პეკოვიჩის სამსახურზე და ცენტრი სათადარიგოთა სკამზე დასვა, საიდანაც ის შეხვედრის ბოლომდე აღარ ამდგარა.

მეოთხე მეოთხედში ნებისმიერი პოზიციიდან ზუსტი ტყორცნებით (სამქულიანები - 61 პროცენტი, ორქულიანები - 65) გამხნევებულმა მასპინძლებმა საფინალო სირენამდე 2 წუთითა და 51 წამით ადრე ექვსი ქულით მოახერხეს წინ გასვლა. "პაომ" **ნიკოლასის** დახმარებით შეძლო ღირსეული პასუხის გაცემა, შემდეგ კი **ბატისტმა** საჯარიმოს ხაზიდან ერთ ქულამდე შეამცირა სხვაობა. მატჩის დამთავრებამდე 44.8 წამი რჩებოდა. "მარუსის" მორიგ შეტევას **კალატესის** არაზუსტი სამქულიანი მოჰყვა. მასპინძლებისთვის საბედნიეროდ, ბურთი იმავე კალატესს მიუვიდა და შეტევაში "მარუსიმ" ერთი სრულფასოვანი შეტევის დრო მიიღო.

"პაომ" ბურთის ართმევა სცადა, თუმცა მსაჯებმა ჯარიმა დააფიქსირეს. **კაიმაკოგლუმ** ორიდან ერთი ჯარიმა გამოიყენა და მეტოქეს შეტევისთვის დრო დაუტოვა. ბატისტმა ნიკოლასს ბლოკი დაუყენა და ამ უკანასკნელმა ფარისკენ მოძრაობა დაიწყო, მაგრამ შემდეგ შებრუნდა და პერიმეტრზე ბურთი **დიამანტიდისს** გადააწოდა. ეს პასი "მარუსიმ" ჩაჭრა და საბერძნეთის ჩემპიონატის მესამე გუნდმა სენსაციური გამარჯვება მოიპოვა.

ერთი დღით ადრე მორიგი სენსაცია შემოგვთავაზა ბელგრადის "პარტიზანმა". წინა ტურში სტუმრად "პანათინაიკოსის" ძლევის შემდეგ, **დუშკო ვუიოშევიჩის** გუნდმა სეზონში პირველი მარცხი აგემა ევროლიგის მთავარ ფავორიტ "ბარსელონას". მასპინძლებმა 10:0 გაქცევით დაიწყეს და **ხავი პასკუალს** ადრეული ტაიმ-აუტის აღება აიძულეს. კატალონელები პერსონალური დაცვის დახმარებით შეეცადნენ მეტოქის შეტევების შეჩერებას. ორი სამქულიანი ჩააგდო **ლაკოვიჩმა**, მაგრამ ამას დიდად არ შეუწუხებია სერბები, რომლებიც პირველ შესვენებაზე ორნიშნა უპირატესობით გავიდნენ.

მეორე მეოთხედში სტუმრების როტაციას, წესით, უპირატესობა უნდა მოეტანა "ბარსელონასთვის", მაგრამ ეს ასე არ მოხდა. "პარტიზანი" კარგად იცავდა თავს და ინარჩუნებდა 10-ქულიან უპირატესობას. "ბარსელონა" მხოლოდ მესამე მეოთხედში ათამაშდა ჩვეულ სტილში და 17:3 გაქცევით თითქოს გაინაღდა ევროლიგაზე ზედიზედ მე-12 გამარჯვება. თუმცა სერბები არ გატყდნენ და "პიონირის" ტრიბუნებიდან გამხნევებულებმა ბრწყინვალე გაქცევა მოაწყვეს - 12:0. მიუხედავად ამისა, "ბარსელონამ" ძირითადი დროის ბოლოს მაინც შეძლო თავის გადარჩენა - ლაკოვიჩმა 38 წამით ადრე სამქულიანი ჩააგდო, შემდეგ კი მატჩის გმირიც შეიძლებოდა გამხდარიყო, მაგრამ მისი ბოლოს ნატყორცნი ბურთი კალათიდან ამოვარდა.

მაყურებელს ოვერტაიმი ელოდა, რომელშიც ლაკოვიჩი მაინც ვერ გახდა სტუმრების გადამრჩენი. იაკამ ბოლო წუთზე სამქულიანი გააფუჭა, საპასუხო შეტევაში **რაშიჩმა** ორი საჯარიმო ჩააგდო და "პარტიზანი" წინ გაიყვანა - 67:66. სტუმრებს ბევრი დრო ჰქონდათ თამაშის გადასარჩენად და მიკელიც ახლო იყო გამარჯვების ბურთის ჩასაგდებად, მაგრამ ეს არ იყო "ბარსელონას" დღე.

### E ჯგუფი

**პარტიზანი-ბარსელონა 67:66 (ო)**

23:12, 12:12, 8:23, 18:14, 6:5

პ: ვესელი (13+15 მოხსნა), რობერტსი (12+11 მოხსნა), რაშიჩი (11+6 პასი), ბოჟიჩი (10).

ბ: ლაკოვიჩი (14), ლორბეკი (10).

**მარუსი-პანათინაიკოსი 80:78**

21:21, 16:19, 18:17, 25:21

მ: კისი (17+5 პასი), ჰომანი (13+7 მოხსნა), კელეტსი (11), ლუკასი (10), პელეკანოსი (10), კაიმაკოგლუ (8).

პ: პეკოვიჩი (19), ბატისტი (15+7 მოხსნა), დიამანტიდისი (11+4 პასი), ნოკოლასი (11), ფოცისი (10+6 მოხსნა), სპანულისი (8+6 პასი).

| | მ/წ | სხ |
|---|---|---|
| 1. პარტიზანი | 2/0 | 6 |
| 2. ბარსელონა | 1/1 | 9 |
| 3. მარუსი | 1/1 | -8 |
| 4. პანათინაიკოსი | 0/2 | -7 |

### F ჯგუფი

**მაკაბი-რეალი 81:76**

18:18, 23:16, 23:20, 17:22

მ: ანდერსონი (20+7 პასი+5 ჩაჭრა), ეიდსონი (18+6 მოხსნა), ფიშერი (14), ბლუტენტალი (9), ლასმე (8).

რ: კაუკენასი (17), ლავრინოვიჩი (13+6 მოხსნა), გარბახოსა (12), ველიჩკოვიჩი (9+8 მოხსნა), იარიჩი (9+6 მოხსნა).

**ეფესი-მონტეპასკი 88:78**

27:17, 18:17, 22:18, 21:26

ე: კასუნი (17+9 მოხსნა), ტორნტონი (14+6 მოხსნა+3 პასი), ფექერი (13), ჩ. სმიტი (11+4 პასი).

მ: სატო (19+10 მოხსნა), ჰოუკინსი (12), მაკინტაირი (12+3 ჩაჭრა), სტოუნრუკი (11).

| | მ/წ | სხ |
|---|---|---|
| 1. ეფესი | 1/1 | 3 |
| 2. რეალი | 1/1 | 2 |
| 3. მაკაბი | 1/1 | 1 |
| 4. მონტეპასკი | 1/1 | -6 |

### G ჯგუფი

**ჟალგირისი-ცსკა 68:83**

26:17, 19:18, 11:22, 12:26

ჟ: კლიმავიჩუსი (12), შალენგა (10), ჩაპინი (10).

ც: ლენგდონი (17), პლანინიჩი (16), ხრიაპა (16+6 მოხსნა+3 ჩაჭრა), ჰოლდენი (11), ვორონცევიჩი (10).

**უნიკახა-პროკომი 50:70**

13:17, 20:20, 7:12, 10:21

უ: ბერნი როდრიგესი (13), კუკი (10+3 პასი+4 ჩაჭრა), არჩიბალდი (5+10 მოხსნა).

პ: ვუდსი (17+9 მოხსნა), ბარელი (16+6 მოხსნა+3 ჩაჭრა), გრიჩანიუკი (6+10 მოხსნა), იუინგი (5+8 პასი).

| | მ/წ | სხ |
|---|---|---|
| 1. პროკომი | 2/0 | 44 |
| 2. ცსკა | 2/0 | 23 |
| 3. უნიკახა | 0/2 | -28 |
| 4. ჟალგირისი | 0/2 | -39 |

### H ჯგუფი

**ოლიმპიაკოსი-ხიმკი 87:69**

22:10, 16:18, 23:24, 26:17

ო: ჰალპერინი (15), შორცანიდისი (14), კლეიზა (12+7 მოხსნა), ტეოდოშიჩი (10+ 4 პასი), ვუიჩიჩი (11), მავროკეფალიდისი (10).

ხ: ლენგფორდი (18), მაკარტი (15), იავტოკასი (10+9 მოხსნა).

**ციბონა-კახა ლაბორალი 75:78**

23:13, 18:20, 19:25, 15:20

ც: ტომასი (22+5 მოხსნა), გორდონი (19+10 მოხსნა), ანდრიჩი (13+3 ჩაჭრა), ს. უდრიხი (8).

კ-ლ: ელიაჰუ (22+9 მოხსნა), ინგლიში (17), ტელეტოვიჩი (16+5 პასი), ერმანი (10+5 მოხსნა).

| | მ/წ | სხ |
|---|---|---|
| 1. ოლიმპიაკოსი | 2/0 | 22 |
| 2. კახა ლაბორალი | 1/1 | -1 |
| 3. ხიმკი | 1/1 | -5 |
| 4. ციბონა | 0/2 | -16 |

### ტურის მოთამაშე

ტოპ 16-ის მეორე ტურის საუკეთესო მოთამაშე თელ-ავივის "მაკაბის" ფორვარდი **ალან ანდერსონი** გახდა.

"რეალთან" მოგებულ შეხვედრაში (81:76) ამერიკელმა ლეგიონერმა 20 ქულა, 8 მოხსნა, 5 პასი, 4 ჩაჭრა და ერთი დაფარება მიითვალა, გარდა ამისა, მეტოქის კალათბურთელებმა მასზე 11 პერსონალური ჯარიმა მიიღეს, რამაც სარგებლიანობის რეიტინგში ანდერსონს 40 ქულა მოუტანა.

ტურის საუკეთესო ხუთეულში მოხვდნენ - **იან ვესელი** ("პარტიზანი"), **ლიორ ელიაჰუ** ("კახა ლაბორალი"), **ჯეიმონტ გორდონი** ("ციბონა") და **ვიქტორ ხრიაპა** (ცსკა).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური სპორტი

ვანკუვერი 2010. დარჩა 6 დღე

## შორტ-ტრეკი

**მონაწილე:** 319 (167 კაცი, 152 ქალი) 32 ქვეყნიდან
**ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე:** იუნ-მი კიმი (ს. კორეა) - 13 წლის, 85 დღის (1994 წლის თამაშები)
**ყველაზე ხანდაზმული მონაწილე:** კეტი ტერნერი (აშშ) - 35 წლის, 314 დღის (1998 წლის თამაშები)
**ყველაზე მეტი მედალი:** 6 ათლეტი 5-5 მედლით
**ყველაზე მეტი მედალი (ქვეყანა):** ს. კორეა (29 მედალი)

1988 წელს კალგარიში შორტ-ტრეკი საჩვენებელი დისციპლინა იყო. მხოლოდ 1992 წელს შევიდა ის ზამთრის თამაშების პროგრამაში და მას შემდეგ მის განუყოფელ ნაწილად ითვლება.

შორტ-ტრეკი - ციგურებით სირბილის ერთ-ერთი სახეობაა, სადაც სპორტსმენებმა მაქსიმალურად სწრაფად უნდა გაიარონ გარკვეული დისტანცია ოვალურ ბილიკზე, რომლის სიგრძე 111 მეტრია.

ოლიმპიურ პროგრამაში შედის სირბილი 500, 1000 და 1500 მეტრს დისტანციებზე (კაცებისთვის და ქალებისთვის) და ესტაფეტა - 3000 მეტრი ქალებისთვის და 5000 მეტრი კაცებისთვის. სულ მედლების რვა კომპლექტი თამაშდება.

ინდივიდუალურ შეჯიბრებაში 32 მორბენალი (4-4 თითო გარბენში) გამოდის. თითოეული ოთხეულიდან ორი საუკეთესო გადის შემდეგ წრეში. ასე გრძელდება მანამდე, სანამ არ გაირკვევა ბოლო კვარტეტი, რომელიც მედლებს გაითამაშებს.

ესტაფეტაში რვა გუნდი (თითოში 4 სპორტსმენი) მონაწილეობს. თითოეული ნაკრები თავად წყვეტს, რამდენი წრე უნდა გაიაროს ამა თუ იმ სპორტსმენმა. ერთადერთი გამონაკლისია ბოლო ორი წრე, რომელიც აუცილებლად ერთი და იმავე მოციგურავემ უნდა გაირბინოს. ორი გუნდი, რომელიც საუკეთესო შედეგს აჩვენებს, ნახევარფინალიდან ფინალში გადადის.

| | ო | ვ | ბ | ს |
|---|---|---|---|---|
| 1. ს. კორეა | 17 | 7 | 5 | 29 |
| 2. კანადა | 5 | 8 | 7 | 20 |
| 3. აშშ | 4 | 3 | 5 | 12 |
| 4. ჩინეთი | 3 | 10 | 7 | 20 |
| 5. იტალია | 1 | 2 | 1 | 4 |
| 6. იაპონია | 1 | 0 | 2 | 3 |
| 7. ავსტრალია | 1 | 0 | 1 | 2 |
| 8. ბულგარეთი | 0 | 2 | 1 | 3 |
| 9. ბრიტანეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 9. ჩრ. კორეა | 0 | 0 | 1 | 1 |
| 9. დსთ | 0 | 0 | 1 | 1 |

ლიდერები

| | ო | ვ | ბ | ს |
|---|---|---|---|---|
| 1. ი-გიეონგ ჭელნი (ს. კორ) | 4 | 0 | 1 | 5 |
| 2. მარკ განონი (კან) | 3 | 0 | 2 | 5 |
| 3. ჰიეონ-სუ ანი (ს. კორ) | 3 | 0 | 1 | 4 |
| 4. სეონ-იუ ჟინი (კორ) | 3 | 0 | 0 | 3 |
| 4. ბი-ჰუნ კიმი (კორ) | 3 | 0 | 0 | 3 |

## კალენდარი

| | |
|---|---|
| **13 თებერვალი** | |
| 05:00 | კაცები. 1500 მ. კვალიფიკაცია |
| 05:42 | ქალები. 500 მ. კვალიფიკაცია |
| 06:18 | კაცები. 1500 მ. 1/2 ფინალი |
| 06:50 | ქალები. 3000 მ. ესტაფეტა. 1/2 ფინალი |
| 07:18 | კაცები. 1500 მ. ფინალი |
| **17 თებერვალი** | |
| 05:00 | ქალები. 500 მ. 1/4 ფინალი |
| 05:25 | კაცები. 1000 მ. კვალიფიკაცია |
| 06:10 | ქალები. 500 მ. 1/2 ფინალი |
| 06:32 | კაცები. 5000 მ. ესტაფეტა. 1/2 ფინალი |
| 07:07 | ქალები. 500 მ. ფინალი |
| **20 თებერვალი** | |
| 05:45 | ქალები. 1500 მ. კვალიფიკაცია |
| 06:29 | კაცები. 1000 მ. 1/4 ფინალი |
| 06:58 | ქალები. 1500 მ. 1/2 ფინალი |
| 07:28 | კაცები. 1000 მ. 1/2 ფინალი |
| 07:51 | ქალები. 1500 მ. ფინალი |
| 08:05 | კაცები. 1000 მ. ფინალი |
| **24 თებერვალი** | |
| 05:00 | ქალები. 1000 მ. კვალიფიკაცია |
| 05:47 | კაცები. 500 მ. კვალიფიკაცია |
| 06:26 | ქალები. 3000 მ. ესტაფეტა. ფინალი |
| **26 თებერვალი** | |
| 06:00 | კაცები. 500 მ. 1/4 ფინალი |
| 06:14 | ქალები. 1000 მ. 1/4 ფინალი |
| 06:43 | კაცები. 500 მ. 1/2 ფინალი |
| 06:52 | ქალები. 1000 მ. 1/2 ფინალი |
| 07:14 | კაცები. 500 მ. ფინალი |
| 07:24 | ქალები. 1000 მ. ფინალი |
| 07:51 | კაცები. 5000 მ. ესტაფეტა. ფინალი |

*შენიშვნა: დრო თბილისისაა*

## გააძევეთ რუსები!

კანადის სათხილამურო ნაკრების მწვრთნელი **დეივ ვუდი** უცნაური მოთხოვნით გამოვიდა - მან განაცხადა, რომ რუსეთის ნაკრების ყველა წევრს უნდა აეკრძალოს მსოფლიოს ჩემპიონატებსა და მსოფლიოს თასის ეტაპებზე გამოსვლა მანამდე, სანამ ისინი უარს არ იტყვიან დოპინგის გამოყენებაზე. ამის შესახებ კანადური გამოცემა Calgary Herald წერს. ვუდს არ დაუზუსტებია, უნდა აუკრძალონ თუ არა რუსებს ვანკუვერის ოლიმპიადაზე გამოსვლა.

ვუდის სიტყვებით, რუსი სპორტსმენები მიიჩნევენ, რომ წესები, რომლებიც ანტი-სადოპინგო სააგენტოების მიერ არის შემუშავებული, მათ არ ეხებათ. მწვრთნელმა გამოთქვა აზრი იმის შესახებ, რომ რუსები პატივს არ სცემენ სათხილამურო სახეობების საერთაშორისო ფედერაციას.

ვუდმა სინანული გამოთქვა იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ უახლოესი ოლიმპიადა მის ქვეყანაში ჩატარდება. მისი ვარაუდით, სპორტის მოყვარულებს ვანკუვერის თამაშები დოპინგ-სკანდალებით უფრო დაამახსოვრდებათ, ვიდრე მაღალი სპორტული შედეგებით.

მოთხილამურე **ივან ბაბიკოვი**, რომელიც 2003 წლიდან კანადაში ცხოვრობს და ვანკუვერში ამ ქვეყნის ღირსებას დაიცავს, 2006 წელს ტურინში რუსეთის სახელით გამოდიოდა. ბაბიკოვმა Calgary Herald-ისთვის მიცემულ ინტერვიუში აღიარა, რომ დოპინგი რუსული სპორტის სისტემური პრობლემაა. მოთხილამურე ამბობს, რომ რუსეთში მასზე დიდი ხანი ახდენდნენ ზეწოლას და მისგან დოპინგის მიღებას ითხოვდნენ, მაგრამ სპორტსმენი ყოველთვის უარს ამბობდა წესის დარღვევაზე.

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

## კოვალჩუკი ეშმაკებს გაურიგდა

გასულ ღამეს ჰოკეის ეროვნულ ლიგაში სეზონის მთავარი ტრეიდი განხორციელდა. "ატლანტა ტრეშერზის" რუსი ვარსკვლავი **ილია კოვალჩუკი** "ნიუ ჯერსი დევილზში" გადავიდა სათამაშოდ. მის სანაცვლოდ "ატლანტამ" გამოცდილი მცველი **ჯონი ოდუია**, ახალგაზრდა ფორვარდი **ნიკლას ბერგფორსი**, პერსპექტიული თავდამსხმელი **პატრის კომრი** და 2010 წლის დრაფტის პირველ რაუნდში სასურველი ჰოკეისტის არჩევის უფლება მიიღო.

გარდა ამისა, "ნიუ ჯერსი" კოვალჩუკთან ერთად მცველ **ანსი სალსელას** გადაიბირებს, რომელიც თავის დროზე "დევილზში" თამაშობდა და შარშან გაუშვეს "ატლანტაში".

*"ძალიან რთული გარიგება შედგა. კოვალჩუკი რვა წლის განმავლობაში ჩვენი გუნდის განუყოფელი ნაწილი იყო. ყველაფერი გავაკეთეთ მის შესანარჩუნებლად. შევთავაზეთ 100-მილიონიანი კონტრაქტი და სხვა ბონუსები. ის გვეუბნებოდა, რომ ატლანტაში დარჩენის სურვილი ჰქონდა, მაგრამ გარიგება მაინც არ შედგა"*, - აღნიშნა "ატლანტას" გენერალურმა მენეჯერმა.

თავის მხრივ, "ნიუ ჯერსის" ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ ჯერ ნაადრევია ლაპარაკი კოვალჩუკის ახალ კონტრაქტზე - "ეშმაკებს" რუსი ჰოკეისტი მხოლოდ წლევანდელი პლეი ოფისთვის სჭირდებათ. ზაფხულში კოვალჩუკი თავისუფალი აგენტი ხდებოდა.

**ბოსტონი-ლოს ანჯელესი 2:3 (ბ)**

0:1, 1:0, 1:1, 0:0

გოლები: 0:1 დ. ბრაუნი-13 (კოპიტარი-32, სტოლი-23), 1:1 შტურმი-16 (სავარი-15), 2:1 რეკი-10 (კრეისი-19), 2:2 კოპიტარი-23 (პანძუში-15, რ. ჯონსი-9).

ბულიტები გაიტანეს: კოპიტარი (ლოს ანჯელესი), რაიდერი (ბოსტონი), სავარი (ბ

**ლოს ანჯელესი-ანაჰაიმი 6:4**

1:1, 2:0, 3:3

გოლები: 0:1 ჯ. ბლეიკი-11 (ს. კოივუ-20, სელიანე-8), 1:1 კოპიტარი-25 (სიმონდსი-20, რიჩარდსონი-13), 2:1 სიმონდსი-14 (კოპიტარი-34, რ. სმიტი-18), 3:1 პანძუში-13 (ფროლოვი-21, ჯ. ჯონსონი-16), 4:1 ჯ. ჯონსონი-6 (ფროლოვი-22, პანძუში-16), 4:2 ბოდი-3 (გეტცლაფი-41, რაიან უიტნი-21), 4:3 ბელესი-6 (გეტცლაფი-42, პერი-3), 4:4 რ. კარტერი-2 (მარჩანტი-11, ჯ. ბლეიკი-17), 5:4 დ. ბრაუნი-14 (კოპიტარი-35, ჯ. ჯონსონი-17), 6:4 კოპიტარი-26 (პანძუში-17, ჯ. ჯონსონი-18).

**ბოსტონი-მონრეალი 2:3 (ბ)**

1:0, 1:2, 0:0, 0:0

გოლები: 1:0 რეკი-11 (მორისი-19, ვიდემანი-14), 2:0 ველერი-13 (კრეისი-20, რაიდერი-9), 2:1 მეტროპოლიტი-11 (გომესი-29, მარკოვი-15), 2:2 პამრლიკი-6 (ს. კოსტიცინი-5, გომესი-30).

ბულიტები გაიტანეს: ჯონტა (მონრეალი).

**ნეშვილი-კოლორადო 5:3**

0:1, 4:1, 1:1

გოლები: 0:1 მაკლეოდი-7 (კ. სტიუარტი-19, უილსონი-10), 1:1 ჰორნკვისტი-22 (არნოტი-17, დუმონი-25), 2:1 ჯ. უორდი-10 (სმიტსონი-3, ლეგუანდი-20), 2:2 დუშენი-18 (კამისკი-6, ლალისი-20), 3:2 არნოტი-14 (სალივანი-24, ჰორნკვისტი-13), 4:2 ჰორნკვისტი-23 (არნოტი-18, შ. უებერი-22), 5:2 სალივანი-11 (შ. უებერი-23, არნოტი-19), 5:3 მერსიე-1 (დურნო-4).

**რეინჯერსი-ვაშინგტონი 5:6**

2:1, 3:3, 0:2

გოლები: 1:0 კელეპანი-14 (ო. იოკინენი-25, პროსპალი-31), 1:1 გორდონი-3 (მტეაკელი-6, ბრედლი-10), 2:1 პროსპალი-10 (გაბორიკი-33, მ. სტაალი-17), 2:2 ნუბლი-20 (ბექსტრიომი-42, ოვეჩკინი-42), 2:3 ოვეჩკინი-37 (ბექსტრიომი-43), 3:3 ო. იოკინენი-12 (პროსპალი-32, დელ ზოტო-19), 4:3 პროსპალი-11 (კელეპანი-16, გაბორიკი-34), 5:3 დუბინსკი-12 (გილროი-6, ლუნდკვისტი-1), 5:4 ოვეჩკინი-38 (ბექსტრიომი-44), 5:5 პოტი-3 (ბექსტრიომი-45, ფლიშმანი-23), 5:6 ბექსტრიომი-24 (ფლიშმანი-24, ნუბლი-16).

**სტ. ლუისი-სან ხოსე 2:4**

1:2, 0:1, 1:1

გოლები: 0:1 მარლო-38 (ჯ. ტორნტონი-56, ჰიტლი-32), 0:2 ქლოუ-14 (ნიკოლი-11, ორტმაიერი-9), 1:2 ბერგლუნდი-8 (კარია-16, ოში-20), 1:3 სეტოგუჩი-14 (ქლოუ-25, დემერსი-16), 2:3 სტინი-13 (კოლაიაკოვო-12, ბერგლუნდი-8), 2:4 ნიკოლი-3 (ორტმაიერი-10, ჰასკინსი-13).

**კოლამბუსი-დალასი 2:1**

1:0, 0:0, 1:1

გოლები: 1:0 სტრალმანი-5 (მოდინი-3, უმბერგერი-21), 2:0 უმბერგერი-19 (ნეში-29, ტიუტინი-20), 2:1 ბ. რიჩარდსი-17 (ლ. ერიქსონი-30, ოტი-11).

**ოტავა-ვანკუვერი 3:1**

2:0, 0:0, 1:1

გოლები: 1:0 მ. მიხალეკი-19 (კოვალიოვი-26, ალფრედსონი-29), 2:0 სპეცა-12 (მ. მიხალეკი-8, ალფრედსონი-30), 2:1 უელვუდი-6 (რეიმონდი-21, დემიტრა-3), 3:1 კელი-11 (ალფრედსონი-31, ფიშერი-24).

**ტამპა ბეი-აილენდერსი 5:2**

1:1, 2:1, 2:0

გოლები: 1:0 სტემკოსი-30 (ფოსტერი-19, სენტ ლუისი-44), 1:1 მოულსონი-21 (ტერვე-10), 1:2 სიმი-8 (უეიტი-12, პარკი-12), 2:2 სენტ ლუისი-18 (სტემკოსი-29, დაუნი-17), 3:2 ლეკავალიე-15 (ტანგეი-22, პედმანი-11), 4:2 სტემკოსი-31 (დაუნი-18, ლუნდინი-2), 5:2 ტანგეი-9 (ვეილო-4, ლეკავალიე-40).

**მინესოტა-ედმონტონი 4:2**

0:0, 1:1, 3:1

გოლები: 1:0 პავლატი-12 (კ. იონსონი-7), 1:1 კომრი-6 (სემგანიე-21, ვიშნოვსკი-21), 2:1 მიეტინენი-16 (მ. კოივუ-35, ბრუნეტი-29), 2:2 მ. პუიო-2 (სტორტინი-7, ჟაკი-7), 3:2 ლატენდრესი-18 (ბრძიაკი-18), 4:2 პავლატი-13 (ლატენდრესი-9).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| **ჩემპიონატი** | |
| ნიუკასლი-კარდიფი | 5:1 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ტორინო-ბრეშია | 1:1 |
| **გერმანია** | |
| ვერდერი-ჰერტა | 2:1 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| არმინია-ფიურტი | 2:1 |
| ობერჰაუზენი-ჰანზა | 2:1 |
| სტ. პაული-კარლსრუე | 2:1 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| აიაჩო-ანჟერსი | 0:2 |
| შატორუ-კლერმონი | 1:3 |
| დიჟონი-ისტრი | 1:1 |
| გინგამი-ტური | 2:2 |
| ლავალი-ბასტია | 1:1 |
| სედანი-სტრასბური | 3:3 |
| ჰავრი-ვანი | 0:1 |
| მეცი-ნიმი | 3:1 |
| ნანტი-ბრესტი | 1:4 |
| **ჰოლანდია** | |
| ვილემი-ბრედა | 1:2 |
| **II დივიზიონი** | |
| კამბური-აპელდოორნი | 1:1 |
| დენ ბოში-ვეენდამი | 2:2 |
| ფორტუნა-ექსელსიორი | 2:1 |
| იგლზი-ვოლენდამი | 0:0 |
| ჰელმონდი-ცვოლე | 2:0 |
| მაასტრიხტი-დორდრეხტი | 1:0 |
| ტელსტარი-ომნივორლდი | 1:2 |
| **თურქეთი** | |
| ბეშიქთაში-გენჩლერი | 4:1 |
| **უელსი** | |
| ქონეესი-ტნს | 1:0 |
| პ. ტელბოტი-ჰევერფორდვესტი | 1:0 |
| **ავსტრია** | |
| აკრონი-გრაცი | 4:1 |
| ვენა-ალბა | 5:2 |
| ვილახი-კლაგენფიურტი | 1:5 |
| ლინცი-ზალცბურგი | 2:4 |
| ოლიმპია-ზაგრები | 2:7 |
| **გერმანია** | |
| აისბარენი-ვოლფსბურგი | 5:3 |
| აუგსბურგი-ჰანოვერი | 5:3 |
| ჰამბურგი-ფრანქფურტი | 3:5 |
| იზერლონი-კასელი | 2:1 |
| კრეფელდი-დიუსელდორფი | 2:0 |
| ნიურნბერ.-შტრაუბინგი | 3:3 დ.დ. 0:1 |
| **დანია** | |
| როდოვრე-ჰვიდოვრე | 7:3 |
| სონდერიისკი-რუნგსტედი | 4:2 |
| ჰერნინგი-ფრედრიკშავნი | 4:1 |
| ოდენსე-ესბერგი | 4:4 ბულ. 1:0 |
| **სლოვაკეთი** | |
| ბისტრიცა-მარტინი | 4:4 დ.დ. 0:1 |
| ნოვა ვესი-სკალიცა | 1:4 |
| სლოვაკეთი (U20)-ზვოლენი | 1:3 |
| ტრენჩინი-კოშიცე | 2:2 ბულ. 0:1 |
| სლოვანი-პოპრადი | 3:2 |
| **ფინეთი** | |
| პელიკანსი-ტაპარა | 5:4 |
| სეიპა-იოკერიტი | 4:2 |
| იუვიასკიულა-კალპა | 5:2 |
| **ჩეხეთი** | |
| კლადნო-ზლინი | 5:2 |
| ლიტვინოვი-კარლოვი ვარი | 4:3 |
| ბუდეიოვიცე-ბოლესლ. | 1:1 ბულ. 1:0 |
| ვიტკოვიცე-სლავია | 1:3 |
| სპარტა-ტრშინეცი | 1:1 ბულ. 1:0 |
| ბრნო-პარდუბიცე | 1:1 ბულ. 1:0 |
| **შვეიცარია** | |
| ბილი-ბერნი | 2:4 |
| დავოსი-ამბრი პიოტა | 6:0 |
| ლანგნაუ-კლოტენი | 4:2 |
| ლუგანო-ციურიხი | 2:2 ბულ. 1:0 |
| რაპერსვილი-ფრიბურგი | 1:3 |
| ჟენევა-ცუგი | 1:4 |

**კალათბურთი**

| | |
|---|---|
| **გერმანია** | |
| ბრემენჰავენი-გესენი | 81:84 |
| **საფრანგეთი** | |
| ვილერბანი-ორლეანი | 55:76 |

**ჰოკეი**

| | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| ამური-სევერსტალი | 3:3 ბულ. 1:0 |
| მეტალურგი (ნ)-ატლანტი | 0:1 |
| სიბირი-სკა | 3:0 |
| მეტალურგი (მ)-ავტომობილისტ | 3:0 |
| ლადა-ბარისი | 1:2 |
| აკ ბარსი-ავანგარდი | 3:1 |
| ნეფტეხიმიკი-ს. იულიაევი | 0:2 |
| დინამო (მ)-ვიტიაზი | 8:3 |
| მვდ-ლოკომოტივი | 3:0 |
| დინამო (მნ)-ცსკა | 2:4 |
| დინამო (რ)-ტორპედო | 2:2 ბულ. 1:0 |

**ჩოგბურთი**

| | |
|---|---|
| **ATP. იოჰანესბურგი** | |
| რობერი-ბრაუნი | 7:6, 6:3 |
| ფერერი-დევ ვარმანი | 6:1, 6:3 |
| ფ. ლოპესი-რამი | 7:6, 6:3 |
| მონფილსი-ლუ | 6:1, 6:4 |
| **ATP. ზაგრები** | |
| ტროიცკი-ბერერი | 4:6, 3:6 |
| ლაკო-პეტცშნერი | 7:6, 2:6, 2:6 |
| ჩილიჩი-კარლოვიჩი | 7:6, 6:4 |
| მელცერი-მარჩენკო | 3:6, 6:0, 7:5 |
| **ATP. სანტიაგო** | |
| მარტინი-სოუზა | 2:6, 4:6 |
| მონაკო-ლუჩაკი | გვიან დასრულდა |

## TV პროგრამა

### 6 თებერვალი. შაბათი

**I არხი**

13:55 რაგბი. ერთა თასი. საქართველო-გერმანია (LIVE).
18:00 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. ოლიმპი-ბაია (LIVE).

**SPORT 1 (უკრაინა)**

16:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ევერტონი (LIVE).
18:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-ბაიერნი (LIVE).
21:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ასტონ ვილა (LIVE).
23:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ლივორნო-იუვენტუსი (LIVE).

**SPORT 2 (უკრაინა)**

19:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-პორტსმუთი (LIVE).
21:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-პარმა (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

14:25 საერთაშორისო ტურნირი. COPA DEL SOL. როზენბორგი-ცსკა (მ). ესპანეთი (LIVE).
17:40 ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ევერტონი (LIVE).
18:55 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-პორტსმუთი (LIVE).
21:25 ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ასტონ ვილა (LIVE).
23:40 იტალიის ჩემპიონატი. ლივორნო-იუვენტუსი (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

14:45 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. დინამო (რუსეთი)-ვიბორგი (დანია) (LIVE).
18:55 ძიუდო. Grand Slam. საფრანგეთი (LIVE).
23:10 სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. ქალები, კაცები. სპრინტი. კენმორი. კანადა (LIVE).
00:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ესპანიოლი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

18:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-ბაიერნი (LIVE).
21:25 პროფესიული კრივი. ტიმურ იბრაჰიმოვი-ტამიმ აჯადი (LIVE).

**EUROSPORT**

18:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS145. ვილინგენი. გერმანია (LIVE).
23:15 სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. ქალები, კაცები. სპრინტი. კენმორი. კანადა (LIVE).

**EUROSPORT-2**

16:00 სნოუბორდი. მსოფლიოს თასი. პარალელური გიგანტური სლალომი. ზიუდელფელდი. გერმანია (LIVE).
17:30 ავტოსპორტი. GP2-ის აზიური სერია. II რბოლა. აბუ დაბი. საემიროები (LIVE).

### 7 თებერვალი. კვირა

**I არხი**

15:00 ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ეტაპის წილისყრა (LIVE).

**SPORT 1 (უკრაინა)**

18:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-კალიარი (LIVE).
20:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-არსენალი (LIVE).
23:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-რომა (LIVE).

**SPORT 2 (უკრაინა)**

17:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბირმინგემი-ვულვზი (LIVE).
20:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-აინტრახტი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

15:00 ევრო 2012. შესარჩევი ეტაპის წილისყრა (LIVE).
17:55 იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-კალიარი (LIVE).
19:55 ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-არსენალი (LIVE).
21:55 ესპანეთის ჩემპიონატი. სარაგოსა-სევილია (LIVE).
23:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ვალანსი (LIVE).
02:10 არგენტინის ჩემპიონატი. რივერ პლეიტი-როსარიო (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

16:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. იოჰანესბურგი. სამხრეთ აფრიკა (LIVE).
18:55 ძიუდო. Grand Slam. საფრანგეთი (LIVE).
23:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-რომა (LIVE).
02:00 ამერიკული ფეხბურთი. Super Bowl. ნიუ ორლეანი-ინდიანაპოლისი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

17:25 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბირმინგემი-ვულვზი (LIVE).
19:25 ფეხბურთი. პოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ტვენტე (LIVE).
02:40 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ვაშინგტონი-პიტსბურგი (LIVE).

**EUROSPORT**

15:00 ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ეტაპის წილისყრა (LIVE).
17:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS145. გუნდური. ვილინგენი. გერმანია (LIVE).

# ბატი-გოლფი

მანრამდენიმე გრანდის წინადადება უარყო და სამშობლოში დაბრუნდა. ერთ დროს მსოფლიოს უპირველესი გოლეადორი დღესაც სპორტით არის დაკავებული, რომელიც პრობლემებს არ უქმნის მის ქრონიკულ ტრავმებს. ეს სახეობებია - გოლფი და პოლო. „პოლოში მე „მუშა ცხენი" ვარ, რომელსაც ბევრი და მძიმე შრომა სჭირდება".

გაბრიელ ბატისტუტა ძალიან შეიცვალა მას შემდეგ, რაც ხუთი წლის წინ დიდი ფეხბურთი მიატოვა. ის აღარ არის სუპერფორვარდი, რომელსაც იმის მიუხედავად, რომელი გუნდის მაისურა ეცვა, ყველგან უამრავი გოლი გაჰქონდა.

დღეს სპორტში ბატისტუტას გატაცება გოლფი და პოლოა. მას არ უნდა იტალიაში ცხოვრება, სადაც მისი კარიერის დიდი ნაწილი წარიმართა, არც კატარში, სადაც დაასრულა ფეხბურთის თამაში. გაბრიელი მშობლიურ ქალაქ რეკონკისტაში დაბრუნდა. „რეკონკისტაში ყველაზე კარგად ვგრძნობ თავს. აქ ყველანი ჩემიანები არიან. იტალიაში ბევრი მეგობარი და სახლიც კი დავტოვე, მაგრამ ჩემი ადგილი რეკონკისტაშია", - ამბობს 41 წლის ბატი-გოლი. „ალ-არაბის" შემდეგ მან უარყო ინგლისის, იაპონიისა და იტალიის კლუბების წინადადებები და 2005 წლის მარტში ავსტრალიაში ცხოვრება გადაწყვიტა. „ცოტათი დამშვიდება მჭირდებოდა, ინგლისური ენის უკეთ შესწავლაც მინდოდა. აგრეთვე მსურდა, რომ ჩემს შვილებს ეკოლოგიურად სუფთა ქვეყანაში ეცხოვრათ". ბატისტუტამ გოლფის თამაში ავსტრალიაში დაიწყო - კვირაში სამჯერ თამაშობდა. ორი წლის შემდეგ გაბრიელი არგენტინაში დაბრუნდა მეუღლე ირინასთან და შვილებთან - ტიაგოსთან, ხოაკინთან, ლუკასთან და შამელთან ერთად.

და სწორედ აქ დაიწყო მან პოლოში ინტენსიური ვარჯიშები. ბოლო თვეების განმავლობაში თითქმის მთელი ქვეყანა მოიარა და პოლოს ტურნირებში მიიღო მონაწილეობა. მისი ახალი გუნდი - Gloria Polo Team იასამნისფერი ფორმით თამაშობს, როგორც ერთ დროს მისი მშობლიური კლუბი „ფიორენტინა".





**- როგორ დაიწყეთ პოლოს თამაში?**

- მირჩიეს ადოლფო კამბიასოსთან - მსოფლიოში პოლოს საუკეთესო მოთამაშესთან თანამშრომლობა. მაშინ ცხენზე წესიერად ჯდომაც არ ვიცოდი, მაგრამ მაინც თავიდანვე უდიდესი სიამოვნება მივიღე. მას შემდეგ ვცდილობ, ყოველდღიურად ავიმაღლო ოსტატობა, რადგან პოლო სულ უფრო და უფრო მეტად მომწონს. პოლოს თამაშისას ადრენალინის დაახლოებით ის რაოდენობა გამოიყოფა, რამდენიც მნიშვნელოვან, საფეხბურთო მატჩების დროს.

**- პოლოს მოთამაშის რომელ ტიპს მიაკუთვნებთ საკუთარ თავს?**

- „მე „მუშა ცხენი" ვარ, რომელსაც ბევრი და მძიმე შრომა სჭირდება. ხანდახან ვახერხებ მეტოქეთა მეურვეობისთვის თავის დაღწევას და გოლის გატანას. ახალ გარემოში იმდენად კარგად მიმიღეს, რომ თავი სპორტის ამ სახეობის განუყოფელ ნაწილად მიმაჩნია.

და მაინც, როგორც კი ვიწყებ ფიქრს იმის შესახებ, თუ რას გავაკეთებ აქტიური სპორტიდან საბოლოოდ წასვლის შემდეგ, გონებაში მაინც ფეხბურთი ამომიტივტივდება.

**- ანუ პოლო მაინც ჰობია და არა პროფესია?**

- დიახ. დღეს მე არ მაქვს შესაძლებლობა და, ალბათ, სათანადო მომზადებაც იმისთვის, რომ საფეხბურთო მწვრთნელის კარიერაში რაიმე მნიშვნელოვანს მივაღწიო, ამიტომაც ვარ დაკავებული იმით, რისი გაკეთებაც შემიძლია. მაგრამ ოდესღაც იმ აზრამდე მივალ, რომ დადგა ფეხბურთში დაბრუნების დრო. ეს არის ერთადერთი სფერო, რომელიც თავიდან ბოლომდე მესმის.

**- რა მიმართულებით აპირებთ მუშაობას?**

- თუ მიწვევას მივიღებ რომელიმე დიდი და ძლიერი კლუბისგან, რომელსაც მაღალი მიზნები ექნება, სერიოზულად დავფიქრდები მწვრთნელობაზე.

**- ფეხბურთიდან წასვლის მომენტში ყველაზე მეტად რაზე დაგწყდათ გული?**

- ვერ გავხდი მსოფლიოს ჩემპიონი არგენტინის ნაკრების შემადგენლობაში. როგორც მოთამაშეს, ამ მხრივ არანაირი შანსი აღარ გამაჩნია, სამაგიეროდ, არსებობს მსოფლიო თასის მწვრთნელის რანგში მოგების შესაძლებლობა.

**- როგორ აღიქვამთ მარადონას, როგორც ეროვნული ნაკრების მწვრთნელს?**

- ჩემი აზრით, მან შეძლო არგენტინის ნაკრების შეცვლა, მაგრამ ბევრ რამეზე შედეგი მეტყველებს, მაგალითად ისეთი, როგორიცაა ბოლივიასთან და ეკვადორთან წაგებები. და მაინც, მჯერა, რომ დიეგო შეძლებს ნაკრების უფრო მაღალ დონეზე გაყვანას. ამასთან, ის თავად გახლავთ „ალბისელესტესთვის" დამატებითი მოტივაცია. იმედი მაქვს, ნაკრებში მისი მუშაობა კარგ შედეგებს მოიტანს.

**- რამდენად ხშირად უყურებთ ფეხბურთს ტელევიზიით?**

- საკმარისად ხშირად, იმისთვის, რომ თითქმის ყველაფრის საქმის კურსში ვიყო.

**- რომელი მოთამაშე გიყვართ ყველაზე მეტად?**

- კაკა და აწ უკვე ყოფილი ფეხბურთელი პაოლო მალდინი. პირველ რიგში სწორედ მათ გამოვარჩევ. ასეთებზე ამბობენ - ისინი ფენომენები არიან.

**- რას იტყვით ნაკრების მოთამაშეებზე - მესისა და აგუეროზე?**

- ჟურნალისტები მათაც ფენომენებს უწოდებენ. ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, ვაღიარებ, რომ ისინი დიდი ფეხბურთელები არიან და სხვების ფონზე აშკარად გამოირჩევიან, მაგრამ ლეო და სერხიო ჯერ კარიერის საწყის ეტაპზე იმყოფებიან. მინდა მჯეროდეს, რომ ორივე მათგანი შეინარჩუნებს მაღალ დონეს და მათ კარიერაში არ იქნება ჩავარდნები. სწორედ ამის შემდეგ უნდა ვუწოდოთ მათ ფენომენები, ახლა კი მსგავსი შეფასება ნაადრევია.

**- გაქვთ თუ არა კავშირი ყოფილ თანაგუნდელებთან - აბელ ბალბოსა და ნესტორ სენსინისთან, რომლებიც დღეს მწვრთნელებად მუშაობენ?**

- დიახ, ზოგჯერ საათობით ველაპარაკებით ერთმანეთს. ჩემგან განსხვავებით მათ უყვართ პრობლემები, რომლებიც მწვრთნელად მუშაობას მოაქვს. მათ ეს ტვირთი თავიდანვე აიკიდეს. სენსინისა და მისი „ნიუელსის" ძალიან მჯერა. ბალბომ მხოლოდ ახლა დაიწყო სამწვრთნელო მოღვაწეობა. ორივეს შეუძლია გააოცოს საფეხბურთო სამყარო.

**- იტალიაში რეგულარულად ჩადიხართ. ბოლოს იქ ივნისში იყავით...**

- ამ ქვეყანაში თითქმის 13 წელი გავატარე, თანაც ეს ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი საუკეთესო პერიოდი იყო. დღემდე კარგი დამოკიდებულება მაქვს ჩემს ყოფილ კლუბებთან. ყოველთვის ვცდილობდი უკეთ მემუშავა და როგორც მოთამაშეს, მაქსიმალური სარგებლობა მომეტანა. იმედი მაქვს, იქ საუკეთესო სიტყვებით მიხსენებენ.

**- ნანობთ, რომ ფეხბურთი მიატოვეთ?**

- არა. საზღვარგარეთ ცხოვრებისას ჩემი მშობლები ძალიან მენატრებოდნენ. მათ იშვიათად ვხედავდი. სამაგიეროდ, ახლა ისინი ჩემ გვერდით არიან და აღარ არსებობს მათთან განშორების მიზეზი.

გია თვალაბეიშვილი




